


# სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2015 წლის საქმიანობის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის  
2015 წლის საქმიანობის

**ანგარიში**

თბილისი  
2016 წელი



## გენერალური აუდიტორის მიმართვა

მოქალაქეების მიერ გადახდილი გადასახადები ბიუჯეტის მთავარი წყაროა, თითოეულ მოქალაქესა აქვს უფლება, ჰქონდეს სრული და ამომწურავი ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის მისია, წვლილი შეიტანოს საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებაში და უზრუნველყოს მოქალაქეების დროული ინფორმირება ქვეყნის ბიუჯეტის განკარგვის შესახებ.

სამსახურის მისის განხორციელებაში უმთავრესი წვლილი შეაქვს პროფესიონალთა გუნდს, რომელიც თავდაუზოგავად შრომობს საქმიანობის გასაუმჯობესებლად - ობიექტურობის, დამოუკიდებლობის, საჯაროობისა და პროფესიონალიზმის პრინციპების ყოველდღიურ აქტივობებში განმტკიცებით. გასულ წელს წარმატებულად განხორციელებული არაერთი პროექტი სწორედ ჩვენი გუნდის დამსახურებაა.

2015 წლის აუდიტებით სამსახურმა შეისწავლა სახელმწიფოსთვის ყველაზე პრიორიტეტული სფეროები და დაფარა სახელმწიფო ბიუჯეტის 5.9 მილიარდი ლარი. აუდიტორული საქმიანობის ეფექტიანობის გასაზრდელად აღსანიშნავია ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის დანერგვის პროექტი, რომლის მნიშვნელობა განპირობებულია საჯარო სექტორში ელექტრონული სისტემების მზარდი გამოყენებით, რაც მმართველობითი პროცესების გაუმჯობესებასთან ერთად, ისეთ რისკებთანაა დაკავშირებული, როგორებიცა: ინფორმაციული უსაფრთხოება, სერვისების სამედიორობა, პერსონალური ინფორმაციის დაუცველობა, კიბერ დანაშაული და სხვა. აღნიშნული გამოწვევები კი, ჩვენი მხრიდან სათანადო მზაობასა და რეაგირებას მოითხოვს.

სამსახურის გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ინფორმირებულობის გასაზრდელად, 2015 წელს დაიწყო ახალი პროექტი - „აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა“. პროექტის მთავარი მიზანი სამსახურსა და სამოქალაქო სექტორს შორის ორმხრივი კომუნიკაციის გაუმჯობესებაა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი მექანიზმების მეშვეობით, მოქალაქეები გაცილებით მარტივად შეძლებენ, ჩაერთონ საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გაუმჯობესებაში. დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა ექნებათ, სამსახურს მიაწოდონ ინფორმაცია საჯარო ფინანსების მართვაში არსებული ხარვეზების შესახებ და ჩაერთონ აუდიტის დაგეგმვის, მიმდინარეობისა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესში.

სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმების ინსტიტუციონალიზაციისთვის, 2015 წელს ჩემი ინიციატივით შეიქმნა საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ამოცანაა შედეგზე ორიენტირებული რეკომენდაციების გაცემით ხელი შეუწყოს დარღვევების პრევენციას და საჯარო უწყებებს შესთავაზოს მათი გამოსწორების გზები. ამ მიმართულებით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არსებითად გაუმჯობესდა სამსახურისა და პარლამენტის ურთიერთობაში მომდევნობა, რაშიც დიდი წელილი მიუძღვის ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ). 2015 წელი აღსანიშნავია იმითაც, რომ შეიქმნა აუდიტის ანგარიშების განხილველი სამუშაო ჯგუფი და საგრძნობლად გაიზარდა ანგარიშების საკომიტეტო განხილვების რაოდენობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტორული მისის წარმატებით შესრულება პირდაპირ დაკავშირებულია ჩვენი პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერებასთან. ორგანიზაციის შესაძლებლობების გაძლიერებისთვის, 2015 წელს მრავალი აქტივობა განხორციელდა. აღსანიშნავია საჯარო სამსახურების დამობილების პროგრამა (TWINNING) გერმანელ და პოლონელ კოლეგებთან ერთად, რომლებიც ჩვენს თანამშრომლებს ოცდაათამდე მისის ფარგლებში ყოველდღიურად უზიარებდნენ ცოდნასა და გამოცდილებას. ასევე, გასულ წელს აუდიტორებისთვის ოპტიმალური პროგრამის შექნით, რაც ნორვეგის მთავრობის გრანტის ფარგლებში განხორციელდა. აღნიშნული პროგრამა გაამარტივებს აუდიტორულ პროცედურებს და დაქმიარება აუდიტორებს დროის დაზოგვასა და აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებაში.

2015 წელი გამოიჩინეოდა იმითაც, რომ სამსახურის საქმიანობამ ობიექტურობის კუთხით საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. კერძოდ, პოლიტიკური პარტიების მონიტორინგის მიმართულებით საქართველო ერთ-ერთ საუკეთესო ქვეყნად შეფასდა, ხოლო „ლია ბიუჯეტის ინდექსში“ ბიუჯეტის ზედამხედველობის კუთხით საქართველო მოხვდა მსოფლიოს საუკეთესო უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების სიაში. აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროაქტიული უზრუნველყოფისთვის სამსახურმა მოიპოვა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) 2 ჯილდო.

2015 წელი იყო მრავალფეროვანი ახალი წამოწებებითა და ინიციატივებით, ხოლო წარმატებული - აუდიტორული და ანალიტიკური საქმიანობით. მიუხედავად წინ გადადგმული ნაბიჯებისა, სამსახური კვლავ დგას ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორებიცაა, გაცემული რეკომენდაციების შესრულების დაპალი მაჩვენებელი და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური თანამონაწილეობა სამსახურის საქმიანობაში ჩვენი დამოუკიდებლობებისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით.

წინამდებარე ანგარიში დეტალურად წარმოგიდგენთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2015 წლის საქმიანობას.

**ლაშა თორდია**  
გენერალური აუდიტორი

## სარჩევი

ცლიური ანგარიშის შესახებ	7
<b>სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ</b>	8
1.1 ზოგადი მიმოხილვა	8
1.2 სას-ის საქმიანობა და სარჩეველი	9
1.3 2015 წლის ძირითადი მიღწევები	10
<b>აუდიტორული საქმიანობა</b>	12
2.1 სოციალური უზრუნველყოფისა და დაცხარების სისტემის მართვა	14
2.1.1 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი	15
2.1.2 დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ეფექტიანობა აჭარის რეგიონში	18
2.2 ხარისხიანი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა	20
2.2.1 სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები	20
2.2.2 სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ეფექტიანობის აუდიტი	23
2.2.3 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტი	27
2.3 საგანმანათლებლო სისტემისა და კულტურის პროგრამების მხარდაჭერა	29
2.3.1 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები	30
2.3.2 მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის 2010-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი	33
2.4 საჯარო ფინანსების მართვის ხელშეწყობა	38
2.4.1 მოხსენება 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ნლიური ანგარიშის შესახებ	39
2.4.2 კაპიტალური პროექტების მართვის ეფექტიანობის აუდიტი	43
2.4.3 დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2012-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი	48
2.5 ინფორმაციული უსაფრთხოებისა და მონაცემთა პაზების მართვის მხარდაჭერა	50
2.5.1 სსიპ-სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2010-2015 წლების ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტიანობის აუდიტი	51

2.6 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ეკონომიკური განვითარება	57
2.7 თავდაცვისა და სამართალდამცავი სისტემების განვითარება	63
2.7.1 შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი	63
2.7.2 იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის აღსრულების ეროვნული ბიუროს 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი	65
2.8 სახელმწიფო საწარმოებისა და სსიპ-ების საკუთარი შემოსავლების მართვა	67
2.8.1 საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო სამსახურის ბიუროს 2012-2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი	67
2.8.2 სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი	68
2.8.3 შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ 2012-2014 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	69
2.9 სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ძონების აღრიცხვა და მართვა	70
2.9.1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის 2013-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი	71
2.9.2 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013-2015 წლის შესაბამისობის აუდიტი	73
2.9.3 შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ 2011-2013 და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ 2012-2014 წლების შესაბამისობის აუდიტები	74
2.10 გარემოსდაცვითი პროგრამების მხარდაჭერა	76
2.10.1 ხე - ტყის კომერციული რესურსების მართვის ეფექტურობის აუდიტი	76
2.11 აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგრადერგა	79
<b>ესპერო-ანალიტიკური საქმიანობა</b>	<b>80</b>
3.1 ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ფინანსურის შესრულები	80
3.2 სახელმწიფო ფინანსების პოლიტიკის რეფორმის ფარგლებში ეპროექტის შესრულება	82

3.3	სას-ის როლი საჯარო სექტორში შიდა კონტროლის სისტემის განვითარებისთვის	83
3.4	სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი	83
	<b>კოლეგიკური კარტიების დაფინანსების გამართვალობისა და ანგარიშვალდებულებების ხელშეწყობა</b>	85
	<b>ინსტიტუციური განვითარება</b>	87
	თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან	87
	თანამშრომლობა საზოგადოებასთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან	88
	აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა	89
	ჯილდო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროაქტიული უზრუნველყოფისთვის	91
5.1	საერთაშორისო თანამშრომლობა	92
	თანამშრომლობა დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებთან	92
5.2	ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება	94
	ადამიანური რესურსების მართვა (HR)	94
	მართვის სისტემები	96
	შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესება	98
5.3	ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაძლიერება	98
5.4	სოციალური თანადგომა	100
5.5	ფინანსები	100
	<b>დანართი 1 – 2015 წელს ჩატარებული აუდიტები</b>	101
	<b>დანართი 2 – სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნილი მასალები</b>	108

## ცლიური ანგარიშის შესახებ

წინამდებარე ანგარიშის მიზანია საქართველოს პარლამენტს, მოქალაქეებს, პარტნიორ ორგანიზაციებსა და ყველა დაინტერესებულ მხარეს მიაწოდოს ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (შემდგომში - სას) 2015 წლს განვითარების შესახებ.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის VII თავის, 31-ე მუხლისა და მე-3 პუნქტის მიხედვით,<sup>1</sup> სას საქართველოს პარლამენტს ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს გასული წლის საქმიანობის შესახებ, ასევე, ყოველწლიური ანგარიში საჯაროდ ქვეყნდება.

სამსახურის 2015 წლის საქმიანობის წლიურ ანგარიშში წარმოდგენილია 5 თავი, კერძოდ:

**1**

**პირველ თავში** გადმოცემულია ზოგადი ინფორმაცია სას-ის შესახებ, მათ შორის, სამსახურის მისია, ღირებულებები და სარგებელი საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის, ასევე 2015 წლის ძირითადი მიღწევები;

**2**

**მეორე თავში** შეჯამებულია აუდიტორული საქმიანობა და მოყვანილია როგორც სტატისტიკური ინფორმაცია აუდიტების შესახებ, ასევე - აუდიტის შედეგები ცალკეული აუდიტების მიხედვით;

**3**

**მესამე თავში** ყურადღება ეთმობა აუდიტის სამსახურის ექსპერტ-ანალიტიკური საქმიანობის ძირითად შედეგებს, როგორებიცაა, სამსახურის როლი ანტიკორუფციულ საქმიანობაში და სხვადასხვა პროცესიულ საბჭოში წვლილის შეტანა;

**4**

**მეოთხე თავი** ფოკუსირებულია პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის საქმიანობაზე;

**5**

**მეხუთე თავი** ეხება (1) სას-ის თანამშრომლობას საერთაშორისო და პარტნიორ ორგანიზაციებთან, (2) ორგანიზაციული განვითარების საკითხებს, (3) დაფინანსებას და (4) ხარისხის უზრუნველყოფას.

წინამდებარე ანგარიში, ისევე, როგორც სას-ის ყველა ანგარიში, საჯაროა და ქვეყნდება სას-ის აფიციალურ ვებგვერდზე ([www.sao.ge](http://www.sao.ge)).

<sup>1</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ იხ. შემდეგ ბმულზე:  
[http://sao.ge/files/kanonmdebloba/saxelmicio-auditis-samsaxuris-shesaxeb-saqartvelos-kanoni\\_GEO.pdf](http://sao.ge/files/kanonmdebloba/saxelmicio-auditis-samsaxuris-shesaxeb-saqartvelos-kanoni_GEO.pdf)

# სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ



## 1.1 ზოგადი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური წარმოადგენს **საჯარო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI)** შესაბამის უმაღლეს აუდიტორულ თრგანიზაციას, რომელსაც წელიწლი შეაქვს სახელმწიფო მმართველობის გასაუმჯობესებლად საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან მართვაში.

სას-ის **მისიაა**, ხელი შეუწყოს სახელმწიფო მომსახურების გაუმჯობესებასა და საჯარო რესურსების უკეთეს მართვას კანონიერების, ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით.

**სას-ის საქმიანობა დაფუძნებულია  
შემდეგ ლირებულებებზე:**

**სას დამოუკიდებელია ხელისუფლების  
შტოებისგან და მისი დამოუკიდებლობა  
გამყარებულია კონსტიტუციითა და კანონით**




**სას დამოუკიდებელია:**

- 1 ფინანსურად ■ 3 ორგანიზაციულად
- 2 უწყებრივად ■ 4 ფუნქციონალურად

## 1.2 სას-ის საქმიანობა და სარგებელი

სას თავის საქმიანობას წარმართავს სტრატეგიული გეგმით<sup>2</sup> გათვალისწინებული 4 ძირითადი მიმართულების მიხედვით, კერძოდ:



აუდიტორული საქმიანობიდან აღსანიშნავია, რომ სამსახური თავისი მანდატის ფარგლებში ატარებს:

- ფინანსურ აუდიტს
- შესაბამისობის აუდიტს
- ეფექტიანობის აუდიტს
- ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტს<sup>3</sup>.

ასევე, სამსახური ამზადებს ანგარიშებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და კანონ-პროექტების შესახებ (დეტალური ინფორმაცია იხ. თავში - „საჯარო ფინანსების მართვაში არსებული სისტემური ხარვეზები და რეკომენდაციები“).

აუდიტორული საქმიანობის გარდა, სას-ს თავისი წვლილი შეაქვს ეროვნული ანტიკორუფ-ციული სტრატეგიის ეფექტიან განხორციელებაში, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების სფეროში არსებული რისკების დროულ გამოვლენასა და პრევენციაში. სამსახური ასევე ამზადებს კვლევით პუბლიკაციებსა და უკეთესი პრაქტიკის სახელმძღვანელოებს საჯარო ფინანსების სფეროში არსებულ მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითხებზე. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სამსახური სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მეშვეობით ხელს უწყობს საჯარო აუდიტის გაძლიერებას და ამ სფეროში კვალიფიკირების ამაღლებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის როგორც აუდიტორული, ასევე არააუდიტორული საქმიანობა მიმართულია საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებასა და დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის მოტანაზე:

საზოგადოებისთვის:	პარლამენტისთვის:	აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის:
ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებასთან დაკავშირებით	პარლამენტის ხელშეწყობა მთავრობაზე ზედამხედველობის განხორციელებაში და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში	ცვლილებების, დარღვევების გამოსწორებისა და საჯარო ფინანსების მართვისადმი ახლებური მიდგომების სტიმულირება

<sup>2</sup> სას-ის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2014-2017 წლები) იხ. შემდეგ ბმულზე: [http://sao.ge/files/chvens\\_shesaxeb/strategia2014\\_2017.pdf](http://sao.ge/files/chvens_shesaxeb/strategia2014_2017.pdf)

<sup>3</sup> IT აუდიტი ტარდება ფინანსური, შესაბამისობის ან ეფექტანობის აუდიტების ფარგლებში.

### 1.3 2015 წლის პირითადი მიღწევები

- გასულ წელთან შედარებით 7%-ით გაიზარდა, ჩატარებული აუდიტების რაოდენობა. ასევე 13%-ით გაიზარდა აუდიტებით ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი. სამსახურმა დაფარა - 5,894 მილიონი ლარი:
- სამსახურმა ჩაატარა 122 აუდიტი, მათ შორის:
- 57 - ფინანსური აუდიტი
- 53 - შესაბამისობის აუდიტი
- 3 - ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
- 8 - ეფექტიანობის აუდიტი
- 1 - IT ეფექტიანობის აუდიტი.
- გამოვლენილი დარღვევების თანხობრივმა დაფარვამ შეადგინა 148 მილიონი ლარი.
- აუდიტების შედეგად გაიცა 347 რეკომენდაცია, რომელთაგან შესრულდა 163 რეკომენდაცია.

აუდიტორული  
საქმიანობა

- ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში, სას-ის მიერ პირობების წარმატებულად შესრულების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში მეორედ გადმოირიცხა 1.5 მილიონი ევრო.
- გამოქვეყნდა OECD-ACN-ის კვლევა, რომელშიც ხაზგასმულია სას-ის მნიშვნელოვანი წვლილი ანტიკორუფციულ საქმიანობაში.
- 2015 წლის „ღია ბიუჯეტის ინდექსში“ ბიუჯეტის ზედამხედველობის კუთხით საქართველო მოხვდა შსოფლიოს საუკეთესო უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების სიაში (100/100 ქულით).
- საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირება წარმატებით გაიარა 44-მა პირმა.
- პრეზიდენტის გრანტის ფარგლებში სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა მოამზადა ელეტრონული კურსები აუდიტების შესახებ და შეიქმნა ელეტრონული ბიბლიოთეკა.
- საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა გადაამზადა 261 ადამიანი სხვადასხვა მიმართულებით.
- მომზადდა პუბლიკაცია - „ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი“ და უკეთესი პრაქტიკის სახელმძღვანელო - „შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირება“.

ექსპერტულ-  
ანალიტიკური  
საქმიანობა

პოლიტიკური  
პარტიების  
დაფინანსების  
მონიტორინგი

სამსახურის  
ინსტიტუციური  
გაძლიერება

- საერთაშორისო ორგანიზაციების (Global Integrity da Sunlight Foundation) მიერ პოლიტიკური ფინანსების საკითხის მოწესრიგების/მონიტორინგის (reitingis) მიხედვით, საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა.
- პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაციები საარჩევნო კანონმდებლობის დასახვენად.
- შეიქმნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ხარისხის მართვის სისტემა.

- მიმდინარეობს ინსტიტუციური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი 4 პროექტი:
- საჯარო სამსახურის დამობილების (TWINNING) 2-წლიანი პროექტი გერმანიისა და პოლონეთის კოლეგა ორგანიზაციებთან.
- 3-წლიანი პროექტი IT აუდიტის დასაწერგად.
- დაინტ და მიმდინარეობს პროექტი აუდიტის მართვის ელექტრონული სისტემის (AMS) დასაწერგად.
- „აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა“.
- გაძლიერდა თანამშრომლობა პარლამენტთან:
- საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში შეიქმნა აუდიტების განმხილველი სამუშაო ჯგუფი.
- განხორციელდა 7 აუდიტის ანგარიშის საკომიტეტო განხილვა.
- პარლამენტში გაიგზავნა 166 აუდიტის ანგარიში.
- შეიქმნა საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერების საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფი.
- დაინტ და მიმდინარეობს ინტერაქციული და ანალიტიკური ინსტრუმენტის - პარლამენტისა და მოქალაქეების ჩართულობის ვებპლატფორმის მომზადება.
- საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის მიზნით:
- გაიმართა მედია - სემინარი, რომლის შედეგად გადამზადდა მედიის 20-მდე წარმომადგენელი.
- სას-მა მოიპოვა 2 ჯილდო - საჯარო ინფორმაციისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროაქტიული უზრუნველყოფისთვის.
- საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით გრძელდება აქტიური თანამშრომლობა სტრატეგიულ პარტნიორებთან - GIZ-თან, „საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავასიაში“ პროგრამის ფარგლებში და შვედეთის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციასთან (SNAO).

## აუდიტორული საქმიანობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (სას) აუდიტორული საქმიანობის მიზანია საბიუჯეტო სახსრების ეკონომიკური, პროდუქტიული და ეფექტური განკარგვით სახელმწიფო მმართველობის გაუმჯობესება. სამსახური ხელს უწყობს საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების წარმატებით განხორციელებას და ამ პროცესში მისი, როგორც დამუკიდებელი ექსპერტის როლის განმტკიცებას.


სას ატარებს ფინანსურ, შესაბამისობის, ეფექტიანობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტებს. **ფინანსური აუდიტით** სახელმწიფო აუდიტის სამსახური გასცემს დამოუკიდებელ დასკვნას იმის თაობაზე, შესაბამება თუ არა აუდიტის ობიექტის საქმიანობა და ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს: რამდენად გამართულია ბუღალტრული აღრიცხვა, რამდენად უზრუნველყოფილია ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობა და ფუნქციონირებს თუ არა შესაფერისი შიდა კონტროლის სისტემა. შესაბამისობის აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის ოპერაციებისა და საქმიანობის შეფასება მოქმედ კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო და საგრანტო მოთხოვნებთან, ორგანიზაციულ პოლიტიკასთან და პროცედურებთან შესაბამისობაში.

რაც შეეხება ეფექტიანობის აუდიტს, აღნიშნული ტიპის აუდიტი საშუალებას იძლევა შეფასდეს კონკრეტული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებებით მიღწეული შედეგები და ამ პროცესში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეკონომიკურობა და პროდუქტიულობა, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების დანერგვის პროცესის მიმდინარეობისას. დაბოლოს, ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი მიზნად ისახავს აუდიტორული რწმუნების მიღებას იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფენ ინფორმაციული სისტემები ორგანიზაციის მიზნების მიღწევას, ინფორმაციული აქტივების დაცვასა და სისტემაში არსებული მონაცემების სისრულესა და სიზუსტეს.


აღსანიშნავია, რომ სას ყოველი წლის დასაწყისში ადგენს აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტებს, რომლებიც განისაზღვრება დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული მოსაზრებებისა და ინიციატივების, აგრეთვე აუდიტის თემების შერჩევის სხვა კრიტერიუმების<sup>4</sup> საფუძველზე. სამსახური ყოველწლიურად მიზნად ისახავს პრიორიტეტული, რისკზე დაფუძნებული მიდგომით გაზარდოს აუდიტორული საქმიანობის შედეგად მოტანილი სარგებელი. ამ მიმართულებით 2015 წელს, გასულ წელთან შედარებით, 7%-ით გაიზარდა ჩატარებული აუდიტების რაოდენობა, ხოლო აუდიტორული საქმიანობით 13%-ით გაიზარდა ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი.

<sup>4</sup> დიდი მოცულობის სამიუჯეტო თანხები; მაღლი საზოგადოებრივი ინტერესი; არასწორი მართვა; სისტემური რეფორმის საჭიროება; ბოლო პერიოდში არ ჩატარებულა აუდიტი.

**თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი წლების  
მიხედვით (მილიონი ლარი)**



**აუდიტორული საქმიანობით დაფარული  
თანხების სექტორული განაწილება**




2015 წელს სამსახურმა ჩაატარა 122 აუდიტი, რომლითაც დაფარა 5,894 მილიონი ლარი. ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილმა დარღვევების თანხობრივმა მოცულობამ შეადგინა 148 მილიონი ლარი, მათ შორის:

დარღვევების კატეგორია		თანხა
შესყიდვების მართვა	საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი განკარგვა	12.10 მილიონი ლარი
	საბიუჯეტო რესურსების არაეკონომიკური განკარგვა	4.2 მილიონი ლარი
	საბიუჯეტო რესურსების არაპროდუქტიული განკარგვა	4.2 მილიონი ლარი
	საბიუჯეტო რესურსების არაეფექტური განკარგვა	9.10 მილიონი ლარი
	ზედმეტად გადახდილი საბიუჯეტო სახსრები	1.3 მილიონი ლარი
	სხვა დარღვევები	38 მილიონი ლარი
საპირატო რესურსების მართვა	არამიზნობრივი განკარგვა	34.3 მილიონი ლარი
	არაეფექტური განკარგვა	12.1 მილიონი ლარი
აქტივების მართვა	არაპროდუქტიული განკარგვა	3.6 მილიონი ლარი
	არაეფექტური განკარგვა	17.5 მილიონი ლარი
	სხვა დარღვევები	11 მილიონი ლარი

148 მილიონი ლარი

## ჩატარებული აუდიტები ტიპების მიხედვით




წინამდებარე ანგარიშის ამ თავში წარმოდგენილია 2015 წელს ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებიც შესაბამის რეაგირებას საჭიროებენ როგორც ფალკული უწყებების, ასევე სისტემურ დონეზე. სას-ის აუდიტის ანგარიშები წარმოდგენილია 10 პრიორიტეტული მიმართულების გათვალისწინებით.

## 2.1 სოციალური უზრუნველყოფისა და დაცვის მართვის მიმართულებით სას-მა დაფარა 2,696,472 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 5 აუდიტი.


სოციალური უზრუნველყოფისა და დახმარების სისტემის მართვის მიმართულებით სას-მა დაფარა 2,696,472 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 5 აუდიტი.

დაფარვის მაჩვენებელი



- საერთო დაფარვა
- სოციალური უზრუნველყოფისა და დახმარების სისტემის მართვა

შედეგების განაწილება



- შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად რესურსების არაეფექტური განკარგვა
- საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი განკარგვა
- საბიუჯეტო რესურსების არაეფექტური განკარგვა

## 2.1.1 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან 2008 წლის ჩათვლით პერიოდში განხორციელებული სამხედრო აგრესის შედეგად, საქართველოს მოქალქები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საკუთარი საცხოვრებელი ადგილები, რის შედეგადაც **85,009 ოჯახი დღემდე იმყოფება დევნილობაში**<sup>5</sup>.

დევნილი ოჯახების დიდი ნაწილი იმყოფება მძიმე სოციალურ პირობებში. ამ ფონზე სახელმწიფო იღებს ვალდებულებას აღნიშნული კატეგორიის პირები უზრუნველყოს საცხოვრებელი პირობებით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა დევნილთა სამინისტროს 2011-2013 წლების შესაბისობის აუდიტი, რომლის ფარგლებში აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა დევნილი ოჯახების გრძელვადიანი განსახლების პროცესი, სამინისტროს მიერ განხორციელებული შესყიდვები და სხვა საკითხები.

### ► აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პროგლომენტის მოკლე აღნირა

2013 წელს 85,009 დევნილი ოჯახიდან სახელმწიფოს მიერ საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი გადაეცა 16,282 ოჯახს, კერძოდ:

პერიოდი	ოჯახების რაოდენობა	სტატუსი
2009-2010	6 646	დაკანონებული
2011	478	დაკანონებული
2012	8 209	დაკანონებული
2013	949	დაკანონებული

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სახის დარღვევებს:


- ▶ ხუთ ოჯახს, რომლებიც იმყოფებოდნენ ერთი სარეგისტრაციო ნომრის ქვეშ, საკუთრებაში გადაეცა ერთზე მეტი საცხოვრებელი ფართი;
- ▶ გამოვლინდა 6 შემთხვევა, როდესაც ერთ ოჯახზე გაიცა როგორც ერთჯერადი კომპენსაცია, ასევე განხორციელდა საცხოვრებელი ბინის დაკანონება:

5 73 926 ოჯახი დევნილია 90-იანი წლების სამხედრო აგრესის შედეგად, ხოლო 11 083 ოჯახი - 2008 წლის ომის შედეგად.

# 2

## აუდიტორული საქმიანობა

**გრაფიკი:** პიროვნება X-ს მიღებული აქვს კომპენსაცია და ამავდროულად დაქმაყოფილებულია საცხოვრებელი ფართით კომპაქტურ ობიექტზე, როგორც პიროვნება ა-ის (პიროვნება X-ის ძმა) ოჯახის წევრი.




- ▶ 13 ოჯახზე ზედმეტად გაცემულმა კომპენსაციის თანხამ შეადგინა 130 ათასი აშშ დოლარი

**სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით კი გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:**

- ▶ 2013 წელს სამინისტრომ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გააფორმა 42 ხელ-შეკრულება, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 21,430 ათასი ლარი. ხელშეკრულებების ღირებულების 53% გაფორმდა ორ კომპანიასთან (შპს „NBG“ და შპს „ნიუ კონსტრაქტენი“). აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული კომპანიების კავშირი სამინისტროს თანამშრომლებთან. შედეგად გამოვლინდა, რომ შპს „NBG“ და შპს „ნიუ კონსტრაქტენი“ არაპირდაპირ იყვნენ დაკავშირებული სამინისტროს იმ თანამშრომლებთან, რომელთაც შეეძლოთ გავლენის მოხდენა სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებაზე და ასევე ევალებოდათ სამშენებლო სამუშაობზე ზედამხედველობის (მონიტორინგის) განხორციელება.

**გრაფიკი:** სამინისტროს ის თანამშრომელი, რომლის სამსახურებრივ უფლებამოსილებას წარმოადგენდა სამშენებლო პროცესის ზედამხედველობა, არის იმ კომპანიის დამფუძნებელი, რომელიც 2012-2014 წლებში სამშენებლო მასალებს ანვდიდა სამინისტროს ძირითად მიმწოდებლებს. ამასთანავე, მოცემული კომპანიები სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულად ცხადდებოდნენ და შესაბამისად, მსხვილ კონტრაქტებს იგებდნენ 2013 წელს. სწორედ ამავე პერიოდში დაინიშნა სამინისტროში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე შესყიდვებისა და საზედამხედველო საქმიანობის მიმართულებით მენეჯმენტთა შემადგენლობა, რომელთაც, საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციით, არ ჰქონდათ საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება.



► 2011 წელს სამინისტრომ გამარტივებული შესყიდვის გზით შპს. „მე-სას“ სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვის მიზნით გაუფორმა 8 ხელშეკრულება, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 952 ათასი ლარი, ხოლო 2012 წლის განმავლობაში ანალოგიური მომსახურების შესყიდვაზე გამარტივებული წესით 9 ხელშეკრულება გაფორმდა შპს „მეგოსთან“. ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 1,086 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა კვლევა გადაზიდვის ღირებულების დასადგენად. შედეგად გამოვლინდა, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ გამოყენებული მეთოდით განსაზღვრული სავარაუდო ღირებულებით ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა, სულ მცირე, 654 ათასი ლარის მოცულობის საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა.

### აუდიტის შედეგად გაცემული ძირითადი რეკომენდაციები

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლებითა სამინისტროს:**

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, დაინერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ უკვე დაკმაყოფილებული დევნილი ოჯახების საკუთრებაში საცხოვრებელი ფართების გადაცემის ან/და კომპენსაციის გაცემის თავიდან არიდებას.

დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილება შესყიდვის საშუალების შერჩევისას უნდა იყოს დასაბუთებული. დასაბუთების ვალდებულება განპირობებულია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით. დასაბუთებაში უნდა აღინიშნოს შეხედულებები, მოსაზრებები და გარემოებები, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღების დროს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაბუთების, როგორც თვითნებობისგან დაცვის ვალდებულების, იგნორირება არის შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში.

გამარტივებული შესყიდვის მოსამზადებელ ეტაპზე განხორციელდეს ბაზრის კვლევა, რათა თავიდან იქნეს აცილებული არაკვალიფიციურ მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმება. ბაზრის კვლევის შედეგებში აღინიშნოს შეხედულებები, მოსაზრებები, კრიტერიუმები და ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მიხედვითაც მოხდა კონკრეტული მიმწოდებლის შერჩევა;

არსებული ფინანსური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, ინსპექტირების ჯგუფის შემადგენლობაში შევანილი იქნეს შესაბამისი დარგის სპეციალისტები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მიწოდებული საქონლის/მომსახურებისა და სამუშაოების ხარისხის შესაბამისობის მონიტორინგის სისრულე და უწყვეტობა.

## 2.1.2 დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ეფექტიანობა აჭარის რეგიონში

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური შრომის ბაზარი ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია და ამ პროცესში არსებობს გარკვეული პრობლემები და გამოწვევები, რომელთაგან განსაკუთრებით აქტუალურია სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსი, უმუშევრობის მაღალი დონე და სამუშაო ძალის დაბალი ღირებულება.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ყოველწლიურად გამოყოფა სახსრები, რათა მოხდეს უმუშევრობის შემცირება რეგიონში, იქნება ეს პროფესიული გადამზადების საშუალებით, თუ სხვა ღონისძიებების განხორციელებით. აღნიშნული დაფინანსება მიემართება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - „დასაქმების სააგენტოში - სააგენტო“.

აუდიტმა დაფარა 2012 წლიდან 2015 წლის ჩათვლით პერიოდი. აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეისწავლა რამდენად ადეკვატურია სააგენტოს ქმედებები რეგიონში უმუშევრობის შემცირებასთან დაკავშირებით და პასუხი გასცა შემდეგ მთავარ კითხვებს:

- რამდენად ღია/საჯაროა დასაქმების სააგენტოს მომსახურება?
- რამდენად შესაბამისობაშია სააგენტოს პროგრამები/მიდგომები შრომის ბაზრის მოთხოვნებთან?
- რამდენად ეფექტიანად ხდება უმუშევრების მონაცემთა ბაზის გამოყენება?

### ► აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- ▶ საინფორმაციო ბაზები მუშაობს ავტონომიურად და არ გააჩნია ურთიერთკავშირი. მაგალითად, ხელვაჩაურის ბაზას არ აქვს წვდომა ბათუმის ბაზასთან, ხოლო ბათუმს - ქობულეთის ბაზასთან და პირიქით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტების მიხედვით თითოეული საინფორმაციო ბანკი დამოუკიდებელია და შეუძლებელია რეგიონებმა მიიღონ ინფორმაცია ბათუმის დამსაქმებლების, ვაკანსიებისა და სამუშაოს მაძიებლების შესახებ. სულ, რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების 60% და ვაკანსიების 69% მოდის ბათუმის მუნიციპალიტეტზე.
- ▶ 2012 წელს სააგენტოს ამოცანა იყო გადაემზადებინა 90 პირი. როგორც ზემოაღნიშნული გარემოებიდან ირკვევა, მან შეძლო პროგრამაში ჩაერთო და გადაემზადებინა მხოლოდ 30 პირი, ანუ სულ შესრულდა პროგრამით დაგეგმილი რაოდენობის 33.3%. რაც შეეხება აღნიშნული 30 პირის დასაქმებას, გადამზადებული ბენეფიციარებიდან 16.6%-მა შეძლო დასაქმება 2012 წელს. თუ გავითვალისწინებთ, რომ სამთავრობო პროგრამით განსაზღვრულ იყო დასაქმების მაქსიმუმ 70%-იანი შედეგი, პროფესიული გადამზადების 2012 წლის პროგრამა 53%-ით ჩამორჩება მიზნობრივი პროგრამით განსაზღვრულ მისალებ შედეგებს;
- ▶ 2013 წელს გადამზადების პროგრამით პროფესიული გადამზადება გაიარა 200-მა ბენეფიციარმა და გაიცა შესაბამისი სერტიფიკატები, თუმცა სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გადამზადების შემდგომ დასაქმდა სულ 23 ბენეფიციარი. შესაბამისად,

პროგრამის დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 11.5%-ს. როგორც აღინიშნა, პროგრამით განსაზღვრული იყო საბოლოო შედეგი - ბენეფიციართა გადამზადება და არ იყო ასახული მათი გადამზადების მოსალოდნელი შედეგები, შესაბამისად, აღნიშნული შედეგი - 11.5%, პროგრამასთან მიმართებით ვერ იქნება შესადარისი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ 2012 წელს ანალოგიური პროგრამით განსაზღვრულ მოსალოდნელი დასაქმების შედეგებს, ის 58.5%-ით ჩამორჩება პროგრამის მიზნებს.

▶ სააგენტოს 2015 წელს არ აქვს შემუშავებული გადამზადების პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმი. პროგრამაში არ არის განერილი დასაქმების მოსალოდნელი მაჩვენებელი, რაც შედეგების მონიტორინგის შესაძლებლობას ზღუდავს. ასევე, უკვე გადამზადებული პირების დასაქმების დონის განსაზღვრის მიზნით, სააგენტო არ აწარმოებს სარწმუნო მონაცემებს. კერძოდ, მისი ბაზების მიხედვით გადამზადებული 247 მოქალაქიდან დასაქმების მაჩვენებლები გამოიყურება შემდეგნაირად: 2015 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით 41% არ არის დასაქმებული, 17% - დასაქმებულია, ხოლო 42%-თან დაკავშირება შეუძლებლია.

#### აუდიტის შედეგად გაცემული ეირითადი რეკომენდაციები

არსებული მიგნებების საფუძველზე, შესაბამისი სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, აუდიტის დეპარტამენტმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

#### სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს

სააგენტომ უზრუნველყოს ისეთი საინფორმაციო და პროგრამული სისტემის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ბათუმის, ასევე აჭარის სხვა რეგიონების ჩართვას ერთიან საინფორმაციო სისტემაში.

სააგენტომ უზრუნველყოს ბაზაში არსებული ინფორმაციის როგორც სამუშაოს მაძიელებლის, ასევე დამსაქმებლების სრული ინვენტარიზაცია.

სააგენტომ უზრუნველყოს ბაზაში რეგისტრირებული სუბიექტების შესახებ სრული ინფორმაციის დაფიქსირება, როგორიცაა საკონტაქტო ინფორმაცია, დაბადების თარიღი და ა.შ., რომლის ფუნქციაც პროგრამას გააჩნია.


სააგენტომ უზრუნველყოს პროფესიული გადამზადების პროგრამების შეფასების კრიტერიუმების გადახედვა და საბოლოო შედეგების განსაზღვრა, რომელიც იქნება ორიენტირებული სამუშაოს მაძიებლის დასაქმებაზე სასწავლო კურსის გავლის შემდგომ.

სააგენტომ უზრუნველყოს ეფექტური მონიტორინგი პროფესიული გადამზადების კურსის მიმდინარეობის პროცესში, დასწრების, ცნობადობისა და პრაქტიკული მომზადების საკითხებში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირების მიზნით.


სააგენტომ უზრუნველყოს ვებპორტალის ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც დაკავშირებული იქნება მთავარ საინფორმაციო ბაზებთან და სრულ ინფორმაციას მიაწვდის როგორც სამუშაოს მაძიებლებს, ასევე დამსაქმებლებს არსებული ვაკანსიების შესახებ.

## 2.2 ხარისხიანი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის მიმართულებით სას-მა დაფარა 21,604 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 13 აუდიტი.

დაფარვის მაჩვენებელი



შედეგების განაწილება



- საერთო დაფარვა
- სარისხიანი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა
- შესყიდვების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი განკარგვა
- შესყიდვების პროცესში არსებული სხვა დარღვევები
- აქტივების არაპროდუქტული განკარგვა

### 2.2.1 სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები

ქვეყანაში წარმოებული და იმპორტირებული სურსათის უვნებლობა უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის. სურსათით გამოწვეულ დაავადებებთან დაკავშირებული პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები დიდია როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობის ეფექტუანი სისტემის არსებობა ქვეყანაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მავნე სურსათის მოხმარებით მიყენებული ზიანი და შემცირდეს მასთან დაკავშირებული ხარჯები. ამასთანავე, სურსათის უვნებლობის საკითხები დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყანაში უფრო აქტუალურია, რადგან სამომზმარებლო არჩევანი შეზღუდულია.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ქვეყანაში სურსათის უვნებლობის კონტროლის მიმართულებით. მკვეთრად გაიზარდა ამ მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები და შესაბამისად, გაიზარდა კონტროლის მასშტაბები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა სურსათის უვნებლობის კონტროლის ღონისძიებების ეფექტუანობა როგორც საზღვარზე, ასევე ქვეყნის შიგნით. სურსათის უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის ღონისძიებებიდან ძირთადი აქცენტი სურსათის ფიზიკურ შემოწმებასა და შესაბამისი მონიტორინგის გეგმის შესრულებაზე გაკეთდა, სსიპ - სურსათის უვ-

ნებლობის სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) კონტროლის ღონისძიებებიდან კი შესწავლილ იქნა კონტროლის ორი ძირითადი მექანიზმი - ინსპექტირება და მონიტორინგი.

**სქემა:** სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მართვის სტრუქტურა




#### ► აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პროგლოგის მოკლე აღნარა

აუდიტის პერიოდმა დაფარა 2013 - 2014 წლები და 2015 წლის 6 თვე და გამოვლინდა ძირითადი პრობლემები:

- ▶ სასაზღვრო კონტროლის დროს ნიმუშების აღება მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული რაოდენობის მიხედვით არ მიმდინარეობს.
- 2014 წელი ორ ნაწილად იყოფა. ოქტომბრამდე ნიმუშების აღებას ვეტერინარი ახდენდა ინდივიდუალურად, ხოლო ოქტომბრიდან ამოქმედდა პროგრამა, რომლის მიხედვითაც შერჩევა იყო უწყვეტი და დროში თანაბრად გადანაწილებული. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზი პირველ შემთხვევაში, ასაღები ნიმუშების რაოდენობის ვეტერინარის მიერ დროში არასწორი გადანაწილებაა.
- საზღვარზე შემოსული საქონლის განთავსება ხდება ქვეყნის შიგნით არსებულ ბაზარზე, სადაც კონტროლი ინსპექტირებისა და მონიტორინგის საშუალებით ხორციელდება.

**სქემა:** ინსპექტირების პროცესი



# 2

## აუდიტორული საქმიანობა

► ინსპექტირების პროცესის შესწავლისას გამოვლინდა, რომ აუდიტის პერიოდში სააგენტოს არ გააჩნდა სრული, ზუსტი და დროული ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედ ბიზნესოპერატორებთან დაკავშირებით:


● აღნიშნულმა გამოიწვია ხარვეზები ბიზნესოპერატორთა რისკის დონის განსაზღვრის პროცესში. ბიზნესოპერატორების რისკის დონის განსაზღვრის არსებული პრაქტიკა, ბაზარზე სასურსათო რისკების სრული სურათის დანახვის საშუალებას არ იძლევა.

► ასევე აუდიტით გამოვლინდა, რომ დაბალია პროდუქტიულობა ინსპექტირების განხორციელების პროცესში:

● არსებობს წლის განმავლობაში ჩატარებული ინსპექტირებების რაოდენობის ორჯერ გაზრდის შესაძლებლობა. დაბალი პროდუქტიულობა ძირითადად გამოწვეულია ინსპექტირების გეგმით განსაზღვრული ინსპექტირებების რაოდენობის სიმცირით.

► აუდიტის პერიოდში ხარვეზებით მიმდინარეობდა სურსათის უვნებლობის კონტროლის მონიტორინგის მექანიზმის განხორციელებაც.

### სქემა: მონიტორინგის პროცესი



► აუდიტის პერიოდში სააგენტოს არ განუხორციელებია რისკების მეცნიერული შეფასება.

● მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სააგენტოს ფუნქციებში შედიოდა, არ მოუწვევია შესაბამისი მეცნიერ-ექსპერტები, ხოლო არსებული ადამიანური რესურსები რისკის შეფასების განხორციელებას ვერ უზრუნველყოფდა.

► თბილისში მონიტორინგის ფარგლებში ობიექტების შერჩევა ძირითადად ერთსა და იმავე რაიონში ხორციელდება.

● მაშინ, როდესაც რეგისტრირებული ბიზნესოპერატორების რიცხვი სხვადასხვა რაიონში უფრო მაღალია. მონიტორინგის ფარგლებში ობიექტების შემოწმება ვერ უზრუნველყოფს, რომ რაიონების მიხედვით რეგისტრირებული ბიზნეს- თპერატორების რაოდენობა პროპორციულად იყოს მოცული.

► სააგენტოში „ცხელი ხაზი“ მხოლოდ სამუშაო დღეებსა და საათებში მოქმედებს და არ არის გამართული „ქოლცენტრის“ სისტემა.

● სააგენტოში „ცხელი ხაზის“ გაუმართავი მუშაობა გავლენას ახდენს საფრთხის შემცველი ბიზნესოპერატორებისა და შესამოწმებელი სასურსათო პროდუქტების შერჩევა-

ზე. შესაძლებელია სააგენტომ ვერ მიიღოს მნიშვნელოვანი რისკის შემცველი ინფორმაცია მომხმარებლისგან.

### აუდიტის შედეგად გაცემული პირითაცი რაკომენდაციები

#### სსიპ სურსათის უვნებლობის სააგენტოს:

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ სასაზღვრო კონტროლის დროს პერიოდულად უნდა განხორციელდეს ელექტრონული პროგრამის მონიტორინგი, რათა პროდუქტები შემოწმდეს გეგმით განსაზღვრული სიხშირით.

სააგენტომ უზრუნველყოს ბიზნესოპერატორთა შერჩევის პროცესში გამოყენებული ბაზების დროულად დაზუსტება და ბაზაში არსებული ყველა ბიზნესოპერატორისათვის რისკის დონის განსაზღვრის პროცედურის განხორციელება.

გადაიხედოს და გაიზარდოს ერთი ინსპექტორის მიერ წლის განმავლობაში ჩასატარებელი გეგმიური ინსპექტირების მაჩვენებელი და მოხდეს ინსპექტირების ჯგუფების ოპტიმალური რაოდენობის ინსპექტორებით დაკამბლექტება.

მონიტორინგი განახორციელდეს რისკზე დაფუძნებული მიდგომით და უზრუნველყოფილ იქნეს რისკის შეფასების შედეგების მონიტორინგის საქმიანობაში გათვალისწინება.

სააგენტომ შეიმუშაოს მეთოდი შესამოწმებელი ბიზნესოპერატორების შესარჩევად, რითაც უზრუნველყოფს ბიზნესოპერატორების შესამოწმებელი ობიექტების რაიონების მიხედვით პროპორციულ მოცვას.

სააგენტომ უზრუნველყოს მომხმარებელების ინფორმირებულობა სააგენტოში „ცხელი ხაზის“ არსებობის შესახებ. ჩატაროს სარეკლამო კამპანია სასურსათო პროდუქტები დარღვევის ალმოჩენის შემთხვევაში რა უნდა მოიმოქმედოს მომხმარებელმა, ვის უნდა დაუკავშირდეს და რა სახის ინფორმაცია უნდა მიაწოდოს.

სააგენტომ უზრუნველყოს „ცხელი ხაზის“ შეუზღუდავად ფუნქციონირება და მიღებულ ინფორმაციაზე სწრაფი რეაგირება.

## 2.2.2 სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ეფექტიანობის აუდიტი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ყველა ქვეყნისთვის პრიორიტეტული საკითხია. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ გამოწვევას უკავშირდება ჯანმრთელობის დაცვა განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლებიც ცდილობენ სოციალურ-ეკონომიკური გარემოებებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად შეზღუდული მატერიალური რესურსის ფარგლებში მაქსიმალური შედეგის მიღწევას. ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა

პირველადი ჯანდაცვის მყარი საფუძვლის არსებობაა. პირველადი ჯანდაცვა აუმჯობესებს ჯანმრთელობის მაჩვენებლებს და ქვეყნებს საშუალებას აძლევს, შეამცირონ დანახარჯები გადაუდებელ და სტაციონარულ მომსახურებაზე.

საქართველოს სოფლებში პირველად ჯანდაცვას უზრუნველყოფს სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ.

პირველადი ჯანდაცვის კომპონენტის ფარგლებში სოფლის ექიმებთან და ექთნებთან მიმართვიანობა საქართველოს მასშტაბით ყოველწლიურად დაახლოებით 1 მილიონ ვიზიტს შეადგენს.

იმდენად, რამდენადაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობა ქვეყნის მომსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენს, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის (46.3%), პირველადი ჯანდაცვის მომსახურების დროული და ხარისხიანი მიწოდება ძირითადად პროგრამის ეფექტიანად განხორციელებაზეა დამოკიდებული.


აუდიტის შედეგად შეფასდა სოფლად პირველადი ჯანდაცვის პროდუქტიულობის საკითხები: პროგრამის ფარგლებში განეული მომსახურების ხელმისაწვდომობა, მოსახლეობისთვის პროდუქტიული მომსახურების განევის წინაპირობების არსებობა, ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში სოფლის ექიმის ინტეგრირება.

## ► აუდიტის შედეგად გამოვლინები მთავარი პროგლობის მოკლე აღნერა

აუდიტის პერიოდმა დაფარა 2014 წელი და 2015 წლის I - II კვარტალი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა პრობლემები და ნაკლოვანებები, რომლებიც ზღუდავს სოფლად პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას და მოსახლეობისთვის განეული მომსახურების პროდუქტიულობას:

- ▶ სოფლის ექიმების დემოგრაფიული განაწილების კრიტერიუმი დადგენილი არ არის. უკეთესი პრაქტიკის მიხედვით განსაზღვრულ ნორმასთან შედარებით, სამედიცინო პერსონალის განაწილება მიღებულ ნორმაზე დაბალია 57 ტერიტორიულ ერთეულში, სადაც ექიმებს 2500-ზე მეტი მოსახლის მომსახურება უწევთ.
- ▶ პროგრამის ფარგლებში 10,000-ზე მეტი ადამიანი ნაწილობრივ (მხოლოდ ექთნის მეშვეობით) იღებს პირველადი ჯანდაცვის მომსახურებას.
- ▶ ექიმების დატვირთვა (მიღებული პაციენტების რაოდენობა), რომელიც ექიმების პროდუქტიულობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია, საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. არსებობს ტერიტორიული ერთეულები, სადაც ერთ ტერიტორიულ ერთეულში დასაქმებულ 2 ექიმს მნიშვნელოვნად განსხვავებული დატვირთვა აქვს.

**გრაფიკ:** ერთ ტერიტორიულ ერთეულში დასაქმებული სოფლის ექიმების განსხვავებული დატვირთვა. გრაფიკზე ნარმოდგენილია შემთხვევით შერჩეულ ოთხ ტერიტორიულ ერთეულში ორ სხვადასხვა ექიმთან პაციენტების ვიზიტების საშუალო რაოდენობა თვეში. ქვეყნის მასშტაბით ერთ ექიმთან პაციენტების ვიზიტების საშუალო რაოდენობა 70-ის ტოლია.




აღნიშნულის მიზეზები პროგრამის დიზაინსა და ადმინისტრირებაში არსებულ შემდეგი ტიპის ხარვეზებს უკავშირდება:

- ▶ სამედიცინო პერსონალისგან მომსახურების შესყიდვა ხორცილდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესაბამისად, ხელშეკრულებებით არ რეგულირდება ექიმის სამუშაო დრო, სამუშაო განრიგი (სხვადასხვა სოფლებში დაგეგმილი ვიზიტები კვირის განმავლობაში) და სხვა სამსახურში შეთავსებით მუშაობის პირობები. ამასთანავე, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ არ ხდება სამედიცინო პერსონალის მონიტორინგი. შედეგად, ექიმების სულ მცირე, 20% დასაქმებულია სხვა სამსახურში, ხოლო მონიტორინგის მექანიზმის არარსებობა, ექიმებს აძლევს საშუალებას, სასურველ დროს იარონ მომსახურების გაწევის ადგილას.

2

სქემა: სასწრაფოს, სოფლის ექიმებისა და სპეცდაფინანსების დაწესებულებაში დასაქმებული ექიმების კვეთა



- ▶ სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება არ ემყარება მათი მოტივაციის ამაღლებას. ანაზღაურება ფიქსირებულია და არ განისაზღვრება არც მიღებული პაციენტების რაოდენობით და არც კარგად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად. ექიმის მიერ განეული ხარჯები (სოფლებს შორის ტრანსპორტირება, მედიკამენტების ჩანთის განახლება) მიღებული პაციენტების რაოდენობის პროპორციულად იზრდება, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ექიმის მოტივაციაზე, მიიღოს ნაკლები პაციენტი.
  - ▶ სოფლის ექიმის ინტეგრირება სკრინინგის პროგრამასთან სუსტია (გარდა გუჯარის მუნიციპალიტეტისა), რაც უკავშირდება იმას, რომ სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამების (სოფლის ექიმისა და სკრინინგის პროგრამის) ერთმანეთთან კოორდინაცია არასაკმარისია.

აუდიტის გადაგად გაცემული ქირითადი რეკომენდაციები

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს:

სამედიცინო პერსონალის ოპტიმალურად განაწილების მიზნით, შემუშავდეს და დადგინდეს დემოგრაფიულ-გეოგრაფიული კრიტერიუმები ტერიტორიული ერთაულებისთვის (მოსახლეობის აღწერის ახალ მონაცემებზე დაყრდნობით);

ეტაპობრივად მოხდეს სამედიცინო პერსონალის სტიმულირება ანაზღაურების სისტემაში (კვლილებებით);

სამინისტრომ და სააგენტომ უზრუნველყონ სოფლის ექიმის პროგრამის კოორდინაცია დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის პროგრამასთან იმ მიზნით, რომ პირველადი ჯანდაცვა სოფლად მეტად ემსახურებოდეს პრევენციულ ფუნქციას და გაიზარდოს პირველადი ჯანდაცვის როლი დაავადებათა ადრეულ გამოვლენაში.

#### სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს:

პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს სოფლის ექიმის საქმიანობისა და შედეგების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს სამუშაო პროცესის გამჭვირვალობას.

შემუშავდეს სამედიცინო პერსონალის მიერ სხვადასხვა სოფელში დაგეგმილი ვიზიტების განრიგი იმ მიზნით, რომ შეიქმნას სამუშაოს შესრულების ვალდებულება;

### 2.2.3 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტი

სამედიცინო მომსახურებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სამედიცინო მომსახურებაზე ბარიერების არსებობამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მოქალაქის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. სწორედ სამედიცინო მომსახურებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველსაყოფად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ამოქმედდა 2013 წლიდან.

საკითხის მნიშვნელობიდან და საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტის ფარგლებში სხვა საკითხებთან ერთად შესწავლილ იქნა მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა.

#### ► აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღნარი

- მოსახლეობის ერთი კატეგორია სარგებლობს ჯანმრთელობის ორმაგი დაზღვევით და შესაბამისად, გარკვეული პრივილეგიებით, ხოლო მეორე კატეგორია სარგებლობს მხოლოდ პროგრამის ფარგლებში დაზღვევის მინიმალური პაკეტით, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს პროგრამის ბენეფიციარებს. ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის მაგალითზე დადგინდა, რომ 24,814 პირი, კორპორაციულ დაზღვევასთან ერთად სარგებლობს მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებულია 773 ათასი ლარი.

- ▶ აუდიტის ჯგუფმა გამოავლინა სამედიცინო მომსახურებაზე პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებადი სატარიფო არეალის განსაზღვრის პროცესში კონტროლის სისუსტეები. მაგალითად, აუდიტის ობიექტი არ ფლობს ინფორმაციას მთავრობის 218-ე<sup>6</sup> და 165-ე<sup>7</sup> დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლებისათვის გაწეულ მომსახურებაზე ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური ღირებულების შესახებ, რაზეც მიბმულია ტარიფის „ჭერი“ და შესაბამისად, ანაზღაურების მოქმედი ტარიფები „კონტროლიდან“ არის გასული, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არაერთომიური ხარჯვის რისკს.
- ▶ დაავადებებსა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემებზე სამედიცინო ჩარევების კომბინაციებზე ფასნარმოქმნის შესწავლისას გამოვლინდა ანომალიურად დაბალი და მაღალი ფასები<sup>8</sup>, რაც ინვესტიციების მიერ გადასხდელი თანხის ზრდას და მეორე მხრივ, სახელმწიფო ხარჯების ზრდას.
- ▶ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო საყოველთაო ჯანმრთელობის პროგრამის ფარგლებში კლინიკების მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურებას ახორციელებს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული გადახდის ვადების მკვეთრი დარღვევით. კერძოდ, აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელდა მოცემული შერჩეული ერთობლიობის გრადაცია, ე.წ. „ვადაგადაცილებული ანგარიშსწორების“ დამატების მიხედვით. შერჩეული 76 ერთეულიდან, საიდანაც 63 შემთხვევაში (ლირებულებით 973 ათასი ლარი) ანგარიშსწორება განხორციელებულია დადგენილი ვადის დარღვევით.
- ▶ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ მართვას და მის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების კოორდინაციას ახორციელებს სააგენტო. ვლინდება შემთხვევები, როდესაც დროის ერთსა და იმავე პერიოდში ერთდროულად სამსახურებრივ საქმიანობას ეწეოდნენ როგორც სააგენტოში, ასევე პროგრამაში ჩართულ სამედიცინო დაწესებულებებში. ასეთი შემთხვევების რაოდენობა შეადგენს 23 ერთეულს. შემთხვევათა მნიშვნელოვან ნაწილში აღნიშნული პირები წარმოადგენნ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის მართვის დეპარტამენტის (სააგენტოს) შესრულებული სამუშაოს მართვისა და მონიტორინგის სამმართველოების თანამშრომლებს.
- ▶ სოციალური მომსახურების სააგენტომ „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში შეისყიდა საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი, სასკოლო და საყოფაცხოვრებო ნივთები. მთავრობის დადგენილების მიხედვით, სააგენტოს შეზღუდულ ვადებში შეუფერხებელი განხორციელების აუცილებლობითა და გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების დისკრეციული უფლებამოსილებით უნდა განხორციელებინა შესყიდვა. სააგენტომ გამარტივებული წესით გააფორმა ხელშეკრულება მომზრდებელთან, ჯამური ღირებულებით 1,164.5 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში საქონლის შესყიდვა განხორციელდა დადგენილების გამოცემიდან 6 და 8 თვის შემდეგ, ხოლო ის მიზანი, რომლის გამოც სააგენტოს მიენიჭა გამარტივებული წესით შესყიდვის განხორციელების დისკრეცია, არ იქნა რეალიზებული. აღნიშნულ შემთხვევაში შესყიდვის ერთი ობიექტის ქვეშ გაერთიანებული იყო სრულიად განხსხვავებული ფუნქციონალური დანიშნულების სასაქონლო ნომენკლატურა (საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი, სასკოლო და საყოფაცხოვრებო ნივთები), რაც ქმნის საქონ-

<sup>6</sup> სოციალურად დაუცველები, საჯაროს სკოლის მსსწავლებლები, სახალხო არტისტები, სახალხო მსატრებები, რესთაველის პრემიის ლაურეატები.

<sup>7</sup> 0-5 წლის ჩათვლით ბავშვებისტუდენტები, საერთო ასაკის მოსახლეობა, შშმ ბავშვები და მკვეთრად გამოხატული შშმპ საქართველოს მოქალაქები.

<sup>8</sup> სატარიფო მენეჯერის განსაზღვრის ფრამული: მასიმალურ ღირებულებას გამოკლებული მინიმალური, სხვაობა გაყოფილი ითხზუ და დამატებულია მინიმალური ღირებულება -  $(\text{max}-\text{min})/4+\text{min}$ = ტარიფის არეალი.


ლის მიწოდების ჯაჭვში ახალი რგოლის წარმოშობის და შესაბამისად, საქონლის ღირებულების ზრდის რისკს.

► სამინისტროს მიერ C ჰეპატიტის სკრინინგისა და ლვიძლის დიაგნოსტიკის აპარატურა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდულ იქნა იმ დროს, როდესაც არ იყო განსაზღვრული C ჰეპატიტზე მკურნალობის სტრატეგია, სამიზნე ჯგუფები და პენეფიციართა რაოდენობა. აპარატურის მიწოდება განხორციელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დაგვიანებით, 2015 წლის 6 აპრილს. 2015 წლის ივლისის მდგომარეობით შესყიდული 5 ერთეული აპარატიდან, მხოლოდ ერთი იყო ექსპლუატაციაში, ხოლო დანარჩენი ოთხი განთავსებული იყო სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში არასასაწყობო პირობებში.

## 2.3 საგანვითლებლო სისტემისა და კულტურის პროგრამების მხარდაჭერა


საგანვითლებლო სისტემებისა და კულტურის პროგრამების მხარდაჭერის მიმართულებით სას-მა დაფარა 914,282 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 11 აუდიტი.

დაფარვის მაჩვენებელი



- საერთო დაფარვა
- საგანვითლებლო სისტემებისა და კულტურის პროგრამების მხარდაჭერა

შედეგების განაწილება



- აქტივების მართვაში არსებული სხვა დარღვევები
- შესყიდვების მართვაში არსებული სარვეზების შედეგად რესურსების არაეკონომიური განკარგვა
- საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი განკარგვა

### 2.3.1 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უმაღლესი განათლების ხარისხზე. აქედან გამომდინარე, უმაღლესი განათლების სტაბილური სისტემისა და სამეცნიერო სფეროს განვითარება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად არის განსაზღვრული. სტრატეგიის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უმაღლესი განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, მუდმივად იზრუნოს მისი ხარისხის განვითარებაზე და მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი ახალგაზრდები.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი გარე მექანიზმია და ემსახურება ქვეყანაში არსებულ სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა აღნიშნული პროცესის დანერგვა 2010 წლიდან დაიწყო. 2011-2015 წლებში ცენტრმა აკრედიტაცია მიანიჭა 73 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ 1,567 პროგრამას. საქართველოში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 132,554 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი ირიცხება, რომელთაგანაც ნახევარზე მეტი იღებს სახელმწიფო დაფინანსებას, რამაც საერთო ჯამში 2015 წელს 73.7 მილიონი ლარი შეადგინა.

#### ► აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღნირა

უმაღლესი განათლების სექტორში განხორციელებული კვლევების<sup>9</sup> შედეგად დგინდება, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე პირთა მხოლოდ 24%-ია დასაქმებული და მუშაობს საკუთარი პროფესიონით. აგრეთვე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულების შეფასებით, მათ აკლიათ პროფესიული და პრაქტიკული ცოდნა მიღებული განათლების შესაბამის სფეროში და აქედან გამომდინარე, მათი განათლება ვერ პასუხობს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების ეფექტუარობის აუდიტი, რომელიც ფარავდა ცენტრის მიერ 2011 წლიდან 2015 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით განხორციელებულ ღონისძიებებს, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის კუთხით.


აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ცენტრს არ აქვს წინასწარ განსაზღვრული და ერთობლივი სახით გამოქვეყნებული აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები. აღნიშნული აფერხებს ექსპერტების მიერ აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის ეფექტიან შეფასებასა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ საკმარის ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას.

<sup>9</sup> განათლების პოლიტიკის, დაგენერიკისა და მართვის საერთაშორისო ცენტრის (EPPM) მიერ, G-PAC პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კვლევა, რომელიც მომზადდა პროგრამის „საქართველოში საჯარი პოლიტიკის აღვთვატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ ფარგლებში


უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვიზიტების 29%-ისთვის შერჩეული ექსპერტთა ჯგუფი არ მოიცავდა ყველა შესაბამისი დარგის ექსპერტს. ვიზიტების 17.5%-ისთვის შერჩეულ ექსპერტთა რაოდენობა არ შეესაბამებოდა ვიზიტისას შესაფასებელი პროგრამების რაოდენობას. შემთხვევების 29%-ში, ცენტრმა ექსპერტებს აკრედიტაციის ვიზიტამდე მოსამზადებლად მინიმალურ 5 დღეზე ნაკლები ვადა გამოიყო, მაშინ, როდესაც საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, მინიმალური ვადა 2 თვეა.

**დიაგრამა:** კონკრეტული ტიპის დარღვევების პროცენტული ნილი ვიზუალური მთლიანი რაოდენობიდან. 1-3 დიაგრამებზე მწვანე ფერი აღნიშნავს 2011-2015 წლებში განხორციელებული იმ ვიზუალური პროცენტულ ნილს, რომლებზეც არ დაფიქსირდა აღნიშნული დარღვევა. დანარჩენი ფერებით აღნიშნულია დარღვევების პროცენტული ოდენობა ვიზუალური სრული სიმრავლიდან ნილების მიხედვით. მე-4 დიაგრამა ასახავს დარღვევების ჯამურ ოდენობას წლების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში ვიზიტისას გამოვლინდა 1-ზე მეტი ტიპის დარღვევა (მაგალითად, დარღვეული იყო ვადა და ექსპერტთა ჯგუფი არ მოიცავდა ყველა შესაბამისი სფეროს ექსპერტს). აქედან გამომდინარე, დარღვევების ჯამური რაოდენობა ნაკლებია ცალკეული ტიპის დარღვევების ჯამში.


## 1. არასაკმარისი ვადები:




2. ექსპერტთა არასაკმარისი რაოდენობა:  
17.5%



### 3. შეუსაბამო სფეროს ექსპერტები: 28.9%



4. დარღვევების წილი ყველა ვიზიტიდან:  
56,4%



ცენტრს აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად 90 დღე აქვთ დადგენილი, რაც მოიცავს ცალკეულ სააკრედიტაციო პროცედურებს (ადმინისტრაციული სამუშაო, სააკრედიტაციო ვიზიტი და სხვა). ცენტრი ამ ვადის დაახლოებით 1/3-ს იყენებს და ვერ უზრუნველყოფს დროისა და ადამიანური რესურსების ერთგვაროვან გადანაწილებას შესაფასებელი.

ლი საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით. აკრედიტაციის პროცესის ვადების არაადეკვატური გამოყენება უარყოფით გავლენას ახდენს აკრედიტაციის პროცესის ხარისხზე - დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საბჭოს წევრებს ერთ დღეზე ნაკლები ჰქონდათ აკრედიტაციის საბჭოს სხდომისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და თანდართული დოკუმენტაციების შესასწავლად.

აგრეთვე, ცენტრს არ აქვს დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის მინიჭების შემდგომი რეაგირების მექანიზმი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის სტანდარტულ დონეზე შენარჩუნება. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2011 წლიდან, ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე არ განხორციელებულა არც ერთი მონიტორინგის ვიზიტი.

### აუდიტის შედეგად გაცემული პირითადი რაკომიადაციაზი

#### სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს:

აკრედიტაციის სტანდარტების მეტი კონკრეტულობის, ერთგვაროვნების, აღქმადობისა და მიღწევადობის უზრუნველსაყოფად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უნდა იზრუნოს არსებული სტანდარტების მოთხოვნების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის ამაღლებაზე და საჭიროების შემთხვევაში, მათი ჩართულობით, არსებული სტანდარტების გადახედვასა და განახლებაზე. ამგვარი სტანდარტები არსებითად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ცენტრმა შეაფასოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების მისაღებ ხარისხთან შესაბამისობა.

აკრედიტაციის სტანდარტების გადახედვისა და განახლების პროცესში, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის სათანადოდ შეფასების მიზნით, პროგრამასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის მისაღებად, ცენტრმა უნდა დაადგინოს შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები თითოეულ სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. აღნიშნული კრიტერიუმები და ინდიკატორები უნდა იყოს გაზომვადი და ნათლად აღსაქმელი, აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების ობიექტურობის და ერთგვაროვნების მისაღწევად.

გათვალისწინებული უნდა იქნეს ბაზაში არსებული ყველა ექსპერტის შესაბამისობა შერჩევის ახალ კრიტერიუმებთან<sup>10</sup>. უნდა დადგინდეს ექსპერტთა კორპუსის სისტემატური გადახედვისა და განახლების პირობები და დაინერგოს შესაბამისი პროცედურა, რათა ექსპერტთა კორპუსი თანხვედრაში იყო ცენტრის საჭიროებებთან.

<sup>10</sup> „აკრედიტაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ შესაბამისად.

სააკრედიტაციო ვიზიტების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, ექსპერტთა ჯგუფის წევრების შერჩევისას, ცენტრმა იმგვარად უნდა განახორციელოს მექანიზმის ადაპტირება, რომ უზრუნველყოფილ იქნეს: განსახილველ პროგრამებთან შესაბამისი სფეროს ექსპერტების შერჩევა, საგანმანათლებლო პროგრამაზე ექსპერტთა ადეკვატური რაოდენობა და გონივრული ვადები ექსპერტების მიერ ჩასატარებელი სამუშაოსათვის.

იმ მიზნით, რომ აკრედიტაციის საბჭოს წევრებს მიეცეთ საკმარისი დრო ზეპირ მოსმენამდე ყველა საჭირო დოკუმენტის შესასწავლად, უნდა განისაზღვროს აკრედიტაციის პროცესის თითოეული ეტაპისთვის გამოყოფილი დრო და ადამიანური რესურსები, შესაფასებელი საგანმანათლებლო პროგრამის კომპლექსურობის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს აკრედიტაციის პროცედურების მაღალი ხარისხი.

ცენტრმა უნდა შეიმუშაოს და დანერგოს შემდგომი რეაგირების ქმედითი სისტემა აკრედიტებულ პროგრამებთან მიმართებაში. დანტერესებული მხარეების ჩართულობით, მონიტორინგისთვის უნდა განისაზღვროს ოპტიმალური პერიოდულობა და შინაარსზე ორიენტირებული შეფასების მიზნით, პროცესში უნდა ჩაერთონ შესაბამისი სფეროს აკრედიტაციის ექსპერტები. უნდა შემუშავდეს და დაინერგოს რისკის ანალიზის მოდელი, რომლის საფუძველზეც მოხდება პროგრამების შერჩევა შემდგომი რეაგირების პროცედურებისთვის.

### 2.3.2 მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის 2010-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი


„მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამა“ დაინერგა 2010 წელს. 2010-2012 წლებში პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენდნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების<sup>11</sup> და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების მოსწავლე შვილები. 2013 წელს სრული ზოგადი განათლებისა და საგანმანათლებლო რესურსების თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროს ინიციატივით, პროგრამამ მოიცვა ყველა საჯარო სკოლის მოსწავლე, კერძო სკოლების სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების მოსწავლე შვილები, ახალგორის მუნიციპალიტეტისა და გალის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა „მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ 2010-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი. შესწავლილ იქნა მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხი და პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვები.

<sup>11</sup> 2010 წელს - 57 001 სარეიტინგო ქულაზე ნაკლები ოჯახის შვილები - I-XII კლასის მოსწავლეები; 2011 წელს - 70 000 სარეიტინგო ქულაზე ნაკლები ოჯახის შვილები - I- VI კლასის მოსწავლეები და 57 001 სარეიტინგო ქულაზე ნაკლები ოჯახის შვილები - VII- XII კლასის მოსწავლეები ; 2012 წელს - 70 000 სარეიტინგო ქულაზე ნაკლები ოჯახის შვილები - I-XII კლასის მოსწავლეები.

პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი 2010-2014 წლებში ჯამურად შეადგენდა 30 ათას ლარს. განხორციელებული ცვლილების შედეგად, პროგრამის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 52.8 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 52.5 ათასი ლარი.

**პროგრამის ბიუჯეტი 2010-2014 წლებში (ათას ლარებში)**



## ► აუდიტის შედეგად გამოვლინები მთავარი პროგლობის მოკლე აღნირა

### ► სახელმძღვანელოებისთვის გრიფის მინიჭება

იმისათვის, რომ სახელმძღვანელო გამოყენებულ იქნეს სასწავლო პროცესში, სავალდებულოა მიენიჭოს გრიფი, რომელიც გულისხმობს მის მეთოდურ, შინაარსობრივ და ტექნიკურ შეფასებას და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის დადგენას. გრიფის მისანიჭებლად სავალდებულოა, სახელმძღვანელოს მაკეტმა გადალახოს ტექნიკური პარამეტრებისა და შინაარსის შეფასების წინასწარ დადგენილი ქულები. აუდიტის ჯგუფის მიერ დადგინდა, რომ სახელმძღვანელოში შესასრულებელი სავარჯიშოების არსებობის შეფასებისას მიღებული უარყოფითი ქულა გავლენას ვერ ახდენს კონკრეტული სახელმძღვანელოს შეფასების საბოლოო შედეგზე. აქედან გამომდინარე, მოცემული წესი უშვებს შესასრულებელი სავარჯიშოების არსებობის შესაძლებლობას გრიფინიჭებულ სახელმძღვანელოებში. კერძოდ, გრიფინიჭებული სახელმძღვანელოს 283 სახეობიდან, დაახლოებით 160-ში განთავსებულია ამოსაჭრელი/ჩასაწერი/ჩასახაზი სავარჯიშოები ან მინიშნებები შესასრულებლად. არსებული გარემოების გათვალისწინებით, გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების 57% მაღალი რისკის შემცველია, მათი მომდევნო სასაწავლო წლისათვის გამოყენების თვალსაზრისით.

### ► შესასყიდი სახელმძღვანელოების დაანგარიშების პროცესი:

შესაძენი სახელმძღვანელოების განსაზღვრა ხდება **სააგენტოში არსებული მარაგის** და **სკოლებიდან** ვარგისი სახელმძღვანელოების შესახებ **სტუდენტ-ით<sup>12</sup>** მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. კონტროლის სუსტი მექანიზმების გამო, ესტუდენტ-ში ვარგისი სახელმძღვანელოების შესახებ ასახული არაზუსტი მონაცემების საფუძველზე ხდება შესაძენი სახელმძღვანელოების არასწორად, მეტობით დაანგარიშება და შექნა, რაც იწვევს გამოყენებული,

<sup>12</sup> ელექტრონული ბაზა „მოსწავლეთა მართვის სამსახურისაციო სისტემა“.

მაგრამ ვარგისი სახელმძღვანელოების მნიშვნელოვანი ნაწილის ახლით ჩანაცვლებას და სკოლებში როგორც ვარგისი, ასევე მეტობით მიღებული ახალი სახელმძღვანელოების არაოპტიმალური მარაგის ფორმირებას.

estudent-ში ვარგისი სახელმძღვანელოების შესახებ ასახული ინფორმაციის სიზუსტის რწმუნების მიღების მიზნით, აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

- შერჩეული შვიდი საჯარო სკოლის ბიბლიოთეკაში არსებობს როგორც ახალი, ასევე წინა წლებში გამოყენებული, მაგრამ ვარგისი სახელმძღვანელოების მნიშვნელოვანი მარაგი. კერძოდ, მოსწავლეების სახელმძღვანელოებით სრულად უზრუნველყოფის შემდგომ, ბიბლიოთეკებში დარჩენილი ვარგისი (ახალი, გამოყენებული) სახელმძღვანელოს რაოდენობამ შეადგინა 23 159 ერთეული, რაც მოთხოვნილი (29 305) რაოდენობის 79%-ს შეადგენს.
- შერჩეული 56 საჯარო სკოლის მიხედვით, 2014-2015 სასწავლო წლისთვის, მეტობით შეძენილ იქნა დაახლოებით 255 ათასი ლარის ღირებულების გერმანული და ფრანგული ენის სახელმძღვანელოები, რაც გამოწვეული იყო ესტუდენტ-ის გაუმართაობით. კერძოდ, უცხოური ენის (გერმანული, ფრანგული, რუსული) სახელმძღვანელოები დაანგარიშებულ იქნა მოსწავლეთა სრული ოდენობის მიხედვით, ნაცვლად მოსწავლეთა საჭირო რაოდენობისა.

პროგრამის ფარგლებში მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან უფასო რვეულებით, რომლებიც მათი თვისისტრიობის გამო გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი სასწავლო წლისათვის. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ესტუდენტ, ვინაიდან ვერ უზრუნველყოფდა რვეულების თაობაზე ინფორმაციის ასახვას, საჭიროების გარეშე ხდებოდა მათი დამატებით მინოდება, რაც იწვევდა ახალი რვეულების მნიშვნელოვანი რაოდენობის აუთვისებელი მარაგის ფორმირებას.

მოყვანილი ფაქტები მიუთითებს სახელმძღვანელოებისა და რვეულების დაანგარიშების პროცესის კონტროლის სისუსტეებზე.

#### ► გამოვლინდა ხარვეზები შესყიდვების მიმართულებით:

სამინისტრომ 2011 წელს სახელმძღვანელოების სადისტრიბუციო მომსახურების გაწევის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულება გააფორმა შპს „საქართველოს ფოსტასთან“ - ღირებულებით 350.5 ათასი ლარი. 2012 წელს სამინისტრომ მიიღო განსხვავებული გადაწყვეტილება - სახელმძღვანელოების შეძენა და დისტრიბუცია გააერთიანა შესყიდვის ერთ ობიექტად და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მისი შეძენა განახორციელა შპს „საქართველოს ფოსტისგან“. მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 1,480.0 ათასი ლარი.

2013-2014 წლებში ელექტრონულ ტენდერებზე ვაჭრობის შედეგად, სახელმძღვანელოების ერთეულზე ჩამოყალიბებული სადისტრიბუციო მომსახურების ფასის საფუძველზე, აუდიტის ჯგუფმა განსაზღვრა ერთეულზე საშუალო ღირებულება. აღნიშნული დაანგარიშებების გათვალისწინებით, 2011-2012 წლებში აუდიტის ობიექტის მხრიდან სახელმძღვანელოების საღისტრიბუციო მომსახურების ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდებოდა დაახლოებით 1,500.0 ათასი ლარის ოდენობის საბიუჯეტო სახეების დაზოგვა.

2014 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგინდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების (სახელმძღვანელოების ბეჭდვის მომსახურების შეძენა) შეზღუდულ ვადებში შეუფერხებელი განხორციელების აუცილებლობა და სააგენტო აღიჭურვა გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების უფლებამოსილებით. აუდიტის ჯგუფმა დადგინა ის გარემოებები, რომლებიც მოცემულ პერიოდში ქმნიდა ელექტრონული ტენდერის გამოყენების შესაძლებლობას. ეს გარემოებებია:

- სახელმძღვანელოების საჭირო რაოდენობის განსაზღვრის ვადასა და საქონლის მიწოდების ვადას შორის დროის დიდი/ხანგრძლივი პერიოდი;
- სახელმძღვანელოების ბეჭდვის ბაზრის კონკურენტუნარიანობა და აქტიურობა წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით (მიმწოდებლების სიმრავლე);
- მიმწოდებლებისადმი წასაყენებელი ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნების სიმარტივე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმძღვანელოების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად შეძენის საჭიროება წარმოიშვა არა გარემოებათა ობიექტური განვითარებით, არამედ შესყიდვის მოსამზადებელი ეტაპის მართვის ხარვეზებით და სახელმძღვანელოების მოძრაობაზე სუსტი კონტროლის მექანიზმების არსებობით, რომელთაც, თავის მხრივ განაპირობა შესყიდვის გაფიანურება და ელექტრონული ტენდერის გამოყენების შესაძლებლობის შეზღუდვა.

#### ► დაუკისრებელი ჯარიმები:

2012 წელს შპს „საქართველოს ფოსტა“, მასთან სახელმძღვანელოების შესყიდვა-მოწოდების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ვადის დარღვევისთვის, ექვემდებარებოდა დაჯარიმებას. დაუკისრებელმა ჯარიმაშ შეადგინა 105 ათასი ლარი.

### აუდიტის შედეგად გაცემული კინითადი რეკომენდაციები

#### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

გრიფირების პროცესში ცალკეული სახელმძღვანელოების მაკეტის შეფასებისას სამინისტრომ უზრუნველყოს „სახელმძღვანელოს მაკეტის ტექნიკური პარამეტრების კომპონენტის - „სავარჯიშოების“ კრიტერიუმის პრიორიტეტულობის რანჟირება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ინტერესების ოპტიმალურ თანაფარდობას;

არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, სამინისტრომ განახორციელოს სახელმძღვანელოების პერიოდული ინვენტარიზაცია, რომლის შედეგები გათვალისწინებული იქნება სახელმძღვანელოების საჭირო რაოდენობის გაანგარიშებისას.

კომუნიკაციის გაძლიერებისა და მუდმივი მონიტორინგის საშუალებით, სისიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ (EMIS) უზრუნველყოს ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებების უფლებამოსილი პირების მაქსიმალური და სწორი ინფორმირება, რათა უზრუნველყოფილი იქნას მოსწავლეთა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაციის სიზუსტე და სისრულე;

#### სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას:

სსიპ-მა უზრუნველყოს სკოლებში ნაშთის სახით არსებული ახალი რვეულების თაობაზე ინფორმაციის ელექტრონულ ბაზაში ასახვა;

ეფექტური კონტროლის სისტემების დანერგვისა და პროგრამის მუშაობის არსებული გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე, სსიპ-მა (EMIS) გონივრულ ვადებში განსაზღვროს სახელმძღვანელოების საჭირო რაოდენობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შეზღუდულ ვადებში სახელმძღვანელოების შესყიდვის შეუფერხებელი განხორციელების საჭიროება.

#### სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს:

სააგენტომ განხორციელოს ბაზრის სრულყოფილი და კვალიფიციური ანალიზი. აღნიშნული კვლევის პროცესი და შედეგები უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის მატერიალურ და იდენტიფიცირებად მტკიცებულებებს. ბაზრის კვლევის შედეგებში აღინიშნოს შეხედულებები, მოსაზრებები, კრიტერიუმები და ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მიხედვითაც მოხდა კონკრეტული მიმწოდებლის შერჩევა.

#### ► აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული სამუშაოებისა და გეცემული რეაკციების შემთხვევაში

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით გაცემული რეკომენდაციების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ▶ 2015 წლის იანვარში დაინერგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ახალი საინფორმაციო სისტემა - eSchool. ახალი სისტემის ფარგლებში შესაძლებელი გახდა უცხოური ენის სახელმძღვანელოების დაანგარიშება თითოეული მოსწავლის მიხედვით, რამაც უზრუნველყო ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსწორება.
- ▶ გაიზარდა საინფორმაციო სისტემა eSchool - ში ასახული ინფორმაციის მონიტორინგი სამინისტროს მხრიდან.
- ▶ 2015 წელს სისიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სახელმძღვანელოების ბეჭდვის მომსახურების შეძენაზე გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, სადაც სავარაუდო ლირებულება შემცირდა დაახლოებით 212 ათასი ლარით.


პროგრამის ფარგლებში 2013 წელს სააგენტოსა და სს „ქართულ სტამბას“ შორის სახელმძღვანელოების ბეჭდვის მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მინოდების ვადის დარღვევისთვის, სს „ქართული სტამბა“ ექვემდებარებოდა დაჯარიმებას. აუდიტის ჯგუფის მიერ აღნიშნული ფაქტის გამოვლენის შემდეგ, სააგენტოს მხრიდან მოხდა შესაბამისი რეაგირება და 2015 წლის 19 მაისის წერილით, ხელშეკრულების მეორე შხარე ინფორმირებულ იქნა ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისთვის ჯარიმის დაკისრების თაობაზე. ჯარიმა გადახდილ იქნა 2015 წლის 2 ივნისს.

აღნიშნული აუდიტი დაიწყო 2014 წლის ნოემბერში. აუდიტის საწყის ეტაპზე განხორციელდა დაანგარიშებული, შესყიდული და სკოლებისათვის მინოდებული სახელმძღვანელოების ანალიზი, სადაც გამოვლინდა რაოდენობრივი და საგნობრივი შეუსაბამობები. აღნიშნულის თაობაზე აუდიტის პროცესში მიმდინარეობდა ინტენსიური კონსულტაციები და განხილვები აუდიტის ობიექტთან. დამატებითი მტკიცებულებების მიღების მიზნით, შერჩეული სკოლები გადამოწმდა, რის შედეგადაც გამოვლენილ კონკრეტულ ხარვეზებზე რეაგირებისთვის სამინისტრომ განახორციელა სკოლების სისტემური მონიტორინგი. შედეგად, პროგრამისთვის წლის განმავლობაში დაგეგმილი ბიუჯეტი დაკორექტირდა და შემცირდა დაახლოებით, 10,1 მილიონი<sup>13</sup>ლარით.


## 2.4 საჯარო ფინანსების მართვის ხელშეწყობა

საჯარო ფინანსების მართვის ხელშეწყობის მიმართულებით სას-მა დაფარა 749,633 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 34 აუდიტი.

დაფარვის მაჩვენებელი



შედეგების განაწილება



- საერთო დაფარვა
- საჯარო ფინანსების მართვის ხელშეწყობა

- აქტივების არაეფექტურობის განკარგვა
- საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი განკარგვა
- შესყიდვების პროცესში არსებული სხვა დარღვევები

<sup>13</sup> 2015 წლის ბიუჯეტის კანონით პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 15,8 მილიონი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 5,6 მილიონი ლარი.

## 2.4.1 მოხსენება 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

უკანასკნელი წლების განმავლობაში საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში მიმდინარე რეფორმა ემსახურება საჯარო რესურსების მართვის ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლებას და ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორებიცაა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. აღნიშნული რეფორმის პროცესში, სას-ის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ხელშეწყობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებასა და ზემოხსენებული პრინციპების განმტკიცებაში. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროდუქტია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (შემდგომში - მოხსენება), რომელიც მიზნად ისახავს შეაფასოს ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშში წარმოადგენილი ინფორმაციის სისრულე და სიზუსტე, ამასთანავე, გამოავლინოს საჯარო ფინანსების მართვის პროცესში არსებული სისტემური ხასიათის ხარჩევები და ხელი შეუწყოს აღნიშნული სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას მოხსენებაში გაცემული რეკომენდაციების საშუალებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში ხაზგასმულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა:

- სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა;
- ბიუჯეტის კანონში წარმოადგენილი ფისკალური აგრეგატების დაგეგმვა და წლის განმავლობაში მობილიზებული/გახარჯული საბიუჯეტო სახსრები;
- საბიუჯეტო რესურსების მართვა;
- კაპიტალური პროექტების მართვა;
- პროგრამული ბიუჯეტირება;
- სახელმწიფო ვალის მართვა;
- საჯარო სექტორში არსებული ინფორმაციული სისტემები;
- საჯარო ფინანსების აღრიცხვა-ანგარიშება.

### ფისკალური აგრეგატების დაგეგმვა

ამ კუთხით, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა 2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული შემოსავლებისა და მათი საპროგნოზო მაჩვენებლების განსაზღვრაში არსებული ხარვეზები, კერძოდ:

- დივიდენდების სახით ბიუჯეტში მობილიზებული შემოსავლების ოდენობამ 400 ათასი ლარი და ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით განსაზღვრული საპროგნოზო მაჩვენებლის (5 მილიონი ლარი) მხოლოდ 8.3% შეადგინა. აღნიშნული მუხლი შესრულების დაბალი ტენდენციით ხასიათდებოდა 2014 წელსაც, რაც ძირითად განპირობებულია „სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისიის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებების შესრულების მიმართულებით არსებული ხარვეზებითა და დივიდენდების მობილიზებით კუთხით ქმედითი მექანიზმის არარსებობით.


- ▶ ნებაყოფლობითი ტრანსფერებიდან (გრანტების გარდა) მისალები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის განსაზღვრაში მხედველობაში არ იქნა მიღებული ამ მიმართულებით მობილიზებული შემოსავლების მიმდინარე ტენდენციები, რის შედეგადაც ფაქტობრივად მიღებული შემოსავლების ოდენობამ 25,500.0 ათასი ლარი შეადგინა და 23,200.0 ათასი ლარით გადაჭარბა გეგმას.
- ▶ 2015 წელს ბიუჯეტის კანონში განხორციელებული პირველი ცვლილების შედეგად, „შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების“ მუხლის საპროგნოზო მაჩვენებელი 67 მილიონი ლარიდან 86 მილიონი ლარამდე გაიზარდა, რის მიზეზადაც, საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) კანონმდებლობით ნებადართული (საკუთარი) შემოსავლებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების მიმართვა დასახელდა. თუმცა, 2015 წლის 1 იანვრიდან, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, სსიპების საკუთარი შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართება გრანტების, და არა შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით. შესაბამისად, უნდა დაკორექტირებულიყო „გრანტების“ მუხლით მისალები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივმა შესრულებამ 70 მილიონი ლარი შეადგინა და 10.6 მილიონი ლარით ჩამორჩა ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმას.

#### **საბიუჯეტო რესურსების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები:**

გასული წლების მსგავსად, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზზე დაყრდნობით, საბიუჯეტო სახსრების განკარგვასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ფისკალური წლის დასასრულს აუთივისებელი რესურსის მასშტაბური ხარჯვის ტენდენცია, რაც ქმნის საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურად და არამიზნობრივად გახარჯვის რისკს და ამასთანავე, უარყოფითად აისახება ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე.

გრაფიკი: დეკემბრის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების ჯამური მოცულობის შედარება 11 თვის გადასახდელების საშუალო თვიურ მაჩვენებელთან - 2013-2015 წლები (ათასი ლარი)

**სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ყოველთვიური დინამიკა**



მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში აღნიშნული ზრდა შეიძლება დაკავშირებული იყოს ობიექტურ გარემოებებთან, იგი მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ეტაპზე არსებულ სისტემური ხასიათის ხარვეზებზე. კერძოდ,

- ▶ საჯარო უწყებების მხრიდან ადგილი აქვს საბიუჯეტო წლის ბოლოს ავანსების სახით ისეთი ღონისძიებების დაფინანსებას ან საქონლის/მომსახურების შესყიდვას (ზოგჯერ შესყიდვების გეგმაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად), რომელთა გადახდის აუცილებლობა საჯარო უწყების წინაშე იმ მომენტისათვის არ იდგა. შესაბამისად, მხარჯავი ორგანიზაციები ამ დროს ორიენტირებული არიან ასიგნებების ათვისებაზე და არა შედეგის მიღწევაზე. აღნიშნული საკითხის პრობლემატურობა არაერთხელ იქნა ხაზგასმული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებსა და პუბლიკაციაში<sup>14</sup>.

### შრომის ანაზღაურება

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის პროცესის ერთ-ერთ ძირითად პრინციპის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა წარმოადგენს, თუმცა ამ მიმართულებით ხარვეზები ჯერ კიდევ შეინიშნება, კერძოდ:

- ▶ „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული საბიუჯეტო სახსრები არასრულყოფილად ასახავს ამ მიზნობრიობით ათვისებული რესურსის ჯამურ მოცულობას და არ იძლევა სრულ ინფორმაციას საჯარო სექტორში შტატით გათვალისწინებული მომუშავეების მიერ წლის განმავლობაში მიღებული შრომის ანაზღაურების შესახებ. კერძოდ, მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე ხარჯების განვევა ხდება არა მხოლოდ „შრომის ანაზღაურების“, არამედ „სუბსიდიებისა“ და „სხვა ხარჯების“ მუხლებიდანაც, საიდანაც 2015 წელს ამ მიმართულებით ათვისებულმა თანხამ 46,205 ათასი ლარი შეადგინა.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან განვითარდების ანგარიშების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია საჯარო სექტორში დასაქმებულ მომუშავეებზე განვითარდების ანაზღაურების უკელი ხარჯის ერთგვაროვანი მიდგომით აღრიცხვა. გარდა ამისა, შრომის ანაზღაურებაზე მიმართული საბიუჯეტო სახსრების ანალიზის შედეგად გამოვლინდა:

- ▶ 2015 წელს წინა წელთან შედარებით, პრემიის სახით გაცემული თანხების შემცირების პარალელურად, მნიშვნელოვნად გაიზარდა დანამატის სახით გაცემული რესურსის მოცულობა, რაც განპირობებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 15 ივლისს მიღებული №449 დადგენილებით - „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2014 წლის 1 ივლისიდან და რომელმაც შეზღუდა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წლის განმავლობაში გასაცემი პრემიის ოდენობა და პერიოდულობა. თუმცა აღნიშნულის პარალელურად, გაიზარდა დანამატის სახით გაცემული საბიუჯეტო სახსრების მოცულობა და საერთო ჯამში, 2015 წელს „პრემიისა“ და „დანამატის“ მუხლებით გაცემული თანხების ოდენობამ 4.9%-ით (14,133 ათასი ლარით) გადააჭარბა 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

<sup>14</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პუბლიკაცია - „ასიგნებების გადატანის უფლებამოსილება შემდგომი ფისკალური წლისათვის (Carry-Over მექანიზმი). პუბლიკაცია იხ. შემდეგ ბმულზე: [http://sao.ge/files/kanonmdebloba/publication/Carry\\_Over.pdf](http://sao.ge/files/kanonmdebloba/publication/Carry_Over.pdf)

## სახელმწიფო შესყიდვების მართვა

ასევე საყურადღებოა, რომ საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და პროდუქტიული მართვის უზრუნველსაყოფად, მხარჯავი უწყებები სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში ვალდებული არიან დაიცვან საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპები, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები და სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მონაწილეთა რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში. მოხსენებაში წარმოდგენილია რიგი ხარვეზები, როთაც ხასიათდება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული შესყიდვები. კერძოდ, შესყიდვების სფეროში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს:

- ▶ წლის განმავლობაში საჯარო უწყებების სახელმწიფო შესყიდვების დამტკიცებულ გეგმებში განხორციელებული ხშირი და მასშტაბური ცვლილებები. ასევე, უშედეგოდ დასრულებული ტენდერების მაღალი წილი გამოცხადებული ტენდერების მთლიან რაოდენობაში.
- ▶ ელექტრონული ტენდერის გამოცხადება ისეთ საქონელზე, რომლის შესყიდვის საჭიროება უწყების წინაშე არ იდგა;
- ▶ აუცილებელი დოკუმენტაციის დაგვიანებით ან არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში არ ხდება პრეტენდენტთა დისკვალიფიკაცია;
- ▶ შესასყიდი საქონლის/მომსახურების ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების ისეთ შემზღვევალ ჩარჩოებში მოქცევა და კონკრეტიზაცია, რომ აღნიშნული, შესყიდვის პროცესში არაკონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების მიზეზი ხდება, რაც მათი ერთ კონკრეტულ მომწოდებელზე მორგებაში გამოიხატება;
- ▶ მხარჯავი უწყებების მიერ სათანადოდ არ ხორციელდებოდა ბაზრის წინასწარი კვლევა, შესასყიდი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების (ხარისხი, ფუნქციები, უსაფრთხოების ზომები, შეფუთვა, ნიშანდება და ა.შ.) შესწავლა და მიმდინარე პერიოდში ობიექტის სავარაუდო საბაზრო ღირებულების განსაზღვრა, რის შედეგადაც, ზოგიერთ შემთხვევაში სახეზეა არშემდგარი ტენდერები ან შესყიდვების პროცესში წარმოქმნილი მნიშვნელოვანი ეკონომიკები;
- ▶ ასევე, რიგ შემთხვევებში სრულყოფილად არაა დასაბუთებული გადაუდებელი აუცილებლობით და შესაბამისად, ტენდერის ჩატარების გარეშე განხორციელებული შესყიდვების საჭიროება, მაშინ როდესაც სწორი და დროული დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა შესყიდვა განხორციელებული ყოფილიყო ტენდერის საშუალებით, რაც კონკურენტული გარემოს შექმნას უზრუნველყოფდა.

## პროგრამული ბიუჯეტირება

საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიზნით, უკანასკნელ წლებში მიმდინარე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეფორმას წარმოადგენს პროგრამული ბიუჯეტირების მოდელის დანერგვა, რაც ბიუჯეტირების შედეგზე ორიენტირებულ მიღებობას გულისხმობს. კერძოდ, ტრადიციული, ორგანიზაციული ფორმატისგან განსხვავებით, პროგრამული ბიუჯეტირების ამოსავალ წერტილს არა მხარჯავი უწყებისათვის გამოყოფილი რესურსების ოდენობა, არამედ, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის

**შედეგად მიღწეული შედეგები წარმოადგენს.** მხარჯავი დაწესებულებების მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან ერთად, საბიუჯეტო სახსრების ათვისების შედეგად მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება ხელს უწყობს, (1) დაინტერესებული მხარეებისადმი ანგარიშვალდებულების ზრდას და (2) რესურსების ეფექტიანი განაწილების შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას. ბიუჯეტის პროგრამული ფორმატის დანერგვისა და მხარჯავი დაწესებულებების მიერ პროგრამების შედეგების შესახებ ანგარიშგების პროცესი მიმდინარე ეტაპზე, თუმცა აღნიშნულ სფეროში თავს იჩენს მნიშვნელოვანი ხასიათის ხარვეზები და პრობლემები, რაზედაც ყურადღება იქნა გამახვილებული მოხსენებაში, კერძოდ:

- ▶ 2015 წლის ბიუჯეტის კანონის პროგრამული დანართით წარმოდგენილი ქვეპროგრამის ინდიკატორების **65%-ს მიზნობრივი მაჩვენებელი არ გააჩნია;**
- ▶ პროგრამის ფარგლებში არ ხდება ყველა მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა;
- ▶ განსახორციელებელი ორნისძიებებისა და მოსალოდნელი შედეგების წარმოდგენა, რიგ შემთხვევებში ხდება აგრეგირებულად, პროგრამების დონეზე და **არ ითვალისწინებს მათ შემდგომ დეტალიზაციას ქვეპროგრამებად;**
- ▶ შესრულების შესახებ ანგარიშგება სრულად არ მოიცავს ინფორმაციას ბიუჯეტის კანონზე თანდართული პროგრამული დანართით განსაზღვრული ყველა პროგრამის შესახებ;
- ▶ გარკვეულ შემთხვევებში **არ ხდება მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება წინასარ განსაზღვრული შედეგების შეფასების ინდიკატორებთან მიმართებაში;**
- ▶ რიგი პროგრამებისა და ქვეპროგრამების საბოლოო და შუალედური შედეგების შეფასების **ინდიკატორები ვერ უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების შეფასებას.**

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ მიუხედავად უკანასკნელ წლებში განხორციელებული რეფორმებისა და მიღწეული პროგრესისა, საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, რომელთა დაძლევა მოითხოვს საჯარო სექტორის ერთობლივ და კოორდინირებულ ძალისხმევას. შესაბამისად, **საბიუჯეტო სისტემა საჭიროებს კარგად ჩამოყალიბებული, გამართული და სისტემური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული ღონისძიებების დანერგვას, რათა სისტემამ უზრუნველყოს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენება. ამავდროულად, სას-ის მიერ მოხსენებაში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინება, წარმოადგენს საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის მუდმივი ზრდისა და რეფორმის პროცესის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას.**

#### 2.4.2 კაპიტალური პროექტების მართვის ეფექტიანობის აუდიტი

ქვეყნის განვითარებისა და სტაბილური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მასტიმულირებელ ფაქტორს წარმოადგენს კაპიტალური პროექტები, რომელთა ძირითადი მიზანია ქვეყანაში არსებული ინფრასტრუქტურის განვითარება. კერძოდ, კაპიტალური პროექტების განხორციელების შედეგად იქმნება/უმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა, სკოლები, საავადმყოფოები, საირიგაციო სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზები და ა.შ. კა-

პიტალური პროექტების განხორციელებით მთავრობას აქვს ბერკეტი, ხელი შეუწყოს პრობლემური სფეროების განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და სახელმწიფო სერვისების ეფექტიანად მინოდებას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესებას. საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, გარდა ჩამოთვლილი ფაქტორებისა, აღსანიშნავია, რომ კაპიტალური პროექტების წარმატებით განხორციელებას გავლენა აქვს ქვეყნის მიერ არჩეულ დასავლურ კურსსა და ევროპული სტანდარტების შესამის გარემოდ ჩამოყალიბებაზე.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სფერო ფინანსური თვალსაზრისითაც არსებითაა. კერძოდ, 2012-2015 წლებში კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად მიმმართა 3,980 მილიონი ლარი, რაც აღნიშნულ პერიოდში არსებული საბიუჯეტო რესურსის 11% შეადგენს.

საქართველოში კაპიტალური პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას უშუალოდ პროექტის განმახორციელებელი უწყებები უზრუნველყოფენ. ფინანსთა სამინისტრო კი გამოყოფს თანხებს პროექტების დასაფინანსებლად და ასევე, ახდენს ქვეყნის დონეზე განხორციელებული კაპიტალური პროექტების შესახებ ფინანსური და ზოგადი სახის ინფორმაციის აკუმილირებასა და გამოქვეყნებას.

### ► აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პროგლოვანის მოკლე აღნიშნული


კაპიტალური პროექტების მართვის ეფექტიანობის აუდიტის პერიოდი ფარავს 2012-2014 წლებს, თუმცა აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის რელევანტურობის უზრუნველყოფის მიზნით, ზოგად-ანალიტიკურ და მიმდინარე პროექტებზე ინფორმაცია განახლებულია 2015 წლის აქტივობების ჩათვლით. აუდიტის შესანავლის საგანს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებული ის კაპიტალური პროექტები, რომელთაც ახორციელებენ ქვემოთ მითითებული საბიუჯეტო ორგანიზაციები:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საავტომობილო გზების დეპარტამენტი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

პირველი სამი სამინისტრო შეირჩა იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული კაპიტალური პროექტების 86% მათ მიერ ხორციელდება, ფინანსთა სამინისტრო კი შეირჩა როგორც პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარებასა და სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული სახსრების მიზნობრივად და ეფექტიანად განხილებაზე პასუხისმგებელი უწყება.

აუდიტის ფარგლებში შესანავლილ იქნა განმახორციელებელი უწყებების მიერ განხორციელებული პროექტები საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკით<sup>15</sup> განსაზღვრულ სასიცოცხლო ციკლის ჭრილში.

<sup>15</sup> მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს, აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და ირლანდიის მაგალითებზე დაყრდნობით



აუდიტის შედეგად კაპიტალური პროექტების აღრიცხვისა და მართვის პროცესთან დაკავშირებით გამოავლინდა შემდეგი სახის ხარვეზები:


**ქვეყნის დონეზე დაგეგმილი და განხორციელებული კაპიტალური პროექტების შესახებ არსებული ინფორმაცია არ არის სრულყოფილი და ზუსტი, რაც ძირითადად გამოწვეულია კაპიტალური პროექტების განმარტებასთან დაკავშირებული ხარვეზებითა და პროექტების არასწორი კლასიფიცირებით. ასევე, არ ხდება რიგი სამინისტროების, მათ დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების, სახელმწიფოს ნილობრივი მონანილეობით შექმნილი საწარმოებისა და მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული კაპიტალური ხასიათის პროექტების სრულად ასახვა კაპიტალური პროექტების დანართში. აღნიშნული ხარვეზები ხელს უშლის როგორც კაპიტალური ინვესტიციების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას, ასევე მთავრობის, პარლამენტისა და ინვესტორებისათვის ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესს.**

- ▶ **არ არსებობს კაპიტალური პროექტების განვითარების სტრატეგია არც ქვეყნის და არც სექტორულ დონეზე და ასევე, განმახორციელებელ უწყებებს არ გააჩნიათ პროექტების შერჩევის მეთოდოლოგია. აღნიშნული შერჩევის მეთოდის არარსებობის პირობებში იზრდება ისეთი ტიპის პროექტების შერჩევის რისკი, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის წინაშე არსებული რეალური გამოწვევების შესაბამისი ქმედებების განხორციელებასა და ქვეყნის მდგრად განვითარებას.**
- ▶ **შერჩეული კაპიტალური პროექტებისათვის არ ხორციელდება პროექტების წინასწარი შეფასება, რომლის მიზანია პროექტის განხორციელების რამდენიმე ალტერნატივიდან საუკეთესო ვარიანტის შერჩევა. შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების ეტაპზე, პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ჩნდება ისეთი პროექტების დაფინანსების რისკი, რომლებიც წარმოადგენს არაეკონიმიურ და არაეფექტურ ალტერნატივას კონკრეტული პრობლემის აღმოფხვრისათვის.**
- ▶ **ნაკლოვანებებია ასევე ხასიათდება ასევე, პროექტების დეტალური შესწავლის ეტაპზე, რომელიც პარალიულად წარმოადგენს პროექტისათვის აუცილებელი ყველა პარამეტრის განსაზღვრისა და დაზუსტების მნიშვნელოვნ საფეხურს. აღნიშნული ეტაპის ყველაზე პრობლემური საკითხია უშუალოდ მომზადებული დეტალური გეგმის ხარისხი. კერძოდ, შესწავლილი პროექტების 57%-ის შემთხვევაში, დეტალური გეგმის ხარისხი აღმოჩნდა პროექტების გადავადებისა და ბიუჯეტში ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. ზოგიერთ შემთხვევაში, ადგილი აქვს სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებისა და პროექტის განხორციელებაში ჩართულ მხარეებს შორის უფლება-მოვალეობების გამიჯვნის გარეშე პროექტის დაწყების შემთხვევებს, რაც შესაბამისად, არაპროგნოზირებადს ხდის პროექტის ფარგლებში გასაწევ ხარჯებსა და პროექტზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას ხელს უშლის პროექტის მიმდინარეობის კონტროლში.**
- ▶ **პროექტის განხორციელების ეტაპზე არ არის განსაზღვრული მექანიზმი, რომლის მეშვეობით მოხდებოდა პროექტის შესახებ მნიშვნელოვანი ცვლილებების (შეწყვეტა, არსებითი მოდიფიკაცია) დასაბუთება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს პროექტის მდგრადობაზე და ვერ უზრუნველყოფს მის შესაბამისობას**


## 2

თავდაპირველ მოტივაციასთან და მიზნებთან. კერძოდ, აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ შესწავლილი 23 პროექტიდან ანალიზისა და დასაბუთების გარეშე შეწყდა 3 პროექტი, რომელთაგან 2 ისევ შეწყვეტილია. ჯამში მათზე განეული ხარჯი შეადგენს 980 ათას ლარს, მესამე პროექტის შემთხვევაში კი შეწყვეტის მომენტისათვის განეული ხარჯი შეადგენდა 10.9 მილიონ ლარს და პროექტი განახლდა შეწყვეტიდან 19 თვის შემდეგ.

## პროექტის ღირებულების პროცენტული ცვლილება



## პროექტის ვადის პროცენტული ცვლილება



- ▶ განსაზღვრული არ არის პროექტების ზედამხედველების მიერ მონიტორინგის შედეგების წარდგენის ფორმა და პერიოდულობა პროექტის განმახორციელებლებისათვის. არ მზადდება სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგის ამსახველი ანგარიშები. შედეგად არ ხდება პროექტების მიმდინარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის აკუმულირება და შესაბამისად, დაინტერესებული მხარეებისათვის კონკრეტული პროექტების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება გართულებულია, ხოლო განმახორციელებლებისათვის კი - პროექტის შეფასება როგორც განხორციელების ეტაპზე, ასევე, პროექტის დასრულების შემდგომ.

- პროექტის დასრულების შემდეგ არ ხდება მიღწეული შედეგების შეფასება და პროექტის განხორციელების შედეგად დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება შემდგომი პერიოდების პროექტების დაგეგმვისას. შედეგად არ არსებობს ინფორმაცია პროექტების მიერ მიღწეული შედეგების შესახებ. ამას გარდა, ცოდნისა და გამოცდილების გაუთვალისწინებლობა იწვევს განმეორებითი ხასიათის ხარვეზებს, რასაც საბოლოოდ მიყყავართ საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურ განკარგვამდე.

### აუდიტის შედეგად გაცემული კირითალი რაოდენობისაზე

#### ფინანსთა სამინისტრომ:

განახორციელოს კაპიტალური პროექტების ეროვნული სტრატეგიის შექმნის ინიცირება, რომელიც შესაბამისი იქნება მთავრობის მიერ განსაზღვრულ ქვეყნის პრიორიტეტებთან და ამოსავალი წერტილი - ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის სექტორული სტრატეგიების მომზადების პროცესში.

დააზუსტოს პროექტის კაპიტალურად კლასიფიცირების კრიტერიუმები, რაც საშუალებას მისაცემს საბიუჯეტო ორგანიზაციებს ზუსტად განსაზღვრონ, თუ როგორი ტიპის მატერიალური/არამატერიალური აქტივის შექმნა ან შეძენა ჩაითვლება კაპიტალურ პროექტად და განახორციელოს დანართით წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტის კონტროლი.

კაპიტალური პროექტების დანართში წარმოადგინოს ყველა კაპიტალური პროექტი, რომელთა დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიუხედავად იმისა, ხვდება თუ არა იგი ცენტრალური მთავრობის საბალანსო უწყისზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული კაპიტალური პროექტების შესახებ ინფორმაციის სისრულე.

უზრუნველყოს კაპიტალური პროექტების განხორციელების სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადება, რომელშიც განსაზღვრული იქნება პროექტის უკეთესი საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით განხორციელების წინაპირობები, პროექტის სასიცოცხლო ციკლის თითოეული ეტაპისათვის.

უზრუნველყოს იმ მოთხოვნების განსაზღვრა, რომელთა დაკმაყოფილებაც იქნება მიმდინარე პროექტის შეჩერების ან შეწყვეტის წინაპირობა.

განსაზღვროს პროექტების დასრულების შემდგომი საბაზისო მიმოხილვის ანგარიშების ფორმატი და პროექტების შეფასების ჩატარების მეთოდები. ასევე, განსაზღვროს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც პროექტები დაექვემდებარება შეფასებას. უზრუნველყოს პროექტების დასრულების შემდგომი შეფასების შედეგების აკუმულირება კაპიტალური პროექტების შესრულების ანგარიშში.

### **კაპიტალური პროექტების განმახორციელებელმა სამინისტროებმა:**

უზრუნველყონ სექტორული სტრატეგიების მომზადება, რომელიც შესაბამისი იქნება კაპიტალური პროექტების ეროვნულ სტრატეგიასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

უზრუნველყონ პროექტში ჩართული მხარეების უფლება-მოვალეობების დაზუსტება/განსაზღვრა დოკუმენტურად, რათა შესაძლებელი იყოს პროექტის განხორციელების ეტაპზე აღმოჩენილ უზუსტობაზე პასუხისმგებელი პირის გამოვლენა და შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომის გატარება.

უზრუნველყონ მონიტორინგის სისტემის დანერგვა/გაუმჯობესება, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრება მონიტორინგის შედეგების ანგარიშების პერიოდულობა, ფორმატი და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

### **ფინანსთა სამინისტრომ და კაპიტალური პროექტების განმახორციელებელმა სამინისტროებმა:**

ერთად შეიმუშაონ წინასწარი შეფასების ჩატარებისათვის საჭირო ტექნიკური სახელმძღვანელო და უზრუნველყონ მისი პრაქტიკაში დანერგვა.

### **2.4.3 დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2012-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი**

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიზანია საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობების გაღრმავება, საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ დიასპორას შორის ურთიერთობის ხელშეწყობა და ქართული დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის მხარდაჭერა. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის აპარატის მანდატი და საქმიანობის სფერო მეტად კონკრეტულია, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესებში მაინც შეინიშნება რიგი ხარვეზები.

### **► აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პროგლობასი მოკლე აღნარა**

სას-მა ჩაატარა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2012-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის მთავარი მიზანი იყო, მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობის დადგენა კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან და შიდაორგანიზაციულ პოლიტიკასთან და პროცედურებთან.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2012 წლიდან 2014 წლის ჩათვლით პერიოდში, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საბიუჯეტო სახსრები გამოიყოფოდა ისეთი ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზევე იყო შესაძლე-

**ბეჭი.** ამას გარდა, არ იყო სრულყოფილად დასაბუთებული გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობა და მათი სრულად ათვისება ვერ ხერხდებოდა.

### **ბიუჯეტის დაგეგმვისას არსებული ხარვეზები:**

- ▶ დიასპორის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, რომელიც ყოველი წლის 27 მაისს იმართება, სამი წლის განმავლობაში ჯამში გამოიყო **647.3 ათასი ლარის** ოდენობის თანხა, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით **გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად.**
- ▶ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო თანხები ისეთი ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლებიც არ ატარებენ სისტემატურ ხასიათს, თუმცა მათი მნიშვნელობიდან, მასშტაბიდან და ხასიათიდან გამომდირე, **არ შეიძლება ჩაითვალოს გაუთვალისწინებელ ხარჯად.** მაგალითად, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, დიასპორული ორგანიზაციების, ქართული საკვირაო სკოლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების მხარდამჭერი ღონისძიებების დასაფინანსებლად **2012-2014 წლებში ჯამში გამოიყო 928.0 ათასი ლარი.**

### **არამიზნობრივი და აუთვისებებლი სახსრები:**

- ▶ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან **აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების** დასაფინანსებლად 2012 წელს გამოყოფილია **100.0 ათასი ლარი** (ათვისებულია 86.765 ათასი ლარი), ხოლო 2014 წელს - **117.0 ათასი ლარი** (ათვისებულია 116.894 ათასი ლარი).

ასევე, სხვა ღონისძიებების ფარგლებში გამოყოფილი თანხების აუთვისებელი ნაწილი მიმართებოდა **აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფარად**, თუმცა ვერც ამ შემთხვევაში ხდებოდა თანხების სრულად ათვისება:

- ▶ 2012 წელს დიასპორის დღესთან დაკავშირებით გამოყოფილი **265.0 ათასი ლარიდან აუთვისებელი 58.23 ათასი ლარი** მიიმართა აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირების ხარჯების დასაფარავად, თუმცა აღნიშნული თანხა აპარატს არ გაუხარჯავს.
- ▶ 2012 წელს, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისათვის განსაზღვრული ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი **400.0 ათასი ლარიდან, აუთვისებელი 153.28 ლარი** მიიმართა აპარატის ხარჯების დასაფინანსებლად, თუმცა ამ შემთხვევაშიც ვერ მოხერხდა **42.82 ათასი ლარის ათვისება.**
- ▶ ანალოგიურად, 2013 წელს ქართული დიასპორებისათვის გამოყოფილი **400.0 ათასი ლარიდან აუთვისებელი 70.0 ათასი ლარი** მიიმართა მინისტრის აპარატის ხარჯების დასაფინანსებლად და ათვისებულ იქნა მხოლოდ **63.6 ათასი ლარი.**

ცხრილის სახით წარმოდგენილია მონაცემები, სულ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის გამოყოფილი თანხების შესახებ, რაც მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმვის ხარვეზებზე:

ლეპი	2012	2013	2014
დამტკიცებული ბიუჯეტი	850 000	850 000	900 000
სარეზერვო ფონდი (აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირება)	1 035 000	522 300	360 484
სარეზერვო ფონდის პროცენტული თანაფარდობა დამტკიცებულ ბიუჯეტთან	121.7%	61%	40%

#### აუდიტის შედეგად გაცემული პირითაღი რაომაცდაციაზი

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს:

მიზანშეწონილია მოხდეს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობის სრულყოფილი დასაბუთება.

აუცილებელია, აპარატის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ასიგნებების ოდენობების დროული განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სარეზერვო ფონდიდან ისეთი დანახარჯების დაფინანსება, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზევეა შესაძლებელი.

## 2.5 ინფორმაციული უსაფრთხოებისა და მონაცემთა პაზეპის მართვის მხარდაჭერა

საქმიანობის განხორციელებისას ინფორმაციული ტექნლოგიების გამოყენება ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს ნაკლები ადამიანური, დროითი და ფინანსური რესურსების გამოყენების გზით გაზიარდონ არსებული ბიზნესპროცესების ეფექტიანობა. შესაბამისად, აღნიშნულ პირობებში, ქვეყნისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ელექტრონული მთავრობის სერვისების განვითარება. სახელმწიფო დაწესებულებებში ინტენსიურად მიმდინარეობს ინფორმაციული სისტემების გამოყენება საზოგადოებისათვის საჯარო სერვისების მიწოდებისა და უწყებათა შორის ინფორმაციის გაცვლისათვის.

ინფორმაციული სისტემების გამოყენებით მიმდინარეობს დღეს ისეთი მნიშვნელოვანი ბიზნესპროცესების მართვა, როგორებიცაა:

- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (e-procurement),
- ჯანდაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა,
- საჯარო ფინანსების მართვა (ელ. ხაზინა - e-Treasury),

- ბიუჯეტირების ელექტრონული სისტემა (e-Budget),
- სახელმწიფო ვალისა (eDMS) და
- ადამიანური რესურსების (eHRMS) მართვისა და სხვა ინფორმაციული სისტემების დანერგვა და განვითარება.

აღნიშნულმა სისტემებმა ხელი შეუწყვეს პიზნეს პროცესების ეფექტიან მართვას, მიმდინარე პროცესებში საზოგადოების ჩართულობის გაზრდას და საზოგადოებისათვის სერვისების მიწოდებისას ადმინისტრაციული ბარიერების შემცირებას. აღნიშნული, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და მთავრობის მიმართ საზოგადოების ნდობის ზრდას.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციული სისტემების გამოყენება დადებით გავლენებთან ერთად ხასიათდება თანდაყოლილი რისკებით, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოებასთან, ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტესთან და აღნიშნულ ინფორმაციაზე არაავტორიზებული პირების წვდომასთან. აღნიშნული რისკები კიდევ უფრო საყურადღებო ხდება მაშინ, როდესაც საუბარია სახელმწიფო მნიშვნელობის ინფორმაციაზე, მოქალაქეთა პირად მონაცემებსა და სახელმწიფო სერვისების უწყვეტად ფუნქციონირებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საქმიანობის პროცესებში გამოყენებული ინფორმაციული სისტემები უზრუნველყოფდეს სისტემაში არსებული ინფორმაციის დაცულობას და ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო მიზნების მიღწევას რესურსების ოპტიმალურად გამოყენების გზით.

აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, **2014 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დაიწყო ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის (IT აუდიტის) მიმართულების განვითარება.** ით აუდიტი მიზნად ისახავს აუდიტორული რწმუნების მიღებას იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფებ ინფორმაციული სისტემები ორგანიზაციის მიზნების მიღწევას, ინფორმაციული აქტივების დაცვასა და სისტემაში არსებული მონაცემების სისრულესა და სიზუსტეს. ით აუდიტის განვითარებით სახელმწიფო აუდიტის სამსახური შეძლებს გაზარდოს, როგორც აუდიტის მასშტაბი, ასევე - აუდიტის ხარისხი.

IT აუდიტის დანერგვის მიმართულებით, უმთავრესია თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და კომპეტენციის ამაღლება. სწორედ ამ მიზნით, გასულ წელს სას-მა აქტიურად დაიწყო მოლაპარაკებები მსოფლიოს წამყვან უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებთან - ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინდოეთის უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებთან ით აუდიტის მიმართულებით ურთიერთანამშრომლობის საკითხებზე.

2015 წელს სას-მა ჩაატარა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტიანობის აუდიტი (აუდიტის მიგნებები იხ. ქვემოთ)

### **2.5.1 სისპ-სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2010-2015 წლების ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტიანობის აუდიტი**

სახელმწიფო შესყიდვებში გამჭვირვალე, ღია და კონკურენტუნარინი გარემოს არსებობა ხელს უწყობს სახელმწიფო სერვისის მაღალ ხარისხსა და მონაწილეებისათვის უზრუნველყოფს სამართლიანი კონკურენციის პირობებს. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რათა მოხდეს ეფექტიანი

# 2

## აუდიტორული საქმიანობა

მმართველობის (Good Governance), მდგრადი განვითარებისა და მნიშვნელოვანი ინვესტიციების ხელშეწყობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია სახელმწიფო შესყიდვების ერთანი ელექტრონული სისტემის ეფექტურობის აუდიტის ჩატარება, ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში დიდია ინფორმაციული სისტემის როლი და მნიშვნელობა. აუდიტის მიზანია, ელექტრონული სისტემის მართვის არსებული პრაქტიკის შესწავლა. აღნიშნული მიზანის მისაღწევად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2010-2015 წლის საქმიანობა.

### ► აუდიტის შედეგად გამოვლიდეა რიგი ნაკლოვანებები

#### ინფორმაციული სისტემის აუთსორსინგთან დაკავშირებული ხარვეზები

ელექტრონული სისტემის, მონაცემთა ბაზისა და მისი ადმინისტრირების აუთსორსინგზე გატანა, თავის მხრივ, ზრდის ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს. ბიზნესპროცესის მფლობელი ორგანიზაცია უნდა დარწმუნდეს, რამდენად აკმაყოფილებს მიმწოდებელი ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნებს, რამდენად უზრუნველყოფილია ხარისხიანი სერვისის მიწოდება და, რომ სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის თანამშრომლები ინფორმირებული არიან ინფორმაციის მნიშვნელობასა და კონფიდენციალურობაზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების ერთანი ელექტრონული სისტემის მფლობელს, ხოლო სისპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებს აღნიშნული სისტემის მომსახურებას.

**დიაგრამა:** სახელმწიფო შესყიდვების ერთანი ელექტრონული სისტემა გატანილია აუთსორსზე. ელექტრონული სისტემის მონაცემთა ბაზა და სისტემის ლოგიკა განთავსებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სასერვერო ინფრასტრუქტურაზე. საჯარო რეესტრი მონაწილეობას იღებს სერვერებზე განთავსებული ბაზების მართვასა და მხარდაჭერაში, ასევე, სისტემის პროგრამულ განვითარებაში. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გააჩნია წვდომა სისტემის სამომხმარებლო და ადმინისტრირების პანელზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო



სამომხმარებლო ინტერფეისი  
ადმინისტრირების პანელი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
სახელმწიფო შესყიდვების სისტემა



მონაცემთა ბაზა და  
სისტემის ლოგიკა

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო იყენებს სრული აუთსორსინგის მოდელს (იხ. დიაგრამა) სახელმწიფო შესყიდვების ერთანი ელექტრონული სისტემის მართვისათვის,


თუმცა არ აქვს განსაზღვრული ფორმალური აუთისორსინგის პოლიტიკა, რომლითაც იხელ-მძღვანელებდა საკუთარი ინფორმაციული ტექნოლოგიების აუთისორსინგის ფარგლებში.

- ▶ არ არსებობს პრაქტიკაში დანერგილი ფორმალური კონტროლის მექანიზმები, რომლებიც დაარეგულირებდა მხარეთა პასუხისმგებლობებს, შეაფასებდა და მონიტორინგს გაუწევდა სერვისის მიმწოდებელი (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს) ორგანიზაციის საქმიანობას.
- ▶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არ გააჩნია აუდიტორული რწმუნება, რომ სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფას.
- ▶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ვერ მიაწოდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს სახელმწიფო შესყიდვების მონაცემთა პაზის სარეზერვო ასლი. აღნიშნული ცალსახად მიუთითებს აუთისორსინგის კონტროლების სისუსტეზე, ვინაიდან შესყიდვების სააგენტომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან (სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია) ვერ მიოპოვა მისი კუთვნილი შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მონაცემთა პაზა.
- ▶ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მოთხოვნის მიუხედავად არ მიაწოდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მონაცემთა პაზის სარეზერვო ასლი.

### **ბიზნეს პროცესის უწყვეტობის დაგეგმვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები**

ბიზნესპროცესის უწყვეტობის გეგმა (**Business Continuity Plan - BCP**) საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში ინფორმაციის საპასუხო გეგმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამ გეგმაში ჩამოყალიბებულია, თუ როგორ უნდა მოიცეს ორგანიზაცია ინციდენტების შემთხვევაში და ის საშუალებები, რითაც ორგანიზაცია შეძლებს დაუბრუნდეს ჩვეულპიზნეს მდგომარეობას უმოკლეს დროში. კატასტროფიდან აღდგენის გეგმა (**Disaster Recovery Plan - DRP**) ბიზნესუწყვეტობის გეგმის შემადგენელი ნაწილია და წარმოადგენს დადოკუმენტირებული პროცესებისა და პროცედურების ერთობლიობას, თი ინფრასტრუქტურის კატასტროფიდან აღდგენისა და დაცვისთვის. ეს გეგმები მოიცავს პოლიტიკებს, პროცედურებსა და პრაქტიკებს, რომლებიც ორგანიზაციის საშუალებას აძლევს, აღადგინოს დ განაგრძოს კრიტიკული (ავტომატიზებული, თუ მანუალური) პროცესები, კატასტროფის ან კრიზისის შემდეგ.

**დიაგრამა:** ინფორმაციული უსაფრთხოება და ბიზნესუწყვეტობის გეგმა - კატასტროფისას ან უბედური შემთხვევისას. უწყვეტობის გეგმამ უნდა უზრუნველყოს ბიზნესპროცესის უწყვეტობის შენარჩუნება, მაშინ როდესაც აღდგენის გეგმამ უნდა იზრუნოს დაზიანებული ბიზნესფუნქციონალის ჩვეულ მდგომარეობამდე აღდგენაზე.



სას-მა შეაფასა შესყიდვების ელექტრონული სისტემის ბიზნესაჭიროებები და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. კერძოდ, კანონის თანახმად, ელექტრონული ტენდერი შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ შესყიდვების ელექტრონული სისტემის გამოყენებით. შესაბამისად, თუ შესყიდვების სააგენტო ვერ უზრუნველყოფს სერვისის უწყვეტობას, სახელმწიფო ორგანიზაციები ვერ შეძლებენ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებას, საკანონმდებლო მოთხოვნათა შესაბამისად. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა რამდენად უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ბიზნეს პროცესის უწყვეტობის მართვას:

ორგანიზაციაში არ არსებობს ბიზნესუწყვეტობის პოლიტიკა, რომელიც უნდა მოიცავდეს როლებისა და პასუხისმგებლობების, სფეროს, რესურსების განაწილების, ტრენინგების მოთხოვნების, ტესტირების განრიგის, სარეზერვო ასლების შექმნის გეგმებს.

საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს რისკებისა და ბიზნესპროცესებზე ზემოქმედების შეფასება (Business Impact Assessment), გამოავლინოს კრიტიკული მონაცემები, ოპერაციები და რესურსები. აღნიშნული საკითხის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ შესყიდვების სააგენტოს არ აქვს იდენტიფიცირებული სისტემასთან დაკავშირებული რისკები, შესაძლო საფრთხეები და მათი ზეგავლენა ბიზნესპროცესზე.

### სახელმწიფო შესყიდვების გარანტიით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეაფასა სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის გარანტიები და მათი ფორმირების მეთოდოლოგია. კერძოდ, შეფასდა რამდენად ადეკვატურია და რამდენად სამართლიანია სახელმწიფო შესყიდვების გარანტირების მეთოდი.

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას, შესყიდვაში მონაწილე პრეტენდენტს შესაძლებელია მოეთხოვოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, რომელიც წარმოადგენს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 1%-ს. როდესაც შესყიდვა ხორციელდება პრეისკურანტით (შესყიდვის ოპერატორის ერთეულის ფასის მითითებით), წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია განისაზღვრება, პრეისკურანტის 1 %-ით.

**დიაგრამა:** ელექტრონული შესყიდვის შემთხვევაში, სავარაუდო ღირებულებაა 80 ათასი ლარი, რის გამოც გარანტიის მოცულობაა 800 ლარი (ღირებულების 1%), ხოლო ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 73.7 ათასი ლარი. მეორე შემთხვევაში, შესყიდვის ერთეულის სავარაუდო ღირებულებაა 21 ლარი, რის გამოც გარანტიის მოცულობაა 1 ლარი, ხოლო ხელშეკრულების ღირებულებამ 0 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

შესყიდვების ნომერი	SPA130008068	SPA130002908
ხელშეკრულების ღირებულება	73,700	6,318,000
ელექტრონული შესყიდვა	-	პრეისკურანტით
გარანტიის ოდენობა	800	1

შედეგად, სატენდერო წინადადების ელექტრონული გარანტიის არსებული მეთოდი ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას. ასევე მაღალი ლირებულების მქონე შესყიდვებისთვის, რომელიც პრეისკურანტით ხორციელდება, ზემოთ აღნიშნული გზით დათვლილი ელექტრონული გარანტიის ოდენობა ვერ იქნება საკმარისი მიმწოდებლის მხრიდან წინადადების უზრუნველყოფისთვის.

### **საჯაროობასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები**

სას-ის მიერ გამოვლენილ იქნა სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები. კერძოდ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა:

- ▶ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ბაზის ანალიზის შედეგად, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების საიტზე, CMR მოდულში შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საბოლოო მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი არ არის ყველა გამარტივებული შესყიდვა. მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვების საიტზე არ იძებნება შემდეგი შემსყიდველების ზოგიერთი გამარტივებული შესყიდვა:
  - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
  - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

### **შესყიდვების მონეტარული ზღვრების დაცვასთან დაკავშირებული სისტემური ხარვეზები**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეაფასა, რამდენად უზრუნველყოფილია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული გამარტივებული შესყიდვებისათვის დადგენილი მონეტარული ზღვრების დაცვა.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გამარტივებული შესყიდვების განხორციელებისათვის შემსყიდველ ორგანიზაციებს შეუძლიათ გამარტივებული შესყიდვით გააფორმონ ხელშეკრულებები, თუკი შესყიდვა კანონით დადგენილი ზღვრების ფარგლებში ხორციელდება. კერძოდ, განსაზღვრულია 5, 20 და 50 ათას ლარიანი მონეტარული ზღვრები, შესყიდვის ობიექტის ღირებულებისა და კონკრეტული შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მონეტარული ზღვრების დაცვის ზედამხედველობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვალდებულებაა. მონეტარული ზღვრის დარღვევის შემთხვევაში, შესყიდვების სააგენტო წერილობით მიმართავს შემსყიდველ ორგანიზაციას და საჭიროების შემთხვევაში ადგენს ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევის აქტს.


- ▶ სახელმწიფო შესყიდვების მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ სააგენტოს ხელთ არ-სებული პოსტფაქტუმ რეაგირების მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს მონეტარული ზღვრების დაცვას. მონეტარული ზღვრების დარღვევები წლების განმავლობაში მზარდი ხასიათი-საა. დიაგრამაზე ნაჩვენებია წლების მიხედვით რამდენ შესყიდვაში დაირღვა კანონით დადგენილი მონეტარული ზღვარი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.

# 2

## აუდიტორული საქმიანობა

**დიაგრამა:** შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამარტივებული შესყიდვის ზღვრების დარღვევის სტატისტიკა წლების მიხედვით.

გამარტივებული შესყიდვა 5 ათას ლარამდე



### სახელმწიფო შესყიდვების მონაცემების სისრულესთან დაკავშირებული ხარვეზები

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა ავტომატურად ანიჭებს უნიკალურ ნომერს გამარტივებული შესყიდვების (CMR) მოდულში რეგისტრირებულ თითოეულ შესყიდვას. მაგალითად, 2012 წელს სისტემაში პირველად რეგისტრირებულ შესყიდვას მიენიჭა ნომერი CMR120000001, მეორეს - CMR120000002, ხოლო 2012 წელს სისტემაში რეგისტრირებულ ბოლო შესყიდვას მიენიჭა ნომერი - CMR120296823. 2013 წელს გამოცხადებულ პირველ შესყიდვას მიენიჭა - CMR130000001. ჩანაწერების უნიკალური იდენტიფიკატორის მიზანია, უზრუნველყოს სისტემაში დაცული ჩანაწერების შესახებ სისრულის თაობაზე რწმუნების მოპოვება.

### სახელმწიფო შესყიდვების მონაცემთა ანალიზის საშუალებით, გამოვლენილ იქნა გამარტივებული შესყიდვების მოდულის კონფრონტის სისუსტე:

კერძოდ, რიგ შემთხვევებში ჩანაწერები არ არის დარეგისტრირებული მიმდევრობით. შესყიდვების სააგენტოს განმარტებით, აღნიშნული წარმოადგენს სისტემის ხარვეზს, რომელიც ერთჯერადად დაფიქსირდა. თუმცა, აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებულია სხვა გამოტოვებული ჩანაწერებიც. შედეგად, გამოვლენილი გარემოებები და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პოზიცია სისტემურ ხარვეზებთან დაკავშირებით ცალსახად ცხადყოფს, რომ ელექტრონულ სისტემას გააჩნია ჩანაწერების სისრულის კონფრონტის სისუსტე. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ვერ მოიპოვა აუცილებელი და შესაფერისი რწმუნება, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაცულია გამარტივებული შესყიდვების ჩანაწერების სისრულე.

### აუდიტის შედეგად გაცემული კირითადი რაკომანდაცია

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეიმუშაოს აუთსორსინგის პოლიტიკა, რომელშიც განსაზღვრული იქნება ორგანიზაციის სტრატეგიული ხედვა არსებული სისტემებისა და მომსახურებების აუთსორზე გატანისა და შემდგომ მართვის შესახებ.


სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მოსთხოვოს სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციას (საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს) მესამე მხარის რწმუნება (შიდა ან გარე აუდიტის დასკვნა), რომ სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია ინფორმაციული უსაფრთხოება.

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სერვისის მდგრადი, უწყვეტი და სანდო ფუნქციონირებისათვის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეიმუშაოს პიზნესპროცესის უწყვეტობის გეგმა (BCP), რომელიც მოიცავს კატასტროფიდან აღდგენის გეგმასა (DRP) და სერვისის აღდგენის დროის სამიზნე მაჩვენებლებს (Recovery Time Objectives).

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, სახელმწიფო ხაზინასთან ან/და სხვა დაინტერესებულ მხარესთან ერთად, განიხილოს პრევენციული მექანიზმების დანერგვის შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული გამარტივებული შესყიდვების მონეტარული ზღვრების დარღვევების შემცირებას.

## 2.6 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების განვითარების მიმართულებით ეკონომიკური განვითარების მიმართულებით სას-მა დაფარა 204,412 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 28 აუდიტი.


დაფარვის მაჩვენებელი



● საერთო დაფარვა

● ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების განვითარება

შედეგების განაწილება



● შესყიდვების პროცესში არსებული სხვა დარღვევები

● საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი განკარგვა

● საბიუჯეტო რესურსების არაეფექტური განკარგვა

● შესყიდვების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი განკარგვა

2011 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აიღო ვალდებულება, 2 წელიწადში ერთხელ მოამზადოს ანგარიში ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში ჩატარებული აუდიტების შესახებ და წარუდგინოს პარლამენტს. აღნიშნულ ანგარიშში ხდება იმ სისტემური ხარვეზების იდენტიფიცირება, რომლებიც შესწავლილ მუნიციპალიტეტებში გამოვლინდა.

2014-2015 წლებში ადგილობრივ თვითმმართველობებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა **ჩატარა 85 აუდიტი**. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მონაცემი 2012-2013 წლების მონაცემთან მიმართებაში 54%-ით გაიზარდა. განხორციელებული აუდიტებით შესწავლილი ბიუჯეტების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა **2,045.6 ათასი ლარი**.

ანგარიშში ხაზგასმულია ის კონკრეტული და სისტემური ხარვეზები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს თვითმმართველი ერთეულების საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე. კერძოდ:

### **ადგილობრივი მოსაკრებლების არასათანადო ადმინისტრირება**

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული კანონმდებლობის შესაბამისად, შემოსავლების მიღების მიზნით, უფლებამოსილია შემოილოს სხვადასხვა მოსაკრებელი და მოახდინოს მისი ადმინისტრირება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. აღნიშნული მოსაკრებელი უნდა გადაიხადონ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების განევისათვის. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მოსაკრებლები მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ჩატარებული აუდიტებით გამოვლინდა, რომ მოსაკრებლების ბიუჯეტში მობილიზების მაჩვენებელი უმნიშვნელოა, რაც ძირითადად გამოწვეულია არასათანადო დაგეგმარებით. მოსაკრებლის ამოღების დაბალ მაჩვენებელს ასევე განაპირობებს ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტებში შემოსავლების მობილიზების მიზნით, არ ხორციელდება სათანადო და სრულყოფილი ადმინისტრირება.

საკუთარი შემოსავლების არასათანადო დაგეგმვა, ასევე გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერის მოცულობაზე და ინვესტიციების საბიუჯეტო სახსრების არასამართლიან გადანაწილებას თვითმმართველ ერთეულებს შორის.

- ▶ მარნეულის მუნიციპალიტეტის, დასუფთავების მოსაკრებლის სახით, 2014 წლის 1 იანვრისათვის **არ მიულია 404.9 ათასი ლარის შემოსავალი**.
- ▶ სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს“ ნაგებობა ღირებულებით 62,000.0 ათას ლარი არ შეუტანია ქონების გადასახადით დასაბეგრ ობიექტთა ნუსაბეჭდი და შესაბამისად არ იხდის აღნიშნული ქონების გადასახადს (1%). შედეგად ქ. ფოთის ბიუჯეტში 2012-2013 წლებში ქონების გადასახადის სახით ვერ იქნა მიღებული დაახლოებით **1,240.0 ათასი ლარის შემოსავალი**.

## საბიუჯეტო ნლის განმავლობაში აუთვისებელი თანხები

თვითმმართველობებში ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტების ანგარიშზე, როგორც მიმდინარე პერიოდში, ასევე წლის ბოლოს ირიცხება დიდი რაოდენობით ფულადი ნაშთები. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია წლის განმავლობაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების<sup>16</sup> დაუსრულებლობით. შედეგად, მოსახლეობა დროულად ვერ სარგებლობს ბიუჯეტით განსაზღვრული მატერიალური სიკეთით. აუთვისებელი ასიგნებების გარდა, თვითმმართველობები ფლობენ თავისუფალ ფულად ნაშთებსაც და მათი მიზნობრივი გამოყენება მომდევნო წლის ბიუჯეტში არ არის დაგეგმილი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა თვითმმართველი ერთეულების ანგარიშებზე 2015 და 2016 წლების 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთები<sup>17</sup>. გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტების საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები წლების მიხედვით შეადგინდა 119.0 მილიონ და 111.2 მილიონ ლარს. მათ შორის, თავისუფალი ფულადი რესურსების სახით თვითმმართველობები 2015 წლის 1 იანვარს განკარგავდნენ 55.9 მილიონ, ხოლო 2016 წლის 1 იანვარს - 56.4 მილიონ ლარს. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მუნიციპალიტეტში თავისუფალმა ნაშთებმა მთლიანი შემოსულობების 20%-ს გადააჭარბა. (მონაცემები აღებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარეშე, რომელმაც არ წარმოადგინა ინფორმაცია და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიაწოდა მხოლოდ საერთო ნაშთის შესახებ ინფორმაცია, რომელიც 2015 წლის 1 იანვარს - 68.1 მილიონ, ხოლო 2016 წლის 1 იანვარს - 39.7 მილიონ ლარს შეადგენდა).

მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ 2014-2015 წლებში დაგვიანდა 117.9 მილიონი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულება, ხოლო თვითმმართველ ერთეულებს არ დაუგეგმავთ 112.3 მილიონი ლარის გამოყენება ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად და მოსახლეობის პირობების გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია, რომ პროექტების დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ ტრანსფერებს, მაშინ როდესაც ანგარიშზე გააჩნიათ აუთვისებელი ფინანსური რესურსი.

**ცხრილი:** მონაცემები მუნიციპალიტეტების ანგარიშზე არსებული ნაშთების შესახებ (ათასი ლარი);

წელი	ფულადი სახსრები	თავისუფალი აუთვისებელი ნაშთი	პროცენტული ნილი
2014	119.0	55.9	47%
2015	111.2	56.4	51%

<sup>16</sup> ძირითადად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

<sup>17</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა.

## პროექტები, რომლითაც მოსახლეობა ვერ სარგებლობს

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერებითა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით თვითმმართველობები ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტების მიერ ზოგიერთი პროექტი დაუმთავრებელია და მოსახლეობა ვერ სარგებლობს. აღნიშნული გამოწვეულია პროექტების შესრულების არასათანადო დაგეგმვით, მშენებლობის პროცესებზე არასაკმარისი კონტროლით, მიმწოდებლების მიერ სამუშაოების არასრულყოფილად შესრულებით, აგრეთვე მშენებლობის დასრულებისათვის ფინანსური რესურსების უკმარისობით.

2014-2015 წლებში შემოწმებული 11 მუნიციპალიტეტის მიერ **2.2 მილიონი ლარი გახარჯულია ისეთ პროექტებზე, რომლებიც დასრულებული არ არის და ვერ სარგებლობს მოსახლეობა.**

- ▶ მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ 2012-2013 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებიდან, შესყიდვების პროცესში წარმოქმნილი ეკონომიკის და დაუსრულებელი სამუშაოების გამო, **სრულად არ არის ათვისებული 1,805.8 ათასი ლარი.**
- ▶ ქალაქ ბათუმის ბიუჯეტში პროგრამა „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლუატაცია“- გათვალისწინებული იყო 1,921.9 ათასი ლარის ოდენობით. მერიის მიერ არასრულყოფილად იქნა შესრულებული პროგრამით დაგეგმილი ლონისძიებები და **აუთვისებელი დარჩა 1,335.7 ათასი ლარი.**

## თვითმმართველი ერთეულების მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებთან დაკავშირებული სისტემური ხარვეზები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა არაკომერციული არასამენარმეო იურიდიული პირების დაფუძნების პროცესი მნიშვნელოვანი სისტემური ნაკლოვანებებით ხასიათდება. კერძოდ:

- იურიდიული პირების შექმნა არ არის სათანადოდ დასაბუთებული.
- ა(ა)იპ-ებში დასაქმებული ადამიანების რიცხვი და შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ფონდი არაგონივრულად მაღალია.
- იურიდიულ პირებზე მუნიციპალიტეტების მიერ გაცემული სუბსიდიები არ ეყრდნობა სათანადო გათვლებს.

აღნიშნული სისტემური ნაკლოვანებების გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება, მთელი ქვეყნის მასშტაბით შეესწავლა ბოლო 5 წლის განმავლობაში თვითმმართველობებში იურიდიული პირების დაფუძნებისა და დაფინანსების პროცესი<sup>18</sup>.

ადგილობრივმა თვითმმართველობამ ა(ა)იპ შეიძლება შექმნას მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ლონისძიების ეფექტიანად ორგანიზების მიზნით, რაც გულისხმობს საქმიანობის კოორდინაციას საკუთარი უფლებამოსილების სფეროში, ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივების განხილვაში მონაწილეობის მიღებას, ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებთან თანამშრომლობას, თვითმმართველი ერთეულების საერთაშორისო კავშირებთან და მსგავს ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარებას და სხვ.

<sup>18</sup> აჭარის ავტონომიური რესპინსიური გარდა


2015 წლის მონაცემებით, რაოდენობრივი თვალსაზრისით ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი კულტურისა და განათლების სფეროს<sup>19</sup> ა(ა)იპ-ებზე მოდის - 38%. მომდევნო ადგილზეა სპორტი და დასუფთავება-კეთილმოწყობა-ინფრასტრუქტურის სფეროები - 14-14% და საბავშვო ბალები - 10%.

თვითმმართველი ერთეულები ქმნიან ისეთ იურიდიულ პირებსაც, რომელთა ფუნქციონირების ობიექტური საჭიროება არ არის სათანადოდ დასაბუთებული, ხოლო მათი საქმიანობა არ შესაბამება მუნიციპალიტეტის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების მიმართულებებს. მაგალითად, ა(ა)იპ - ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი, ა(ა)იპ - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო კონტაქტების ცენტრი, ა(ა)იპ - ესთეტიკური აღზრდის ცენტრი, ა(ა)იპ - ტაეკვანდოს კლუბი, ა(ა)იპ - სანაშენე მეურნეობის ცენტრი, ა(ა)იპ - მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმარების, განვითარებისა და ანალიტიკის ცენტრი და სხვ. ასევე აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ა(ა)იპ-ების ფორმით შექმნილია ტურიზმის განვითარების ცენტრები. ასეთი იურიდიული პირების საქმიანობის დადებითი გავლენა თვითმმართველი ერთეულის ფუნქციონირების პროცესზე რთული დასადგენია.


წარმოდგენილი მონაცემების შესწავლით ირკვევა, რომ 2011-2015 წლებში თვითმმართველ ერთეულებში დაფუძნებული იურიდიული პირების რაოდენობა მზარდია. 2011 წელს მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებდა 685 იურიდიული პირი, 2012 წელს - 725, 2013 წელს - 785, 2014 წელს - 914, ხოლო 2015 წელს - 1024. შესაბამისად, 2015 წელს, 2011 წელთან შედარებით დაფუძნებული იურიდიული პირების რაოდენობა 49.5%-ით არის გაზრდილი, აღსანიშნავია რომ ზრდის ტენდენცია შენარჩუნებულია ქვეყნის ყველა რეგიონში.

მუნიციპალიტეტებში დაფუძნებული იურიდიული პირების რაოდენობის პარალელურად, ზრდის მაღალი ტემპით ხასიათდება ამ ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობაც და შესაბამისად, გაცემული შრომის ანაზღაურება.

ა(ა) იპ-ებში დასაქმებულების რაოდენობა



ა(ა) იპ-ებში გაცემული შრომის ანაზღაურება (ათასი ლარი)



2015 წელს, ა(ა)იპ-ში დასაქმებულთა რიცხოვნობა, 2011 წელთან შედარებით, გაზრდილია 31810 ერთეულით, ანუ 104%-ით. ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2013 წელს - 27%, წინა წელთან შედარებით. დასაქმებულთა რიცხოვნობის პარალელურად გაიზარდა შრომის ანაზღაურებაც. კერძოდ, 2015 წელს გაიცა 168.9 მილიონი ლარით მეტი თანხა, ვიდრე 2011 წელს (240%).

<sup>19</sup> გარდა ბალებისა.

თვითმმართველი ერთეულების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისა მიერ, 2011-2015 წლებში გაწეული ხარჯების 62% შრომის ანაზღაურებაზე, ხოლო 38% - სხვა დანარჩენ ხარჯებზე მოდის. მათ მიერ მიღებული შემოსავლების დაახლოებით 86%-ს შეადგენს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებულ თანხები. ხშირ შემთხვევაში ა(ა)იპ-ებს სუბსიდიის მისაღებად წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტში წარდგენილი აქვთ მოთხოვები, რომლებშიც ძირითადად მითითებულია დაწესებულების წლიური ხარჯის საერთო მოცულობა, კონკრეტული მიზნებისა და გეგმების გარეშე.

მუნიციპალიტეტების მიერ ორგანიზაციებზე გაცემული სუბსიდიები არ ეფუძნება სათანადო გათვლებს. კერძოდ, სუბსიდია ძირითადად გაცემულია ისე, რომ არ არის გაანგარიშებული კონკრეტულ პროგრამაზე ან ღონისძიებაზე, რომელ პერიოდში, რა რაოდენობის თანხა უნდა გაიხარჯოს და რა შედეგი უნდა დადგეს. არ არის შედგენილი ღონისძიებების ან სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, ასევე არ არის გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი და კონტროლი მათ შესრულებაზე.

- ▶ სამტრედიის მუნიციპალიტეტმა 2012-2013 წლებში დააფუძნა 23 ა(ა)იპ და 2 შპს. ზოგიერთ შემთხვევაში ხდება მათი ფუნქცია-მოვალეობების გადაკვეთა. ა(ა)იპ-ების უმეტესი ნაწილი ისეა დაფუძნებული, რომ მუნიციპალიტეტიდანკ არ აქვს გამოყოფილი რაიმე ქონება ან ფართობი. მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა აღნიშნული იურიდიული სუბიექტების შექმნის აუცილებლობა, სადაც 876-956 კაცია დასაქმებული, ხოლო მიღებულმა სუბსიდიებმა 6,180.9 ათასი ლარი შეადგინა.

### საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი განკარგვა


განხორციელებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა 25 შემთხვევა, რომლის დროსაც ქალაქ თბილისისა და რუსთავის, ასევე ზესტაფონის, წალკის, გურჯაანის, ლაგოდეხის, თერჯოლის, ვანის, საჩხერის, მარნეულის, მარტვილის, ქობულეთის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი ხარჯვა 8.7 მილიონ ლარამდეა. აღნიშნული განაპირობა შემდეგმა დარღვევებმა: გამგეობების მიერ სათანადოდ არ არის დასაბუთებული შტატგარებების მომსახურეთა დაქირავების საჭიროება; საბიუჯეტო თანხები დახარჯულია სახელმწიფო უწყებების სხვადასხვა თანამდებობის პირთა გამასპინძლებისთვის; ა(ა)იპ-ების მიერ დარღვეულია მოთხოვნილი სუბსიდიის მიზნობრიობა; შექენილია სხვადასხვა ძვირადღირებული ელექტრო-ტექნიკა, რომლის საჭიროება რეალურად არ იყო; სტიქის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხები მიღებული აქვთ ისეთ პირებს, რომლებიც არ იყვნენ სტიქის შედეგად დაზარალებულები და სხვა.

- ▶ 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში რუსთავის მერიამ შადრევნის შეიარაღებული დაცვის მომსახურების შესყიდვაზე დახარჯვა 162.4 ათასი ლარი. ვინაიდან შადრევნი მდებარეობს მერიის შენობის წინ, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოპოვა აღნიშნული ობიექტის დაცვის საჭიროების საკმარისი და შესაფერისი რწმუნება.


## 2.7 თავდაცვისა და სამართალდამცავი სისტემების განვითარების მიმართულებით სას-მა დაფარა განვითარება

თავდაცვისა და სამართალდამცავი სისტემების განვითარების მიმართულებით სას-მა დაფარა 1,070,680 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 8 აუდიტი.

დაფარვის მაჩვენებელი



შედეგების განაწილება



- საქრთო დაფარვა
- თავდაცვისა და სამართალდამცავი სისტემის განვითარება

- საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი განკარგვა
- შესყიდვის პროცესში არსებული სხვა დარღვევები
- შესყიდვის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად რესურსების არაპროდუქტული განკარგვა
- საბიუჯეტო რესურსების არაფინანსურირებული განკარგვა

### 2.7.1 შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სპეციალური, გასამსედროებულ დაწესებულებათა სისტემა, რომელიც კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც კრიმინალთან მებრძოლი, საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და წესრიგზე პასუხისმგებელი სტრუქტურა, წარმოადგენს დემოკრატიული, სამოქალაქო მმართველობის მნიშვნელოვან კომპონენტს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი.



## აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

- ▶ გამოვლინდა ხარვეზები საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვაში (2013 წელს - 11,948.4 ათასი ლარი, 2014 წელს - 3,130.6 ათასი ლარი). კერძოდ, კანონმდებლობის დარღვევით ასიგნების გარეშე აღებულია ფინანსური ვალდებულებები და დაფინანსებულია არა გაუთვალისწინებული ხარჯები, არამედ მიმდინარე ხარჯები და წლიური გეგმით გათვალისწინებული შესყიდვები.
- ▶ სამინისტროს ბალანსზე არ იყო აღრიცხული სამინისტროსთვის გადაცემული მიწის ნაკვეთები ჯამური ლირებულებით 54,413.7 ათასი ლარი.
- ▶ სამინისტროს ბალანსზე არსებული ფართები იჯარით იყო გაცემული შპს „ნიგი-2009-ზე“. კომპანიას არ აქვს გადახდილი ბიუჯეტში ხელშეკრულებით გათვალისწინებული იჯარის საფასური - 88.5 ათასი ლარი და საურავი - 27.2 ათასი ლარი (ჯამურად 115.7 ათასი ლარი). აღნიშნული დავალიანება არც ბუღალტრულად იყო აღრიცხული და აღრიცხვა განხორციელდა აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციით.
- ▶ „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „წარმომადგენლობითი ხარჯების“ ქვემუხლით 2013 წელს სამინისტროს მიერ განეულია 1,859.7 ათასი ლარის, ხოლო 2014 წელს - 1,082.2 ათასი ლარის ხარჯი. ზოგიერთ შემთხვევებში გაუკვეველია სტუმრების ვინაობა, მათი რაოდენობა და ხარჯის განევის მიზანშენონილობა.
- ▶ ქვეყნის გარეთ მივლინებებთან დაკავშირებული მიწვევები ცენტრალურ საბუღალტრო სამმართველოს არ ეგზავნებოდა. სამმართველო ეყრდნობოდა ბრძანებებში მითითებულ პირობებს, რომელთა შესაბამისადაც ახდენდა თანხების ანაზღაურებას. პასუხისმგებელი პირების სიტყვიერი განმარტებით, მიწვევები ეგზავნებათ უშუალოდ მიწვეულ პირებს და სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფებს, რომელთა მოხსენებითი ბარათების საფუძველზეც სამინისტრო გამოსცემს ბრძანებებს. დანაყოფები ძირითადად ცენტრალურ საბუღალტრო სამმართველოსგან ტერიტორიულად განსხვავებულ ადგილებზე იმყოფებიან. აღნიშნული პრინციპით ქვეყნის გარეთ მივლინებების ორგანიზება წარმოადგენს შიდა კონტროლის სისუსტეს, რადგან ბუღალტრიის მიერ ვერ ხორციელდებოდა სამივლინებო თანხების გაანგარიშების სისწორის გადამოწმება.
- ▶ აუდიტის პერიოდში სამინისტროს მიერ თანამშრომლებზე (როგორც დაქირავებულებზე) განეულია მომსახურებები (საცხოვრებელი ფართის სარგებლობაში გადაცემა), ასევე განხორციელებულია ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებები ისე, რომ გათვალისწინებული არ არის საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები. კანონმდებლობის მიხედვით კი დამქირავებლის მიერ დაქირავებულისთვის საქონლის კომპენსაციის გარეშე გადაცემისას, საქონლის საბაზო ლირებულება განეკუთვნება ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს და იბეგრება საშემოსავლო გადასახადით. სულ ბიუჯეტში გადაუხდელი თანხა შეადგენს 296.3 ათას ლარს.

### ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში:

- ▶ სატენდერო კომისიის მიერ ცალკეულ შემთხვევებში დისკვალიფიცირებულია დაბალი სატენდერო წინადაღების ფასის მქონე პრეტენდენტები.

- ▶ დაფიქსირდა ხარვეზები შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრაში.
- ▶ გამოვლინდა ხარვეზები სატენდერო დოკუმენტაციებში შესყიდვის ობიექტების ტექ-ნიკური მაჩვენებლების აღნერაში, რაც იმაში გამოიხატება, რომ საქონლის ისეთი პარა-მეტრები (მკაცრად დაფიქსირებული ზომები, ფერი და ა.შ.), რომელთაც არსებითი მნიშვნე-ლობა არ აქვთ, არ უნდა იქნეს მოთხოვნილი, რადგან ეს ზღუდავს პრეტენდენტების რაო-დენობას, კონკურენციას და შესაბამისად, ფასის კლებას. აღნიშნული ხელს არ უწყობს საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას.

### 2.7.2 იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის აღსრულების ეროვნული ბიუროს 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი

აღსრულების ეროვნული ბიურო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველო-ბის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „სააღ-სრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და ახორციელებს სააღ-სრულებო საქმიანობას. აღსრულების ეროვნული ბიუროს ძირითადი მიზანია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მითითებული აქტების აღსრუ-ლების უზრუნველყოფა და მოქმედი კანონმდებლობით ან ამ დებულებით განსაზღვრული სხვა ისეთი დამატებითი საქმიანობის განხორციელება, რომელიც თავსებადია მის ძირითად ფუნქციასთან, მიმართულია პირთა უფლებების დადასტურებისა და დაცვის უზრუნველყო-ფისაკენ და მიზნად ისახავს მართლმსაჯულების განტვირთვას.

თავისი ფუნქციების განხორციელების უზრუნველსაყოფად, ბიუროს დაფინანსების წყაროს 2013-2014 წლებში წარმოადგენდა მხოლოდ საკუთარი შემოსავლები. ბიუროს საკუთარი შე-მოსავლების ძირითად წყაროებს წარმოადგენდა:

- შემოსავლები საკუთრებიდან (სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებზე ბანკე-ბის მიერ დარიცხული პროცენტები).
- საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები (მომსახურე-ბის რეალიზაცია და ფართის იჯარები).
- სანციები (ჯარიმები და საურავები). შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შე-მოსავლები.

2013 წელს შემოსავლებმა შეადგინა სულ 30,658.2 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს - 20,982.6 ათასი ლარი.

აღნიშნული თანხების ხარჯვის კანონიერების შემოწმების მიზნით ჩატარდა ბიუროს 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელო-ვანი დარღვევები:

## ზედმეტად გადახდილი სახსრები:

- ▶ სსიპ - აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და შპს „ანაგს“ შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება ლი-რებულებით **1,452.1 ათასი ლარი.** ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ. ლაზიკის იუსტიციის სახლის გათბობის, ვენტილაციის, წყალგაყვანილობის, სახსნდო, ელექტრონობისა და სუსტი დენების მოწყობის სამუშაოები. ხარჯთაღრიცხვაში არსებული არითმეტიკული შეუსაბამობის და მოგების კანონმდებლობის დარღვევით დარიცხვის შედეგად სამუშაოების ღირებულება გაზრდილია და ზედმეტად გადახდილია **73.3 ათასი ლარი.**
- ▶ ბიუროსა და შპს „ანაგს“ შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება **7,871.6 ათასი ლარი.** ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ. ლაზიკის იუსტიციის სახლის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. ხარჯთაღრიცხვებში მანქანა-მექანიზმების ქირავნობის ღირებულებებზე ზედნადები ხარჯებისა და მოგების კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით დარიცხვის შედეგად სამუშაოების ღირებულება გაზრდილია და ზედმეტად გადახდილია **143.7 ათასი ლარი.**


## შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად ზედმეტად გადახდილი სახსრები:

- ▶ ქ. ფოთის იუსტიციის სახლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო დოკუმენტაციით არააუცილებელი, არა-საჭირო და შემზღვდავი მოთხოვნების დაწესებით დისკვალიფიცირებულ იქნა დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი და გამარჯვებულად გამოცხადდა მაღალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე შპს „პრიზმა“, რის შედეგადაც ზედმეტად გაიხარჯა **267.5 ათასი ლარი.**
- ▶ ქ. თბილისის იუსტიციის სახლის ავტოსადგომის მოპირკეთების სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2013 წელს ბიუროსა და შპს „აგრომშენერვის“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით **989 ათასი ლარი.** ხარჯთაღრიცხვებში შრომის ანაზღაურების ღირებულების კანონმდებლობის დარღვევით გაზრდის შედეგად სამუშაოების ღირებულება გაზრდილია და ზედმეტად გადახდილია **137.9 ათასი ლარი.**
- ▶ ქ. თბილისის იუსტიციის სახლის ტერიტორიაზე ავტოსადგომის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით ბიუროსა და შპს „ნიუ კონსტრაქშენს“ შორის 2012 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით **9,650.0 ათასი ლარი.** ხარჯთაღრიცხვაში არსებული არითმეტიკული შეუსაბამობის შედეგად, სამუშაოების ღირებულება გაზრდილია და ზედმეტად გადახდილია **195.4 ათასი ლარი.**
- ▶ 2012 წელს ბიუროსა და შპს „ანაგი თბილის“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით **1,049.2 ათასი ლარი.** ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ. თბილისის იუსტიციის სახლის შიდა მოპირკეთების სამუშაოები. ხარჯთაღრიცხვებში ცალკეული მასალების ღირებულებებისა და ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების ფაქტორივ ხარჯებთან შედარებით გაზრდილად წარმოდგენის შედეგად, სამუშაოების ღირებულება გაზრდილია და ზედმეტად გადახდილია **35.7 ათასი ლარი.**


## 2.8 სახელმწიფო სანარმოებისა და სსიპ-ების საკუთარი შემოსავლების მართვის მიმართულებით სას-მა დაფარა 35,119 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 7 აუდიტი.

სახელმწიფო სანარმოებისა და სსიპ-ების საკუთარი შემოსავლების მართვის მიმართულებით სას-მა დაფარა 35,119 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 7 აუდიტი.

დაფარვის მაჩვენებელი



შედეგების განაწილება



- საერთო დაფარვა
- სახელმწიფო სანარმოებისა და სსიპ-ების საკუთარი შემოსავლების მართვა

- აქტივების არაპროდუქტიული განკარგვა
- საბიუჯეტო რესურსების არაეფექტური განკარგვა
- აქტივების არაეფექტური განკარგვა

### 2.8.1 საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო სამსახურის ბიუროს 2012-2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს 2012-2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტის მიზანს წარმოადგენდა საჯარო სამსახურის ბიუროს საქმიანობის არსებითი გავლენის მქონე საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა.

#### ► აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პროგლოგის მოკლე აღნერა

- ▶ ბიუროს მიერ 2012 -2013 წლებში როუმინგული მომსახურებისთვის გახარჯული 29 001 ლარი წარმოადგენს არამიზნობრივ ხარჯს, რადგან „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება არ ითვალისწინებს საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომლებისათვის ქვეყნის გარეთ მივლინების პერიოდში კავშირგაბმულობის ხარჯების ანაზღაურებას.
- ▶ 2012 წლს დაგეგმვის ეტაპზე საშტატო რიცხოვნობა განსაზღვრულია მნიშვნელოვნად დიდი ოდენობით, ვიდრე შემდგომში, წლის განმავლობაში რეალური საშტატო რიც-

ხოვნობაა (ბიუროში დასაქმებულთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 15 ერთეულს, საშტატო ნუსხით დამტკიცებული რაოდენობის 71%-ს). აღნიშნულის გამო, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული გადასახდელები (ეკონომიკი) ნაწილდებოდა თანამშრომლებზე „პრემიების“ მუხლით.

- ▶ 2012 წელს შტატგარეშე მოსამსახურებად შრომითი ხელშეკრულებებით მიღებულია თანამშრომლები მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად მაშინ, როდესაც იმავე ფუნქციის შესასრულებლად საშტატო ნუსხით დამტკიცებული თანამდებობები არ არის სრულად დაკომპლექტებული. არ არის გათვალისწინებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები.
- ▶ 2012 წელს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან **50 ათასი ლარი** მოთხოვნილია მიმდინარე წელს დაგეგმილი სხვადასხვა პროექტების წარმატებით განსახორციელებლად, ხოლო შემდეგ აღნიშნული თანხა გაცემულია პრემიებზე ისე, რომ ბრძანებებში არ არის მითითებული პრემიის გაცემის დასაბუთება. აღნიშნული პროექტები ბიუროს მიერ არ განხორციელებულა.
- ▶ 2013 წელს მაღალკვალიფიციური კადრების შენარჩუნების მიზნით, ბიუროს მიერ მოთხოვნილია საპრემიო ფონდის წლიური მოცულობის გაზრდა შტატით გათვალისწინებულ თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების წლიური ოდენობის 35%-ით. ამ პერიოდში, „პრემიის“ მუხლით განეული მთლიანი ხარჯის 72.3% მიღებული აქვს ბიუროს უფროსს 9 თვეის განმავლობაში.

## 2.8.2 სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი

სას-მა ჩაატარა სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდის 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის მასშტაბმა ძირითადად მოიცვა ადგილობრივ თვითმმართველობებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლის დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტი, ასევე, სხვადასხვა მსხვილი საინვესტიციო ბანკი.

სას მიიჩნევს, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდში აღმოჩენილ ნაკლოვანებებზე ყურადღების გამახვილება, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრად განვითარებას.

## ► აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პროგლოგის მოკლე აღნირა

- ▶ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2013 წელს გამოცხადებულ **824 ათასი ლარის** ოდენობის ტენდერში გამარჯვებულად გამოვლენილი პრეტენდენტი ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას, რაც არ განხორციელებულა.

- ▶ თბილისში, საგზაო გვირაბისა და სარეკრეაციო ზონის მშენებლობის პროექტი-რებასა და მშენებლობის ზედამხედველობაზე, განვითარებულია 530.3 ათასი ლარის ხარჯი (მათ შორის, დონორის დაფინანსება). მშენებლობის განუხორციელებლობის გამო, აღნიშნულ ხარჯს არანაირი ლირებულების შედეგი არ მოჰყოლია.
- ▶ 2013 წელს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია საჭიროებდა დაზუსტებას, რის შედეგადაც ფონდს უნდა განესაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებისა თუ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის კანონშესაბამისობა. ამასთანავე, კონტრაქტორმა ორგანიზაციამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 499.5 ათასი ლარის ლირებულების სამუშაოები ვერ შეასრულა.
- ▶ თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მოდერნიზაციის პროექტის მიმდინარეობისას, განსახლების ფარგლებში, ფონდი, ბიზნესის შეჩერების გამო, კომპენსაციას გასცემდა მესაკუთრეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი შეფასების მეთოდიკა ზოგიერთ შემთხვევაში არ იძლევა მენარმე სუბიექტებისათვის გადახდილი კომპენსაციის სრულყოფილი ანალიზის საშუალებას. შეფასების მეთოდიკის მიხედვით, კომპენსაცია ეფუძნებოდა მენარმე სუბიექტების მიერ წარმოდგენილ მოგების ან/და საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციებს და ისეთ დამატებით ფინანსურ ინფორმაციას, რომლებიც დადასტურებულია მხოლოდ მესაკუთრეების მიერ.

### 2.8.3 „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ 2012-2014 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი

შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ (შპს) 2012-2014 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მთავარ მიზანს შესაბამისობის კუთხით წარმოადგენდა შპს-ს საკუთარი შემოსავლების მართვის საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა.

#### ► აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პროგლოგის მოკლე აღნიშნული

- ▶ შპს-ს 2013 წლის ფინანსურმა მოგებაშ შეადგინა 8.2 ათასი ლარი. შპს-მ რეინვესტირების ნებართვის თხოვნით შესაბამისი წერილით მიმართა აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის სამინისტროს (დამფუძნებელს, პარტნიორს), რაზეც წერილობითი პასუხი პარტნიორისაგან არ ყოფილა. მიუხედავად ნებართვის არარსებობისა, ზემოაღნიშნული თანხიდან შპს-ს მიერ შექნილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა და სხვადასხვა დასახელების აქტივი;
- ▶ შპს-ს 2014 წლის წმინდა მოგებაშ შეადგინა 28.9 ათასი ლარი. აღნიშნული თანხის რეინვესტირების ნებართვის გაცემის თხოვნით აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (დამფუძნებელს, პარტნიორს) შპს-მ მიმართა შესაბამისი წერილით. ნებართვის გაცემის თაობაზე დამფუძნებლისაგან საპასუხო წერილი არ შემოსულა, ხოლო მოგვიანებით აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ შპს-ს დაავალა 2014


წლის მთლიანი წმინდა მოგების გადარიცხვა ბიუჯეტში. თუმცა მიუხედავად ამისა, შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრს“ 2014 წლის წმინდა მოგების თანხა - 28.9 ათასი ლარი ბიუჯეტში არ გადაურიცხავს;

- ▶ შპს-ს 2012 წელს 6.6 ათასი ლარის ღირებულების, ხოლო 2013 წელს 2.8 ათასი ლარის ღირებულების შეძენილ აქტივებზე, აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის სამინისტროს (დამფუძნებელს, პარტნიორს) შეძენის ნებართვის მოთხოვნით გაეგზავნა წერილები, რაზეც არანაირი პასუხი ან ოფიციალური ნებართვა არ ყოფილა. გარდა აღნიშნულისა, 2013-2014 წელს შეძენილ 10.9 ათასი ლარის ღირებულების აქტივებზე შპს-ს მიერ მოთხოვნის წერილი არ გაგზავნილა, შესაბამისად შესყიდვის ნებართვა პარტნიორის მიერ ამ შემთხვევაშიც არ გაცემულა;
- ▶ 2014 წელს შპს-ს მიერ არ იქნა დაცული მონეტარული ზღვრები და ადგილი ჰქონდა ტენდერების ნაცვლად გამარტივებული შესყიდვების (ერთ პირთან მოლაპარაკება) განხორციელებას;
- ▶ შპს-ს მიერ აუდიტის პერიოდში დადგენილი წესით არ ხორციელდებოდა შესყიდვების გეგმების კორექტირება დაზუსტება.


## 2.9 სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვის და მართვის მიმართულებით სახმა დაფარა 136,475 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 8 აუდიტი.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვისა და მართვის მიმართულებით სახმა დაფარა 136,475 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 8 აუდიტი.

დაფარვის მაჩვენებელი



შედეგების განაწილება



- საერთო დაფარვა
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვა და მართვა

- საბიუჯეტო რესურსების არაეფექტურობა
- შესყიდვების პროცესში არსებული სხვა დარღვევები
- აქტივების მართვაში არსებული სხვა დარღვევები

## 2.9.1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის 2013-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელდა არაერთი საკანონ-მდებლო რეფორმა საჯარო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, თუმცა საჯარო ორგანიზაციებში კვლავ არსებობს გარკვეული პრობლემები და გამოწვევები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას კანონმდებლობასთან შეუსაბამო ქმედებებსა და აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებულ ხარვეზებს, რაც სისტემურ პრობლემას წარმოადგენს საჯარო სექტორში.

საზოგადოების დიდი ინტერესიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის საქმიანობა და გამოავლინა რიგი დარღვევებისა, რომლებმაც მოიცვა სამი ძირითადი სფერო:



აღნიშნული აუდიტის მთავარი მიზანია, წარმოადგინოს ობიექტური დასკვნა და მიუთითოს არსებულ ხარვეზებზე, მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ქმედებების მომავალში თავიდან ასაცილებლად.

### ► აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღნერა

აუდიტის პერიოდმა დაფარა 2013-2014 წლები და 2015 წლის 7 თვე. აუდიტის შედეგად გამოვლინდა რიგი დარღვევებისა, მათ შორის:

#### ► აქტივების არასრულყოფილი აღრიცხვა:

- მერიის ადმინისტრაციაში არ იყო უზრუნველყოფილი არაფინანსური აქტივების იდენტიფიცირება ბუღალტრულ აღრიცხვასთან, რაც შეუსაბამობაშია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით<sup>20</sup> განსაზღვრულ მოთხოვნებთან. არასრულყოფილად ხორციელდებოდა ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციები, შესაბამისად, არ არის დაცული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“<sup>21</sup> მოთხოვნები. ფაქტობრივად, მოშლილია მატერიალური ფასეულობების აღრიცხვაზე კონტროლი.

<sup>20</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის, 2007 წლის 28 დეკემბრის, N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის, მე-5 მუხლის მოთხოვნები.

<sup>21</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივნისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნები

► ხარვეზები შესყიდვების პროცესებში:

- 2013 – 2014 წლებში შესყიდვების სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრისთვის არ ხდებოდა ბაზრის საფუძვლიანი კვლევა, რაც ზრდის საბიუჯეტო თანხების არაეკონო-მიური განკარგვის რისკებს. სავარაუდო სატენდერო ღირებულებები, ხშირ შემთხვევაში, ბევრად აღემატებოდა საბოლოოდ დაფიქსირებულ სატენდერო წინადადების ფასებს.
- 2013 წელს თბილისის სატრანსპორტო პარკის განახლებისათვის ავტობუსების შეს-ყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში არამართლზომიერადაა გამოყენებული პრეტენ-დენტის მიმართ დისკვალიფიკაციისა და ტენდერის შეწყვეტის უფლება.
- 2013 - 2014 წლებში სატენდერო დოკუმენტაციებში საკვალიფიკაციო მოთხოვნე-ბით ხელოვნურად იზღუდებოდა კონკურენცია და ექმნებოდა უპირატესი მდგომარეობა კონკრეტულ ერთ პრეტენდენტს, რითაც დაირღვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი<sup>22</sup>. 2013 - 2015 წლებში სახელშეკრულებო მოთხოვნების დარღვე-ვით, შესყიდვებისას არაჯეროვანი ინსპექტირების გამო, ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების გარეშე გადახდილია ასანაზღაურებელზე მეტი თანხები.

► საკადრო პროცედურების გაუმართაობა:

- 2013 - 2014 წლებში, სათანადო დასაბუთების გარეშე, მერიის 100%-იანი წილი მონაწილეობით დაფუძნებულ ოთხ შპს-ში შექმნილი იყო 11-წევრიანი სამეთვალ-ყურეო საბჭოები, სულ 44 წევრი, თითოეულისთვის თვეში - 2.5 ათას ლარიანი ხელ-ფასით, რისთვისაც მერიის ადმინისტრაციის ბიუჯეტიდან გახარჯულია 1,272.8 ათასი ლარი.
- 2013 და 2014 წლებში პრემიების გაცემისას არ იყო დაცული თბილისის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორ-განობრივი საჯარო მოსამსახურეთა პრემიერების წესის მოთხოვნები“<sup>23</sup>, რომლებიც ით-ვალისწინებს მოსამსახურებზე პრემიების გაცემას პირადი წვლილის, ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის შემთხვე-ვაში.
- 2013 და 2014 წლებში დანამატებით გაიცა „საჯარო სამსახურის შესახებ“<sup>24</sup>, „სა-ქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ და „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“<sup>25</sup> საქართველოს კანონების მოთხოვნების დარღვევით. ასევე 2013, 2014 წლებში და 2015 წლის 6 თვეში დანამატების გაცემისას, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „სა-ბიუჯეტო კლასიფიკაციით“ განსაზღვრული დანამატის ცნების გაუთვალისწინებლად, დანამატის გაცემის დასაბუთებების გარეშე ადგილი ჰქონდა თანამშრომლებზე წლის დასაწყისში წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში, დანამატის დანიშვნის ფაქტებს, რაც სისტემატიურობიდან გამომდინარე, უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებდა, ვიდრე დანამატისას.

<sup>22</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-2 მუხლის ბ) და გ) პუნქტების მოთხოვნები

<sup>23</sup> თბილისის მთავრობის, 2006 წლის 14 მარტის, N05.11.128 დადგენილებით დამტკიცებული მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი

<sup>24</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი

<sup>25</sup> 22-ე მუხლის მე-4 პუნქტი

- 2014 წელს მერიის ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო კონკურსის დროულად ჩატარება, რითაც დაარღვია „საჯარო სამსახურის შესახებ“<sup>26</sup> საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები. შედეგად, მერიის 133 დროებით მოვალეობის შემსრულებელი, თვე-ნახევარის განმავლობაში, დანიშვნისა და კონკურსის გავლის გარეშე ასრულებდა სამუშაოს.

## 2.9.2 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013-2015 წლის შესაბამისობის აუდიტი

### ► აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პროგლოგის მოკლე აღნიშვნა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც დადგენილი წესით ახორციელებს ზედამხედველობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის, ქალაქის გარე იერსახის, გარე რეკლამის, გარე ვაჭრობის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების, ასევე ხმაურის ნორმების დაცვაზე.

საქალაქო სამსახურის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, დარღვევით მშენებარე პბიექტების შეჩერება ან/და დემონტაჟი და საჯარიმო სანქციების გამოყენება.

სამშენებლო სამართალდარღვევების საქმეებზე მიღებული დადგენილებების აუდიტით დადგენილ იქნა, რომ 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივნისამდე პერიოდში:

- ▶ რიგ შემთხვევებში დარიცხული ჯარიმის თანხებზე სააღსრულებლო ფურცლები შედგენილი არ არის და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს თანხების იძულებით ამოღება - მიქცევის თაობაზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. კერძოდ, ამ პერიოდში იძულებით აღსასრულებლად არ იქნა გადაგზავნილი 50 დადგენილება - 468.0 ათასი ლარის საჯარიმო თანხების ამოღებაზე.
- ▶ 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივნისამდე პერიოდში, ზემოთ მითითებული 6-თვიანი ვადის გასვლის შემდევ<sup>27</sup>, აღსრულების ეროვნულ ბიუროში თანხების იძულებითი წესით ამოღება-მიქცევისათვის გადაგზავნილია სამშენებლო სამართალდარღვევებზე მიღებული 50 დადგენილება, თანხით - 427.0 ათასი ლარი.
- ▶ ჩადენილი სამშენებლო სამართალდარღვევებისათვის 2013–2014 წლებში ამინისტრებულია 160 სუბიექტი. 54 სამართალდამრღვევ სუბიექტს არ აქვს სამშენებლო სამართალდარღვევა გამოსწორებული და მათზე არ არის დარიცხული სამმაგი ოდენობის ჯარიმა - 816.0 ათასი ლარის ოდენობით, მაშინ როდესაც ამნისტრებულ 6 სამართალდამრღვევ სუბიექტზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ დარიცხულია სამმაგი ოდენობის ჯარიმა.

<sup>26</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი

<sup>27</sup> დარღვეულია 6 თვიანი ვადები;

- ▶ უნებართვო შენობა-ნაგებობების დემონტაჟის სამუშაოებზე სათანადოდ დასაბუ-თებული გადაწყვეტილების გარეშე, მხოლოდ ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, შესრულებულია **სულ 11.4 ათასი ლარის სადემონტაჟო სა-მუშაოები.** ამასთანავე, ამ ფიზიკურ პირების მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისნარმოება არ დაწყებულა და საქალაქო სამსახურს სამართალდამრღვევისათვის არ მოუთხოვია გალებული ხარჯების ანაზღაურება.
- ▶ მწვანე ნარგავების უკანონოდ გაჩერებისა და დაზიანების 81 ფაქტზე სამართალდამ-რღვევის (ვალდებული პირის) და ზიანის ოდენობის დადგენის შემდეგ, სამსახურს თვით-მმართველობისათვის მიყენებული **229.9 ათასი ლარის ზიანის ანაზღაურების უზრუნველსა-ყოფად კანონმდებლობის მოთხოვნები არ შეუსრულებია.**

### 2.9.3 შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ 2011-2013 და

**შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ 2012-2014 წლების შესაბამისობის აუდიტები**

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების გამართული ფუნქციონი-რება დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის მდგრად განვითარებაზე, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი მართვა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით. 2015 წელს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში ყურადღება მიიქცია რამდენიმე მნიშვნელოვანმა საკითხმა.

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ 2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი ფარ-გლებში გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

- ▶ შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიაშ ვერ წარმოადგინა 2011-2013 წლებში 144 ათასი ლარის ლირებულების მარაგების შესყიდვის და 27.5 ათას ლარზე ქვეყნის შიდა მივლინებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- ▶ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე შპს-ის კაპიტალი გაიზარ-და 800.0 ათასი ლარით. განკარგულების მიხედვით, შპს-ს დაევალა ყვარლის მუნიციპა-ლიტეტში, ილიას ტბასთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, რომლის ფაქტობრივმა შესრულებულმა სამუშაოებმა შეადგინა **818 ათასი ლარი.** ასევე, განკარგულების საფუძ-ველზე, შპს-ს დამატებით დაევალა საკუთარი სახსრებით ქალაქ ყვარელში, ილიას გო-რაზე მდებარე იუსტიციის სასწავლო ცენტრთან მისასვლელი ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და ქალაქ ყვარელში, ილიას ტბის თავზე შესაბამისი წარწე-რის მოწყობა. აღნიშნულ სამუშაოებზე ფაქტობრივად განეულმა ხარჯმა შეადგინა **737.1 ათასი ლარი.** ყველა ზემოხსენებული სამუშაოს ზედამხედველობა, ინსპექტირება და მი-ლება-ჩაბარება დაევალა ყვარლის მუნიციპალიტეტს, თუმცა, დასრულებული სამუშაოები ჩაბარებული არ არის.
- ▶ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სამშენებლო კომპანიის კაპიტალი გაიზარდა 10,490.0 ათასი ლარით ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად. შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობა, ინსპექტირება და მიღება-ჩაბარება დაევალა ზუგდიდის მუნიციპალი-

ტეტს. სამუშაოების საერთო ღირებულებამ შეადგინა 12,676.1 ათასი ლარი, **საიდანაც 2,186.1 ათასი ლარის სამუშაოები** კომპანიამ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე განახორციელა **საკუთარი სახსრებით.** სამუშაოების დასრულების შემდეგ ობიექტი არ არის ჩაბარებებული.

► საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე კომპანიის კაპიტალი გაიზარდა 7,366.0 ათასი ლარით. აღნიშნული თანხა გამოყოფილი იყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისთვის. **განკარგულებებში სამუშაოების მიმღები პირი არ იყო განსაზღვრული.** შესრულებული სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 3,640.5 ათასი ლარი. **აუდიტის პერიოდისათვის სამუშაოები ჩაბარებული არ არის.** კომპანიის ხელმძღვანელობის განმარტებით, მათ არ გააჩნიათ ინფორმაცია, თუ ვინ უნდა მოახდინოს ზემოთ აღნიშნულ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, რადგან ეს მოთხოვნა მთავრობის განკარგულებით არ იყო განსაზღვრული.

შპს „**საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის**“ 2012-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი ფარგლებში გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:


► კომპანიამ მთავრობის განკარგულებების საფუძველზე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და იუსტიციის სასწავლო ცენტრს უსასყიდლო სარგებლობაში კომპანიისათვის გადაცემის პირობით, საერთო ჯამში გადაურიცხა 6,809.0 ათასი ლარი. მოგვიანებით უსასყიდლო უზურფრუქტობან დაკავშირებული ხელშეკრულებები გაუქმდა, ხოლო **მათ საფუძველზე გადარიცხული თანხები კომპანიას არ დაბრუნებია.**

► შპს-ის მიერ გამოცხადებულ ზოგიერთ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა ისეთი პრეტენდენტები, რომელთა **სატენდერო წინადადება არ შეესაბამებოდა სატენდერო მოთხოვნებს.**

► ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციაში შესასყიდი საქონლის აღწერისას დაფიქსირებულია **ისეთი სპეციფიკური პარამეტრები,** რომელთა მითითებაც ზღუდავდა კონკურენციას და შედეგად ტენდერში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი.


## 2.10 გარემოსდაცვითი პროგრამების მხარდაჭერის მიმართულებით სას-მა დაფარა 65,028 ათასი ლარი. ამ მიმართულებით ჩატარდა 8 აუდიტი.

დაფარვის მაჩვენებელი



- საერთო დაფარვა
- გარემოსდაცვითი პროგრამების მხარდაჭერა

შედეგების განაწილება



- აქტივების არაპროდუქტული განკარგვა
- საბიუჯეტო რესურსების არაეფექტური განკარგვა
- საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი განკარგვა

### 2.10.1 ხე - ტყის კომერციული რესურსების მართვის ეფექტურობის აუდიტი

#### ► აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პროგლოვანი მოკლე აღნირა

ენერგეტიკული, ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში საქართველოში ტყის რესურსით ოფიციალური სარგებლობა ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და ტყის უკანონო ჭრა დღეისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა საქართველოში ხე-ტყის დამუშავების კომერციულ სექტორში არსებული მდგომარეობა, რაც უკავშირდება ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გაცემას, ლიცენზიის პირობების ჩამოყალიბებას და სალიცენზიონ ფართობის სახელმწიფო კონტროლს. აღნიშნულ პერიოდში ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემასა და მის კონტროლს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და მისი საქვეუწყებო სტრუქტურები ახორციელებდნენ.

#### ► აუდიტის პერიოდის და პირითაღი მიზანები

აუდიტის პერიოდმა დაფარა 2013 – 2015 ოქტომბრამდე პერიოდი და დროის ამ მონაკვეთში მოქმედი 70 ლიცენზიის მიმდინარე მდგომარეობა. ვინაიდან ლიცენზიები გაიცა 2007-2011

წლებში, აუდიტის ჯგუფმა საკითხის სრულფასოვანი ანალიზის განხორციელების მიზნით, ასევე გამოიყენა ამ პერიოდის ინფორმაცია. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი პირობლები:

► ტყით სარგებლობის ლიცენზიების აუქციონები არაკონკურენტულ გარემოში ჩატარდა:

- აუქციონებზე არაკონკურენტული გარემოს ერთ - ერთი მიზეზია ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს სტრატეგიული ზონირების პროცესის შედეგად წინასწარ არ განუსაზღვრავს ტყის ის ფართობები და მოცულობა, რომლის გაცემაც მიზანშეწონილი იქნებოდა და სალიცენზიონდ. ამგვარი ზონირების არარსებობის პირობებში ლიცენზიები გაიცა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კონკრეტული, მათთვის სასურველი ტყის მასივების მოთხოვნის საფუძველზე.
- არაკონკურენტულ გარემოში გასხვისებული ლიცენზიებიდან სახელმწიფოს მიერ მიღებული შემოსავალი მათ რეალურ საბაზრო ღირებულებასთან შედარებით დაბალია. 2013-2015 წლებზე ჩატარებული ანალიზით გამოვლინდა, რომ აღნიშნულ პერიოდში აუქციონის შემოსავლისა და ლიცენზიის მოსაკრებლის ჯამურმა რაოდენობამ 24,2 მილიონი ლარი შეადგინა.

**გრაფიკი:** ლიცენზიებიდან მიღებული სახელმწიფო სარგებლის შედარება რესურსის საბაზრო ღირებულებასთან. ლიცენზიებით სახელმწიფოს მიერ მიღებული 3 წლის ჯამური შემოსავალი - 24 მილიონი ლარი, დაახლოებით 6-ჯერ ნაკლებია ლიცენზიებით მოსაპოვებელი რესურსის იმავე პერიოდის ჯამურ საბაზრო ღირებულებაზე - 150 მილიონ ლარზე.

თანხები, მილიონი ლარი



► 2013 -2015 წლებში სახელმწიფოს მიერ მიღებული შემოსავალი 125,712.8 ათასი ლარით ნაკლებია ამავე პერიოდში ლიცენზიებით მოსაპოვებელი რესურსის საბაზრო ღირებულებაზე. აღნიშნული ფაქტი გამოწვეულია ლიცენზიების საწყისი ფასის სიმცირითა და აუქციონებზე დაბალი კონკურენციით.

► ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის დამადასტურებელ საბუთში ტყით სარგებლობის ლიცენზიის პირობები განსაზღვრული არ არის:

- ლიცენზიების 82% -ში მითითებულია, რომ ლიცენზიანტი ვალდებულია დაიცვას „კანონმდებლობით გათვალისწინებული სალიცენზიო პირობები“. აღნიშნული ჩანაწერი ვერ უზრუნველყოფს სალიცენზიო პირობების სრულად გაცნობიერებას და მათ შესრულებაზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელებას.

## 2

● ტყით სარგებლობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში აქტიურად შედიოდა ცვლილებები, რითაც კანონმდებლობით დადგენილი სალიცენზიო პირობები მნიშვნელოვნად იცვლებოდა.

► 2011 წელს ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესსა და პირობების 61 მუხლია შეცვლილი, რაც ქმნის ალბათობას, რომ ზოგიერთი ცვლილების მორგება კერძო კომპანიებზე მოხდა.

## აუდიტის შედეგად გაცემული კირითალი რეკომენდაციები

არსებული მიგნებების საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ეხება არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული სააგენტოს სამუშაო პროცესს, არამედ მთლიანი სისტემის ფუნქციონირების ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებას. აქედან გამომდინარე, ლიცენზიის გაცემისა და პირობების ჩამოყალიბების შესახებ რეკომენდაციები მიმართულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროზე:

აუქციონზე კონკურენციის გაზრდის მიზნით, სამინისტრომ განსაზღვროს სალიცენზიოდ ვარგისი ტყის ფონდის ფართობი და შემდეგ საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოს ლიცენზიის საჯარო აუქციონის წესით კონკურენტულ გარემოში გასხვისება.

სახელმწიფოს მიერ ადეკვატური შემოსავლის მიღების მიზნით, სამინისტრომ აუქციონის საწყისი ფასის დადგენის დროს გაითვალისწინოს ხე-ტყის შესაბამისი ჯიშისა და ხარისხის საბაზრო ფასი.

ლიცენზიებით მოსაპოვებელი რესურსის ოპტიმალური განსაზღვრის მიზნით, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია გაიცეს ტყის ფონდის სალიცენზიო ფართობის ინვენტარიზაციის ჩატარების შემდეგ. ლიცენზიის გაცემამდე განისაზღვროს ასათვისებელი ხე-ტყის რესურსის რაოდენობა ინვენტარიზაციის მონაცემების საფუძველზე.

ლიცენზიანტის მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობიერების მიზნით, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის დოკუმენტში სრულად და გარკვევით აისახოს ლიცენზიის პირობები. მოქმედ ლიცენზიებში, სადაც მითითებულია - ლიცენზიანტმა დაიცვას „კანონმდებლობით გათვალისწინებული სალიცენზიო პირობები“, დაკონკრეტდეს ლიცენზიანტების საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები და რელევანტური ყველა ბრძანება - დადგენილება (გეგმის შედგენის, ტყითსარგებლობის, რესურსის ტრანსპორტირების წესები და ა.შ.). აღნიშნულ დოკუმენტში სხვადასხვა ნორმატიული აქტებიდან თავმოყრილ იქნეს სალიცენზიო პირობები, რაც დაფარავს ლიცენზიანტის საქმიანობის სრულ პროცესს.

## 2.11 აუდიტორული საქმიანობით გაფარული რეკომენდაციების შესრულების მდგრადარიგა


სას-ის აუდიტორული საქმიანობა ორიენტირებულია არა მხოლოდ დარღვევების გამოვლენაზე, არამედ - სახელმწიფო მმართველობის გასაუმჯობესებლად სისტემური ხასიათის ხარვეზების გამოვლენასა და საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი მართვის მისაღწევად შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე.

2014-2015 წლებში სამსახურმა საჯარო მმართველობის გასაუმჯობესებლად გასცა **700 რეკომენდაცია (2015 წელს 347 რეკომენდაცია)**. რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი, აუდიტის ობიექტების წერილობითი პასუხის მიხედვით, **40%-ს შეადგენს**.

რეკომენდაციების შესრულების დაბალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, სას-ისთვის კვლავ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს აუდიტის ობიექტების მხრიდან რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის ზრდა. ამ მიმართულებით სამსახურმა გასულ წელს აქტიურად დაიწყო როგორც რეკომენდაციების ხარისხის გაუმჯობესება, ასევე აღნიშნულ პროცესში პარლამენტის როლის გაზრდა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2015 წელს გაცემული რეკომენდაციები მიმართულია შემდეგი სახის დარღვევების გამოსასწორებლად: აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები, ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული ხარვეზები და სხვ. (იხ. დიაგრამა)

2015 წელს გაცემული რეკომენდაციები:



# 3

## ექსპერტ-ანალიტიკური საქმიანობა

ძირითადი აუდიტორული საქმიანობის გარდა, სას საქართველოს პარლამენტსა და აღმას-რულებელ ორგანოებს აწვდის რეკომენდაციებს ნორმატიული აქტების შესახებ, სახელმწიფო მმართველობის, საჯარო ფინანსების მართვის სისტემის რეფორმისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მონაწილეობს საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების მაკომდინირებელი ორგანიზაციებისა და 2 პროფესიული საბჭოს<sup>28</sup> საქმიანობაში. სას-მა 2015 წელს მაკომდინირებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში მოამ-ზადა 10 ანგარიში:

- სახელმწიფო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის საკომიტეტისაციო საბჭოს წარუდგინა 2 სამოქმედო გეგმა და შესრულების 2 ანგარიში.
- ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების სამოქმედო გეგმა და შესრუ-ლების 2 ანგარიში.
- ეროვნულ ანტიკორუფციულ საბჭოს წარუდგინა 2 ანგარიში სას-ის მიერ საქართვე-ლოს 2015-2016 წლების ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის შესახებ.
- ევროკავშირის დელეგაციას წარუდგინა შუალედური ანგარიში „სახელმწიფო ფინან-სების პოლიტიკის რეფორმის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მეორე ტრანშის გამოყოფასთან დაკავშირებით პირობების შესრულებაზე.

### 3.1 ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ფარგლები სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წვლილი


ეროვნული ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობით სახელმწიფო აუდიტის სამსახური ხელს უწყობს კორუფციისაგან თავისუფალი სახელმწიფო სისტემის ჩა-მოყალიბებას.

ანტიკორუფციული პოლიტიკის ფარგლებში სას თანამშრომლობს ეკონომიკური თანამშრომ-ლობისა და განვითარების ორგანიზაციის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციულ ქსელთან (OECD-ACN) და სახელმწიფოთა ჯგუფთან კორუფციის წინააღ-მდეგ (GRECO), რომელიც აფასებს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების კანონმდებლობასა და მათ ანტიკორუფციულ სტრატეგიას და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.

<sup>28</sup> სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის საკომიტეტისაციო საბჭო, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭო.

## სას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პუბლიკაციაში

OECD-ACN -ის კვლევა - „კორუფციის პრევენცია საჯარო სექტორში აღმოსავლეთ ევრო-პასა და ცენტრალურ აზიაში“



„კორუფციისთან ბრძოლის მიზნით უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მიერ გატარებული ღონისძიებიდან ერთ-ერთი უმთავრესია სამართლდამცავი ორგანოების ინფორმირება კორუფციის ნიშნების შემცველი შემთხვევების შესახებ.“

სახელმწიფო აუდიტის სამსახური გამოიჩინება მისი აქტიური თანამშრომლობით სამართალდამცავ ორგანოებთან. ერთობლივი გამოძიებებისა და კოორდინირებული აუდიტების შედეგად, 2011-2013 წლების განმავლობაში, დაახლოებით 13,8 მილიონი ლარი დაბრუნდა სახელმწიფო ბიუჯეტში“

კვლევაში აღნიშნულია, რომ კორუფციასთან ბრძოლის მიზნით უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის მიერ გატარებული ღონისძიებებიდან ერთ-ერთი უმთავრესია სამართლდამცავი ორგანოების ინფორმირება კორუფციის ნიშნების შემცველი შემთხვევების შესახებ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან OECD-ის მიერ სამაგალითოდაა აღიარებული აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში.

## სას-ის თანამშრომლობა კორუფციის ნინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საკონდინაციო საბჭოსთან

სას აგრეთვე ჩართულია კორუფციის ნინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საკონდინაციო საბჭოს საქმიანობაში. სას-ის სახელით ანტიკორუფციულ საბჭოს იანვარ-ივნისის პერიოდებში წარედგინა ანგარიში სამსახურის მიერ 2015 წლის ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის იანვარ-ივნისის შესრულების პროგრესის შესახებ. სას-ის მიერ საანგარიშო პრიორდში განსახორციელებელი 17 სამიზნე აქტივობიდან 13 ჩაითვალა სრულად შესრულებულად, ნაწილობრივად - 3, ხოლო 1 - შეუსრულებლად.

მნიშვნელოვანია სას-ის ჩართულობა ანტიკორუფციულ საბჭოში შექმნილ კიდევ ერთ სამუშაო ჯგუფში, რომელიც განიხილავდა საქართველოში არსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების სისტემის მონიტორინგის სისტემის საკითხს. ჯგუფის ფარგლებში შემუშავ-

# 3

და აღნიშნული მონიტორინგის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები, რომლებიც ამოქმედდება 2017 წლიდან.

## 3.2 სახელმწიფო ფინანსების პოლიტიკის რეალობის ფარგლები ევროპავილის პროგრამის პირობების შესრულება

საქართველოში სახელმწიფო ფინანსების სექტორში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერა ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ევროკავშირმა სახელმწიფო ფინანსების სისტემის რეფორმის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს 2014-2017 წლებისთვის გამოუყო 19 მილიონი ევროს ოდენობის ბიუჯეტის მხარდაჭერი გრანტი. ყოველი ტრანზის გადმორიცხვა დამოკიდებულია ხელისუფლების მიერ წინასწარ შეთანხმებული წინაპირობების დაკმაყოფილებაზე ისეთ სფეროებში, როგორებიცაა, ბიუჯეტის შედეგენა, ფინანსური აღრიცხვა, გაუმჯობესებული შიდა და გარე აუდიტის მექანიზმები და საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება.

2015 წელს განსაზღვრული 5.2 მილიონი ევროს ოდენობის მეორე ტრანზიდან **1.5მილიონი ევრო<sup>29</sup>** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმატებით შესრულებული წინაპირობების შედეგად გადმოირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესრულებული პირობებიდან აღსანიშნავია პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც წარედგინა საქართველოს პარლამენტსა და ევროკავშირის დელეგაციას. პოლიტიკის დოკუმენტში განალიზებულია სას-ის საკანონმდებლო მანდატი უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ დამოუკიდებლობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებთან შესაბამისობის კუთხით და მომზადებულია შესაბამისი რეკომენდაციები კანონმდებლობის დახვეწის მიმართულებით, კერძოდ:

### სას-ის დამოუკიდებლობის კონსტიტუციურ - სამართლებრივი გარანტიების განსამტკიცებლად:

- სამსახურს მიენიჭოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა;
- სას-ის მანდატისა და დამოუკიდებლობის გარანტიების განმსაზღვრელ საკანონმდებლო აქტს, მიენიჭოს ორგანული კანონის სტატუსი.

### სას-ის უფლებამოსილების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად:

- სამსახური განთავისუფლდეს პოლიტიკური დაფინანსების რეგულირების ვალდებულებისგან;

<sup>29</sup> სულ გათვალისწინებულია 3 ტრანზი

- დაიხვეწოს სამსახურის უფლებამოსილების განმსაზღვრელი საკანომდებლო რეგულაციები შემოსავლების აუდიტთან დაკავშირებით. აუცილებელია, რომ სას-ს სრული დაშვება პქონდეს საგადასახადო და საბაჟო დოკუმენტაციასთან, ინდივიდუალური საგადასახადო საქმეების შესწავლის ჩათვლით.

### 3.3 სას-ის როლი საჯარო სექტორში შიდა კონტროლის ინსტანციის განვითარებისთვის

აღსანიშნავია სას-ის წვლილი საჯარო სექტორში შიდა კონტროლის ინსტემის განვითარებისთვის, საკანომდებლო ბაზის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის დანერგვის ღონისძიებათა ეფექტიანობის აუდიტის<sup>30</sup> შედეგად, სას-ის მიერ გაცემულმა რეკომენდაციებმა საფუძველი ჩაუყარა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონში საქართველოს მთავრობის მიერ ცვლილებების ინიცირებას. სას აქტიურად თანამშრომლობდა ფინანსთა სამინისტროსთან კანონპროექტის მომზადების პროცესში და დამატებით წარუდგინა საქართველოს პარლამენტს დასკვნა ინიცირებულ კანონპროექტზე.

სას ასევე აქტიურად ჩაერთო „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონის საპარლამენტო განხილვაში: მონაწილეობა მიიღო საკომიტეტო მოსმენაში და დამატებით წარადგინა წერილობითი დასკვნა აღნიშნულ კანონპროექტზე.

### 3.4 სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, უკვე მეხუთე წელია საჯარო სექტორს პროფესიულ-საგანმანათლებლო, საექსპერტო-ანალიტიკურ და აუდიტორულ მომსახურებას უწევს. საჯარო ინსტიტუტის უმთავრესი მისია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყოს საჯარო ფინანსების მართვასა და საჯარო სექტორის აუდიტის ინსტემის განვითარებას საქართველოში.

#### სსიპ-ის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები:

1. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი
2. ასიგნებების გადატანის უფლებამოსილება შემდგომი ფისკალური წლისათვის
3. ფისკალური შეზღუდვები
4. სახელმწიფო საშინაო ვალის ფინანსური ინსტრუმენტები

#### უკეთესი პრაქტიკის სახელმძღვანელო:

1. შედეგებზე ორიგინტირებული ბიუჯეტირება

საჯარო აუდიტის ინსტიტუტი ყოველწლიურად ახორციელებს საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირებას, უზრუნველყოფს ტრენინგების მომზადებასა და გადამზადებას, რითაც ხელს უწყობს ამ სფეროში მომუშავე აუდიტორთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

<sup>30</sup> აუდიტის ანგარიშის სრული ვერსია იხ. შედეგ ბმულზე: <http://sao.ge/files/auditi/efeqtianobis-angarishi/shida-kontroli.pdf>

# 3

## 0ქსავრთ – ანალიტიკური საქმიანობა

2015 წელს, სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა მოიპოვა **პრეზიდენტის გრანტი**, რომლის მეშვეობით გაანხორციელდა პროექტი - „**საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობა**“. პროექტის ფარგლებში მომზადდა **ელექტრონული კურსები** ფინანსური და ეფექტური აუდიტების შესახებ და შეიქმნა **ელექტრონული ბიბლიოთეკა**, რომელზეც განთავსებულია 1000-ზე მეტი ელექტრონული წიგნი<sup>31</sup>. გარდა ამისა, საჯარო სექტორის აუდიტორები პროფესიული განვითარების მიზნით სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ შვედეთისა და ლატვიის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებში საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად.

### სსიპ-მა 2015 წელს:

- 2-ჯერ ჩაატარა სერტიფიცირების კურსი, რომელშიც მონაბილეობა მიიღო 68 კანდიდატმა, ხოლო საჯარო აუდიტორის სერტიფიკატი მოიპოვა 44-შა პირმა
- 261 ადმისანი გადამზღდდა შემდეგი მიმართულებების მიხედვით:
  - ეფექტური აუდიტი
  - ქონების მართვა
  - სახელმწიფო შესყიდვები
  - საგადასახადო აუდიტის ჩატარების წესი
  - ადგილობრივი თვეოთმმართველი ერთეულების საბიუჯეტო პროცესის პრაქტიკა
- საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების მიმართულებით განახორციელა 8 პროექტი
- საექსპერტო - საკონსულტაციო მიმართულებით - 1 პროექტი.

<sup>31</sup> საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ვებგვერდზე განთავსებულია როგორც ელექტრონული ბიბლიოთეკა, ასევე ელექტრონული კურსებიც [www.sai.ge](http://www.sai.ge)

# 4

## პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამართვისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა

პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობას. პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახური კანონით განსაზღვრული მიზნებისა და მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიების ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებას, სისტემატიზაციას, ანალიზა და შემოწმებას. მონიტორინგი წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც მიმართულია, ხელი შეუწყოს პოლიტიკური დაფინანსების სფეროში კორუფციის რისკის მინიმუმამდე დაყვანას. სამსახური, ასევე უზრუნველყოფს პარტიების დაფინანსების პროცესის გამჭვირვალობას.

### პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება

სამსახურის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა (IFES) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით გაიმართა კონსულტაციები, რომლებიც ეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა, არჩევნებთან დაკავშირებული კანონმდებლობის, რეგულაციებისა და პრაქტიკის სრულყოფა და საარჩევნო კანონმდებლობის საერთაშორისო რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანა. შემუშავდა რეკომენდაციები საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების მიზნით, კერძოდ:

- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ გაცემული სახსრების მონიტორინგის შესახებ რეგულაციების მოწევა;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილების ყველა საარჩევნო სუბიექტზე გავრცელება და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის რამდენიმე მუხლში პარტიების შესახებ არსებულ ჩანაწერებში საარჩევნო სუბიექტის დამატება;
- განცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირის დეკლარირების ვალდებულებაზე ორაზროვანი ჩანაწერების დაზუსტება;
- პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრა;
- პოლიტიკური პარტიების დეკლარირების შესახებ გარკვეული საკითხების გამარტივება და ინფორმაციის გამჭველების კონკრეტული ვადების დადგენა;

# 4

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამარჯვებულებისა და  
ანგარიშვალდებულების ხალხურობა

- საქართველოს საარჩევნო კოდექსისა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი სანქციის დაზუსტება და ერთიან სისტემაში მოყვანა.

2015 წლის ივნისში IFES-ის ორგანიზებით დაიწყო 3 - თვიანი პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოწვეულ იქნა საერთაშორისო ექსპერტი. პროექტის განხორციელების შედეგად, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიქმნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ხარისხის მართვის სისტემა და მომზადდა ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამოქმედო ინსტრუქციები. აღნიშნული სისტემის ფარგლებში:

- დამუშავდა სამსახურის მიერ განსახორციელებელი თითოეული ქმედების შესაბამისი პროცედურების დოკუმენტაცია.
- პროცედურებთან ერთად მომზადდა საქმიანობის თითოეულ ეტაპზე მოსამზადებელი წერილისა თუ სხვადასხვა დოკუმენტაციის შაბლონები.

## საერთაშორისო შეფასებები

2015 წლის ივლისში გამოქვეყნდა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების Global Integrity da Sunlight Foundation-ის მიერ პოლიტიკური ფინანსების საკითხის მოწესრიგების კუთხით (Money, Politics and Transparency) შედგენილი რეიტინგი, რომელშიც **საქართველომ ყველაზე მაღალი ქულა დაიმსახურა, შედეგად - მსოფლიოს მასშტაბით პირველ ადგილზე გავიდა.**

# 5

## 06ს ტიტული განვითარება

### ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საზოგადოებასა და დაინტერესებულ მხარეებთან გამჭვირვალე და ლია მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა. გასულ წელს სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს პარლამენტთან, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მედიასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

### თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიზანია საქართველოს პარლამენტთან აუდიტორული საქმიანობის შედეგებისა და გაცემული რეკომენდაციების შესახებ სისტემატური და დროული კომუნიკაცია. აღსანიშნავია, რომ საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტი, სხვა საპარლამენტო კომიტეტებთან ერთად, სისტემატიურად განიხილავს სახელწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებს. საკანონმდებლო, აღმასრულებელ ხელისუფლებებსა და სას-ის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით **2015 წელს GIZ-ის დახმარებით საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ფარგლებში შეიქმნა აუდიტის ანგარიშების განმხილველი სამუშაო ჯგუფი.** ურთიერთთანამშრომლობის აღნიშნული ფორმა დეპუტატებს საშუალებას მისცემთ, სილრმისეულად გაეცნონ ზოგადად საჯარო მმართველობაში და კერძოდ, ცალკეულ უწყებებში არსებულ რისკებსა და ტენდენციებს. გარდა პარლამენტარებისა, ჯგუფის განხილვაში მონაწილეობას იღებენ აუდიტის ობიექტების წარმომადგენლები, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა, დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება აუდიტების ანგარიშთან დაკავშირებით.

#### სამუშაო ჯგუფის მთავარი მიზნებია<sup>32</sup>:

- სას-ის აუდიტის ანგარიშების ყოველთვიური განხილვა.
- სამუშაო ჯგუფის პრიორიტეტული აუდიტის ანგარიშების მოსმენა და მსჯელობა, და საბიუჯეტო კომიტეტის გადაწყვეტილების პროექტის მომზადება.
- ანგარიშებთან დაკავშირებით სათანადო რეაგირების უზრუნველყოფა.

ასევე, გასულ წელს სას-სა და პარლამენტს შორის გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა, რომელთაგან აღსანიშნავია:

- სას-ისა და პარლამენტის აქტიური თანამშრომლობა გერმანიის ბუნდესტაგთან და გერმანიის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციასთან. აუდიტის ანგარიშებზე დაყრდნობით, საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების კუთხით, გერმანიის მოდელი ერთ-ერთი საუკეთესოა. აღნიშნული პრაქტიკის გაცნობის მიზნით, GIZ-ისა და

<sup>32</sup> სას-ის აუდიტის ანგარიშების განმხილველი სამუშაო ჯგუფის დებულება იხილეთ შემდეგ ბმულზე: <http://www.parliament.ge/uploads/other/30/30558.pdf>

# 5

TWINNING-ის ორგანიზებით, პარლამენტის წევრები და სას-ის თანამშრომლები ეწვივ-ნენ ბუნდესტაგსა და გერმანიის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციას;

- ევროკომისიისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ ორგანიზებული კონფერენცია - „საპარლამენტო და გარე საფინანსო ზედამ-ხედველობა საქართველოში“. კონფერენციაზე განხილული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო კონტროლის გაძლიერება და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საკონსტიტუციო გარანტიები.

პარლამენტსა და აუდიტის სამსახურს შორის გაღრმავებული ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში 2015 წელს ასევე განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- საქართველოს პარლამენტში გაიგზავნა **166 აუდიტის ანგარიში** და შესაბამისი მასალები;
- საქართველოს პარლამენტს მიეწოდა ბიუჯეტის შესრულებასთან/ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებული მოხსენებები/დასკვნები. აღნიშნული ანგარიშებით **გამოვლენილ 65 სისტემური დონის ხარვეზზე გაცემულ იქნა 44 რეკომენდაცია**;
- აუდიტის ანგარიშების განმხილველ სამუშაო ჯგუფს განსახილველად გაეგზავნა **12 აუდიტის ანგარიში**;
- 2015 წელს პარლამენტში განხორციელდა **7 აუდიტის ანგარიშის შედეგების საკომიტეტო განხილვა**.

სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროცესში, პარლამენტის როლისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით, სამსახურმა საპილოტო რეზიდენტი დანერგა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შიდა პოლიტიკა და მონიტორინგის ელექტრონული სისტემა. ელექტრონული სისტემის მეშვეობით, აღნიშნულ პროცესში საქართველოს პარლამენტის აქტიური ჩართვა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს გაცემულ რეკომენდაციებზე აუდიტის ობიექტების მხრიდან რეაგირების მაჩვენებლის ზრდას.

## თანამშრომლობა საზოგადოებასთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან

სახელმწიფის აუდიტის სამსახური საერთაშორისო სტანდარტებისა და უკეთესი პრაქტიკის მიხედვით წარმართავს თავის საქმიანობას, რაც ტრადიციულად გულისხმობს აუდიტის შედეგების საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორისთვის გაზიარებას. საზოგადოების-თვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიისთვის სას-ის საქმიანობის უფრო გამჭვირვალე და თანამონაწილეობითი პრინციპებით წარმართვის მიზნით, გასულ წელს საფუძველი ჩაეყარა არაერთ მნიშვნელოვან პროცესს.

2015 წელს:

- მომზადდა 8 მედიარეპორტაჟი ეფექტიანობის აუდიტების შედეგად გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით. ასევე, მომზადდა 1 სტატია.
- გაიმართა მედიასემინარი - „კარგი მმართველობის ხელშეწყობა: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის როლი“, რომელიც მიზნად ისახავდა საჯარო ფინანსების თემატიკაზე მომუშავე მედიის წარმომადგენლებისათვის აუდიტის სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით სამსახურის საქმიანობისა და შედეგების შესახებ ინფორმირების გაუმჯობესებას. სემინარში მონაწილეობა მიიღო ბეჭდური, ტელე, რადიო და ინტერნეტ მედიის 20-მდე წარმომადგენელმა.
- ტრადიციულად, ჩატარდა 2 შეხვედრა აქარაში მოქმედ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრებისას საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.
- გაიმართა 3 საკონსულტაციო შეხვედრა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანი იყო:
  - სხვადასხვა ინსტრუმენტის მეშვეობით მოქალაქეების, არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდა სას-ის საქმიანობაში.
  - სას-ის მიერ მომზადებული, საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტების განხილვა.
- საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციის მიზნით მომზადდა აუდიტის ანგარიშების მოკლე ვიდეო პრეზენტაციები. ვებგვერდზე ამჟამად განთავსებულია 100-მდე ვიდეო პრეზენტაცია<sup>33</sup>.

### აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა

საჯარო ფინანსების მართვის სფეროში სამოქალაქო თანამონაწილეობის გაუმჯობესებისათვის, სამსახური სხვადასხვა ინოვაციური მეთოდისა და ინსტრუმენტისმიზანობის მეშვეობით გეგმავს მოქალაქეების, არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდას სამსახურის საქმიანობაში. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, კერძოდ, „უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების ღირებულებები და სარგებლის“ (ISSAI 12) პრინციპების შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასულ წელს გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საჯარო ფინანსების მართვის ზედამხვედველობაში სამოქალაქო ჩართულობის ინიცირებისთვის.


სახელმწიფო აუდიტის სამსახური სახელმწიფო ანგარიშვალდებულების სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. სას-ის, როგორც მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო ზე-დამხედველობის ხელშემწყობი ინტერნეტის, ყველა პროდუქტის საბოლოო მომხმარებელი მოქალაქეა.

<sup>33</sup> ვიდეო მიმართვები იხ. შემდეგ ბმულზე: <https://www.youtube.com/user/saogeorgia>

# 5

## ინსტიტუციური განვითარება

დიაგრამა: სას, როგორც სახელმწიფო ანგარიშვალდებულების სისტემის კომპონენტი



საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიის, „ლია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ფარგლებში აღებული ვალდებულებების წარმატებით შესასრულებლად და უკეთესი მმართველობის ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით გასულ წელს დაიწყო პროექტი „აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა“. პროექტის მთავარი მიზნებია:



პროექტი ითვალისწინებს თანამშრომლობას არასამთავრობო და სამოქალაქო სექტორთან, პარლამენტისა და მოქალაქეების ჩართულობის ვებპლატფორმის მომზადებასა და ურთიერთობის გალრმავებას სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, სტუდენტებთან, მედიასა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან.

### დიალოგი სამოქალაქო სექტორთან

2015 წელს საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებასთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის ახალ ფორმატს, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების ჩართულობას სას-ის საქმიანობაში და ასევე, განსაზღვრავს არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციების როლს ამ პროცესში. ამ მიმართულებით გასულ წელს გენერალური აუდიტორის ინიცია-

ტივით შეიქმნა საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერების საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფი.

საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებულია არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებით. ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში შესაძლებელი გახდა:

- საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება.
- უკუკავშირი დაინტერესებული პირებისგან.
- შენიშვნებისა და მოსაზრებების განხილვა და მათი გათვალისწინება შემოთავაზებული საკითხების არსებითობიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შენარჩუნებასთან ერთად.

### თანამედროვე ტექნოლოგიები მოქალაქეთა ჩართულობის გასაუმჯობესებლად

პარლამენტის, მოქალაქეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მიზნით, სას გეგმავს ინტერაქციული და ანალიტიკური ინსტრუმენტის - პარლამენტისა და მოქალაქეების ჩართულობის ვებპლატფორმის მომზადებას. პლატფორმა საშუალებას მისცემს მოქალაქეებს, მარტივი ფორმით მიიღონ შეჯამებული ინფორმაცია საჯარო მმართველობის შესახებ და ასევე მოქალაქეებმა - მარტივად მიაწოდონ სამსახურს ინფორმაცია საჯარო ფინანსების მართვაში არსებული ხარვეზების შესახებ. პლატფორმა ხელს შეუწყობს სამოქალაქო განათლებას, გაზრდის საზოგადოების ინტერესს და შესაბამისად, ჩართულობას - აუდიტის დაგეგმვის, მიმდინარეობისა და სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესში.

ასევე, აღსანიშნავია, რომ აუდიტორულ საქმიანობაში მოქალაქეების ჩართულობის კუთხით, გასულ წელს გაიმართა არა ერთი სამუშაო შეხვედრა, ტრენინგი, პრეზენტაცია და კონფერენცია, რომელთა მიზანი იყო, როგორც აუდიტების თემების შერჩევა, ასევე - აუდიტების შედეგად გამოვლენილი დარღვევების სამოქალაქო სექტორისთვის გაცნობა.

### ჯილდო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროაქტიული უზრუნველყოფისთვის



2015 წელს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2 ნომინაციაში დააჯილდოვა, კერძოდ, სას 2015 წელს საჯარო ინფორმაციის გაზიარებისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროაქტიული უზრუნველყოფისთვის დაჯილდოვდა.


# 5

## 5.1 საერთაშორისო თანამშრომლობა

საჯარო სექტორის აუდიტის ხარისხის გაძლიერების, ამ მიმართულებით ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისა და ინსტიტუციური განვითარების მიზნით, სამსახური აგრძელებს თანამშრომლობას პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებთან.

სას არის უმაღლესი აუდიტორული უწყებების საერთაშორისო ორგანიზაციისა (INTOSAI) და მისი რეგიონული გაერთიანებების (EUROSAI, ASOSAI) წევრი. INTOSAI, EUROSAI და ASOSAI წარმოადგენ ავტონომიურ, დამოუკიდებელ და აპოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ საჯარო აუდიტის მიმართულებით დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონულ დონეზე.

**გრაფიკი:** სახელმწიფო აუდიტის სამსახური, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი



აღსანიშნავია, რომ პროფესიული ცოდნის გამოცდილების გაზიარებისთვის გასულ წელს სას-ის 18-მა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო INTOSAI-სა და EUROSAI-ს მიერ ორგანიზებულ 9 სამუშაო შესვედრასა და ტრენინგში.

გარდა ზემოხსენებული საერთაშორისო ორგანიზაციებისა, სას აქტიურად თანამშრომლობს დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებთან.

### თანამშრომლობა დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებთან

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიულ პარტნიორებს წარმოადგენენ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისი (SNAO), რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამსახურის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბების პროცესში.

სას აქტიურად თანამშრომლობს დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომლებიც ინტენსიური მხარდაჭერის ფარგლებში ახორციელებენ ინსტიტუციური განვითარების პროგრამებსა და პროექტებს.

**გრაფიკი:** დონორი ორგანიზაციები და დახმარების მიმართულებები



### საჯარო სამსახურების დამობილების პროგრამა (TWINNING)

2014 წელს გერმანიის, პოლონეთისა და საქართველოს უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებს შორის დაიწყო საჯარო სამსახურების დამობილების (TWINNING) პროექტი. პროექტი წარმოადგენს ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობის ინსტრუმენტს, რომლის მიზანია, ევროკავშირის გაფართოებისთვის მომზადების კონტექსტში, ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებთან თანამშრომლობა, ორგანიზაციული გაძლიერება და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.

TWINNING-ის პროექტი შედგება 3 კომპონენტისგან:

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კორპორაციული და რესურსების მართვის გაძლიერება.
2. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტისა და ანგარიშების გაუმჯობესება.
3. აუდიტორების პროფესიული განვითარება და მათი შეფასება.

პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში სას-ში რეგულარულად იმართება პროექტის ექსპერტებთან სამუშაო შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავს საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებას. 2015 წელს, სულ ჩატარდა 29 მისია, რომელმაც მოიცვა 18 ღონისძიება სხვადასხვა მიმართულებით.

# 5


## 5.2 ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება

### ადამიანური რესურსების მართვა (HR)


სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საჯარო სექტორში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აუდიტის ჩატარება. აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად სამსახურისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა მაღალგალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი განვითარების ხელშეწყობა.

2015 წლისათვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დასაქმებული იყო 336 თანამშრომელი (შტატგარეშე დასაქმებულების გარდა). ორგანიზაციის თანამშრომელთა 76%-ს შეადგენს პროფესიული შტატი, როგორებიც არიან აუდიტორები, ექსპერტები და ანალიტიკოსები, ხოლო 28%-ს შეადგენს დამხმარე პერსონალი.


გენდერული განაწილება



პროფესიული და დამხმარე შტატის თანაფარდობა



ასაკობრივი განაწილება



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მნიშვნელოვან აქტივს წარმოადგენს პროფესიონალ თანამშრომელთა გამოცდილი გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს უწყვეტ და ნაყოფიერ აუდიტორულ საქმიანობას. გარდა გამოცდილი თანამშრომლების შენარჩუნებისა, სამსახური ასევე ზრუნავს მაღალგალიფიციური კადრების მოზიდვაზე.

აღსანიშნავია, რომ TWINNING-ის პროექტის ფარგლებში ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესების მიზნით, 2015 წელს პროექტის ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე:


- შეიქმნა ადამიანური რესურსების მართვის ახალი სტრატეგია.
- შემუშავდა სამუშაო აღნერილობები.
- თანამშრომლების პროფესიული განვითარების გეგმის შესამუშავებლად ჩატარდა გამოკითხვა და განისაზღვრა თუ რა საჭიროებები გააჩნია სამსახურს თანამშრომლების პროფესიული თუ პიროვნული უნარების განვითარების მიმართულებით და რა სახის ტრენინგები ესაჭიროებათ თანამშრომლებს.
- შემუშავდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სამუშაოს შეფასების სახელმძღვანელო, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურისთვის შეფასების პროცედურის სახელმძღვანელო და შეფასების ფორმა.

- ახალი თანამშრომლებისთვის შემუშავდა გაცნობითი ხასიათის ონლაინ ტრენინგი;
- თანამშრომლების პროფესიული განვითარების მიზნით დაიგეგმა 3 ტრენინგი.

### კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული განვითარება

პროფესიულ შტატში დასაქმებულ თანამშრომელთა 100%-ს აქვს უმაღლესი განათლება, მათ შორის, მაგისტრი არის 54%, ხოლო დოქტორი - 5 %. ამასთანავე, სამსახურის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული პროფესიული განვითარებისა და სხვადასხვა სასერტიფიკატო პროგრამაში. სას-ის თანამშრომლები ფლობენ სერტიფიკატებს სხვადასხვა მიმართულების მიხედვით (ACCA, ISSAI საერთაშორისო სერტიფიკატები). სას-ის თანამშრომელთა ნახევარზე მეტს მოპოვებული აქვს სერტიფიკატი აუდიტის, საბიუჯეტო პროცესის, საინფორმაციო სისტემების მართვისა და სხვა პროფესიულ სფეროებში.

**სერტიფიკატები სფეროების მიხედვით**




ტექნიკური უნარების განვითარების გარდა, სას ასევე ზრუნავს თანამშრომელთა ანალიტიკური და მართვის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. ამ მხრივ, გასულ წელს სას-ის თანამშრომლებისთვის გაიმართა:

- მართვისა და ლიდერობის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისთვის 3 სემინარი.
- პროექტების მართვის ტრენინგები, როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავებისთვის, ასევე, პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის. ტრენინგების ფარგლებში თანამშრომლები გაეცნენ პროექტების მართვის გავრცელებულ მეთოდოლოგიებსა და ტექნიკებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2015 წელს სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ 37ტრენინგ/სემინარში, 36 სამუშაო შეხვედრასა და 15 კონფერენციაში, რომლებიც ეხებოდა აუდიტის, ინფორმაციული ტექნილოგიების აუდიტის, ორგანიზაციული განვითარების, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და სხვა საკითხებს.

# 5

## გადამზადებული თანამშრომლების მიმართულებების მიხედვით



## თანამშრომელთა გამოკითხვა

სას ყოველწლიურად ატარებს თანამშრომელთა აზრის კვლევას შიდაორგანიზაციული პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

კითხვარის მეშვეობით თანამშრომლებმა შეაფასეს შემდეგი საკითხები:

- ყოველდღიური საქმიანობის პროცესი
- კარიერული წინსვლის პერსპექტივები
- მენეჯმენტი და ადამიანური რესურსების მართვა
- კომუნიკაციის არსებული მეთოდები და საშუალებები.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გამოკითხულ თანამშრომელთა **94%** კმაყოფილია სას-ში მუშაობით. გამოკითხულთა უმრავლესობა საჭიროდ მიიჩნევს მუდმივ პროფესიულ ზრდას და სხვადასხვა ტრენინგება და სასერტიფიკაციო კურსში მონაწილეობის მიღებას. შეფასებისა და ანაზღაურების არსებული სისტემა თანამშრომლების უმრავლესობისთვის დამაკმაყოფილებელია.


## მართვის სისტემები

სას ინოვაციური და თანამედროვე აუდიტორული მიდგომებისა თუ ტექნიკების პრაქტიკაში დანერგვით, ხელს უწყობს ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერებას.

2015 წელს საფუძველი ჩაეყარა მნიშვნელოვან ინოვაციურ პროექტებს, რომელთა მიზანია არსებული რესურსებით აუდიტორული და არააუდიტორული საქმიანობის ეფექტუანობის გაზრდა. ეს პროექტებია:

## აუდიტის მართვის სისტემა (AMS)

სას-ისთვის, როგორც საჯარო ფინანსების მართვაზე საპარლამენტო მონიტორინგის ხელშემწყობი ორგანიზაციისათვის, პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: შეზღუდული ფინანსური, დროითი და ადამიანური რესურსების პირობებში აუდიტის დაფარვის გაზრდა, საჯარო ფინანსების ადმინისტრირების შესახებ დროული და ზუსტი ანგარიშება. სწორედ აღნიშნული გამოწვევების ანალიზის შედეგად და არსებული ბიზნესპროცესის სრულყოფისათვის, სას-მა დაიწყო აუდიტის მართვის ელექტრონული სისტემის (AMS) დანერგვა. აღნიშნული მიმართულებით არსებული ბაზრის ანალიზისა და წამყვან უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებთან კონსულტაციების შედეგად, **ნორვეგიის სამეფოსაგან მიღებული გრანტის ფარგლებში**, მოხდა სას-ისათვის ოპტიმალური აუდიტის მართვის ელექტრონული სისტემის შესყიდვა (MK Insight).



აუდიტის მართვის სისტემა არის ცენტრალიზებული ელექტრონული სისტემა, რომლის მიზანია, აუდიტის პროცესის გამარტივება, დაჩრქება და ხარისხის გაუმჯობესება. სისტემის გამოყენებით ხდება აუდიტის ერთიანი პროცესის დაგეგმვა და მართვა, როგორც ინსტიტუციური, ასევე ინდივიდუალური აუდიტების დონეზე. სისტემას საფუძვლად უდევს გაერთიანებული სამეფოს, შევძეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებში დანერგილი აუდიტის მართვის ელექტრონული სისტემის კონცეფციები, რაც საშუალებას მისცემს სას-ს საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით განახორციელოს აუდიტის სრული პროცესი.

AMS-ის დანერგვის შედეგად, სას შეძლებს პროგრამაში გენერირებული სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე გაუმჯობესოს აუდიტორული საქმიანობის წლიური დაგეგმვის პროცესი, თითოეული აუდიტის დაგეგმვის სპეციალური მოდულის საშუალებით ეფექტუად გაანაბილოს ადამიანური და დროითი რესურსები, აუდიტის დოკუმენტაციის ელექტრონულ ფორმატში შენახვით შეამციროს ფინანსური დანახარჯები და მუდმივად განახორციელოს ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ დროული და ზუსტი ანგარიშება.

## მონაცემთა ანალიზის აუდიტორული პროგრამა (CaseWare IDEA)

მსოფლიო ბანკის დახმარებით, 2015 წელს სას-მა შეისყიდა მონაცემთა ანალიზის აუდიტორული პროგრამა (CaseWare IDEA), რომელიც უზრუნველყოფს დიდი მონაცემთა ბაზების დამუშავებას ნაკლები დროითი და ადამიანური რესურსების გამოყენებით. აღნიშნული აუდიტორული პროგრამის გამოყენება აუდიტორულ საქმიანობაში საპილოტე რეჟიმში მიმდინარეობს. ამ მიმართულებით დაწყებულია თანამშრომელთა გადამზადება.

# 5

## შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესება

სას-ის შიდა და გარე კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, 2015 წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა კომუნიკაციის ჯგუფი, რომელიც არის ინფორმაციის გავრცელებისა და კომუნიკაციის მთავარი სტრატეგი თვალისწინების მიზნით.

კომუნიკაციის ჯგუფის მთავარი ფუნქციაა ეფექტური კომუნიკაციის პროცესის წამოწყება და კოორდინაცია, რაც მიზნად ისახავს პერსონალის საქმიანობის გაუმჯობესებას, უზრუნველყოფს ორგანიზაციის მისიას და ამოცანების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას და საზოგადოების ნდობის ამაღლებას სას-ის საქმიანობის მიმართ. აღნიშნულის განსახორციელებლად, კომუნიკაციის ჯგუფმა საერთაშორისო სტანდარტების, კერძოდ, ISSAI 12600-ის<sup>34</sup> შესაბამისად, შეიმუშავა კომუნიკაციის პოლიტიკა, კომუნიკაციის სტრატეგია და 2015 წლის სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის მთავარ მიმართულებებსა და მიზნებს. სას-ის დონორი ორგანიზაციები, კერძოდ, ლუი ბერგერი (Louis Berger), მსოფლიო პანკი და USAID, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ აღნიშნული დოკუმენტების სრულყოფასა და თეორიულად ჩამოყალიბებული მიზნების პრაქტიკულ განხორციელებაში.

პროაქტიული მიდგომების პრაქტიკაში დასაწერგად, 2015 წელს შიდა და გარე კომუნიკაციის გაუმჯობესებისთვის განხორციელდა რიგი აქტივობები, მათ შორის:

- ▶ სას-ის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართულები შვედეთის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ სემინარებში.
- ▶ დაინერგა სას-ის შიდა სამსახურებრივი პორტალი (intranet).
- ▶ დაინერგა შიდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.
- ▶ შემუშავდა სას-ის კორპორაციული, საიმიჯო პორტფოლიო (Brandbook).
- ▶ შეიქმნა ვიდეორგოლები, რომლებიც მოკლედ და გასაგებად აღნერს სას-ის თოთოეული დეპარტამენტის საქმიანობას.

### 5.3 ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაძლიერება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის პროექტების ხარისხის კონტროლის მექანიზმს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი წარმოადგენს. აღნიშნული დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი სფეროა სისტემის მიმოხილვა, ასევე, იმ პროცედურებისა და ორგანიზაციული პრაქტიკის დანერგვა, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება აუდიტის ანგარიშების შესაბამისობა ფაქტობრივ გარემოებებსა და პროფესიულ სტანდარტებთან.

<sup>34</sup> უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტები (ISSAI) 1260 - „კომუნიკაცია აუდიტის ობიექტთან“ [http://www.issai.org/media/13052/issai\\_1260\\_e\\_.pdf](http://www.issai.org/media/13052/issai_1260_e_.pdf)

ალსანიშნავია, რომ 2015 წელს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ შეფასდა 16 აუდიტის ანგარიშის ხარისხი, რაც ჩატარებული აუდიტების 12%-ს შეადგენს. შეფასებულ აუდიტებს შორის 5 - ფინანსური აუდიტია, 6 - შესაბამისობის და 5 - ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.

- ▶ უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს სამსახურის საქმიანობა მრავალი კუთხით გაუმჯობესდა. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ დადებითად ფასდება აუდიტის მართვის ელექტრონული სისტემის (AMS) და თ აუდიტის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, რაც დიდწილად გაზრდის სამსახურის პროდუქტიულობას და გააუმჯობესებს ხარისხის კონტროლის სისტემას. ასევე, არსებით წინსვლად მიიჩნევა სხვადასხვა დეპარტამენტების მიერ ეფექტიანობის აუდიტების განხორციელება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ორგანიზაციის ფარგლებში აღნიშნული სახის აუდიტის ჩატარების ცოდნისა და გამოცდილების ინსტიტუციონალიზაციას.
- ▶ დეპარტამენტის შეფასებით, შიდაორგანიზაციული განვითარებისათვის გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც გამოიხატება სტრატეგიული დაგეგმვისა და აუდიტების დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესებაში, ორგანიზაციის ფარგლებში განხორციელებულ მრავალ ტრენინგსა და სემინარში, შიდასამსახურებრივი პორტალის (ინტრანეტი) დანერგვაში, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს სამსახურის საქმიანობის გამჭვირვალობის ამაღლებას, თანამშრომელთა მიერ მეტ ინფორმირებულობასა და ჩართულობას მიმდინარე პროექტებში. გარდა აღნიშნული მიღწევებისა, დეპარტამენტმა მოახდინა იმ სფეროების იდენტიფიცირებაც, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებასა და დახვენას, კერძოდ:
- ▶ აუდიტის სტრატეგიული დაგეგმვა, აუდიტის მასშტაბის, შესასწავლი საკითხებისა და კრიტერიუმების მკაფიოდ განსაზღვრა.
- ▶ ფინანსური და შესაბამისობის აუდიტებისათვის სტანდარტიზებული აუდიტის ანგარიშის შაბლონის შემუშავება,
- ▶ ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, პრეზიდიუმის მიერ განხილული დავების ანალიზი, პრეცედენტების სისტემატიზაცია/კოდიფიკაცია და აუდიტორული ანგარიშების პრაქტიკული სახელმძღვანელოს მომზადება, სადაც პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე განხილული იქნება შესაბამისი საუკეთესო პრაქტიკა აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში.
- ▶ დეპარტამენტების დონეზე ხარისხის კონტროლის სისტემაზე პორიზონტალური ზე-დამშედველობის გაძლიერება. აუდიტის ხარისხის კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და ძლიერი მხარეების ასახვა აუდიტორთა პროფესიულ შეფასებაზე, რაც ხელს შეუწყობს მათ მოტივაციას,
- ▶ აუდიტის ხარისხის თვითშეფასების კითხვარის შექმნა და დანერგვა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სხვადასხვა ჯგუფების/დეპარტამენტების მიერ დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას,
- ▶ აუდიტის ხარისხის კონტროლის კომიტეტის ჩამოყალიბება, რომელიც შეაფასებს და მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით განმარტავს განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სირთულის მქონე აუდიტის ანგარიშებს.

# 5

## 5.4 სოციალური თანადგომა

### დახმარება სტიქიით დაზარალებულთათვის

2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო, აუდიტის სამსახურმა თანაგრძნობა გამოუცხადა დაზარალებულებს. სას-მა შეწყვიტა ყველა დაგეგმილი მივლინება, ასევე მნიშვნელოვნად შეამცირა ადმინისტრაციული ხარჯები და ბიუჯეტიდან 50 ათასი ლარი გადარიცხა დაზარალებულთა დასახმარებლად. ასევე, სამსახურის თანამშრომლები მოხალისებად ჩატარდა სტიქიის შედეგად დაზარებულთა დასახმარებლად მიმდინარე სამუშაოებში.

### საქველმოქმედო ღონისძიება - „ფრთები სიცოცხლისთვის“


სახელმწიფო აუდიტის სამსახური მსოფლიოში ყველაზე მასშტაბურ სპორტულ საქველმოქმედო ღონისძიებას - „ფრთები სიცოცხლისთვის - მსოფლიო რბენა“ (Wings for Life World Run) შეუერთდა. აქციაში, რომელშიც 5 კონტინენტის 40 სხვადასხვა ქვეყნიდან ასიათასობით ადამიანია ჩართული, აუდიტის სამსახურის თანამშრომლებიც გაერთიანდნენ.

საქველმოქმედო მარათონში მონაწილეობით სას-მა კიდევ ერთხელ გამოხატა მხარდაჭერა იმ ადამიანების მიმართ, ვისაც ყურადღება და თანადგომა განსაკუთრებულად სჭირდება.

## 5.5 ფინანსები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბიუჯეტი 2015 წელს განისაზღვრა **13,503** ათასი ლარის ოდენობით. ფაქტობრივად განეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა **13,384** ათასი ლარი. მთლიანი ბიუჯეტის 77%-ს შრომის ანაზღაურება წარმოადგენს.

### სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსები



## დანართი N1. – 2015 წელს ჩატარებული აუდიტები

N	აუდიტის დასახელება
1	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტი
2	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტი
3	სკოლების ხელმისაწვდომობის ქვეპროგრამის (საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა) 2012-2014 წლის შესაბამისობის აუდიტი
4	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტი
5	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტი
6	მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის 2010-2014 წლის შესაბამისობის აუდიტი
7	საქართველოს პარლამენტისა და მასთან არსებული ორგანიზაციების 2012-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
8	საქართველოს პარლამენტისა და მასთან არსებული ორგანიზაციების 2014 წლის ფინანსური აუდიტი
9	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
10	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის შესაბამისობის აუდიტი
11	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
12	ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის 2012-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
13	ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპიალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის 2012-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
14	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
15	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2012-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი

- 16 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2012 - 2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 17 ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფის (სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური) 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 18 სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 19 სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – საქსტატის 2012-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 20 სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს 2012-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 21 ფინანსთა სამინისტროს სსიპ - მომსახურების სააგენტოს 2012 წლის შესაბამისობის აუდიტი
- 22 ფინანსთა სამინისტროს სსიპ - მომსახურების სააგენტოს 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
- 23 მთავრობის კანცელარიის 2011-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 24 მთავრობის კანცელარიის 2013 - 2014 წლების ფინანსური აუდიტი
- 25 ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 01.01.13 - 01.07.15 (ბოლო 2.5 წლის პერიოდი) შესაბამისობის აუდიტი
- 26 ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის 01.01.13 - 01.07.15 (ბოლო 2.5 წლის პერიოდი) შესაბამისობის აუდიტი
- 27 შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 28 სსიპ - სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 29 სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 30 თავდაცვის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 31 თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის 2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 32 ქალაქ თბილისის სამმართველოს 2011-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 33 სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ნაერთი ფინანსური ანგარიშგების 2013-2014 წლების ფინანსური აუდიტი
- 34 გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტი

- 35 ენერგეტიკის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 36 ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 37 მუნიციპალური განვითარების ფონდის 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 38 გარემოს დაცვის სააგენტოს 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 39 შპს საქრუსენერგოს 2012-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 40 შპს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის 2012-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 41 შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ 2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 42 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 43 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 44 მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 45 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 46 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს აპარატის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 47 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 48 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 49 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 50 აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 51 რეგიონალური მართვის საკითხებში მინისტრის აპარატის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 52 ზემო აფხაზეთის საკითხებში მინისტრის აპარატის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 53 სამეცნიეროსა და ზემო აფხაზეთის საკითხებში მთავრობის წარმომადგენლობის 2012-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი

- 54 იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მთავრობის წარმომადგენლობის 2012-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 55 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდის 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 56 სსიპ სულიერებისა და კულტურის ცენტრის 2011-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 57 სამოქალაქო თანხმობისა და კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 58 აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 59 სსიპ - კ.გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის 2013-2014 წლების ფინანსური აუდიტი
- 60 სსიპ - აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელას 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 61 შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ 2012-2014 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
- 62 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 63 მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის 2014 წლის შესაბამისობის აუდიტი
- 64 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2014 წლის შესაბამისობის აუდიტი
- 65 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 66 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოს 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 67 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 2014 წლის შესაბამისობის აუდიტი
- 68 ბიზნეს ინტერესების დაცვისა და ექსპორტის ხელშეწყობის 2014 წლის შესაბამისობის აუდიტი
- 69 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 70 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტი

- 71 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 72 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 73 სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ 2014 წლის შესაბამისობის აუდიტი
- 74 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების 2014 წლის შესაბამისობის აუდიტი
- 75 საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის 2014 წლის შესაბამისობის აუდიტი
- 76 ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 77 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 78 ქედის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 79 შუახევის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 80 ხულოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური აუდიტი
- 81 შპს „ქ. ბათუმის სასწარაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ 2013 წლის შესაბამისობის აუდიტი
- 82 შპს „ქ. ბათუმის სასწარაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ 2014 წლის შესაბამისობის აუდიტი
- 83 შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბრკულოზის რეგიონალური ცენტრის - ინფექციური საავადმყოფოს“ 2013 წლის შესაბამისობის აუდიტი
- 84 შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბრკულოზის რეგიონალური ცენტრის - ინფექციური საავადმყოფოს“ 2014 წლის შესაბამისობის აუდიტი
- 85 შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ 2013 წლის შესაბამისობის აუდიტი
- 86 შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ 2014 წლის შესაბამისობის აუდიტი
- 87 „ბათუმის გამწვანების ღონისძიებების“ 2013 წლის შესაბამისობის აუდიტი
- 88 „ბათუმის გამწვანების ღონისძიებების“ 2014 წლის შესაბამისობის აუდიტი
- 89 შპს „ბათუმის წყლის“ 2014 წლის შესაბამისობის აუდიტი
- 90 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 6 თვის ფინანსური აუდიტი

- 91 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2015 წლის 6 თვის ფინანსური აუდიტი
- 92 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2015 წლის 6 თვის ფინანსური აუდიტი
- 93 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2015 წლის 6 თვის ფინანსური აუდიტი
- 94 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 6 თვის ფინანსური აუდიტი
- 95 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015 წლის 6 თვის ფინანსური აუდიტი
- 96 ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება 2014 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
- 97 ასპინძის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური აუდიტი
- 98 ახალგორის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური აუდიტი
- 99 გურჯაანის მუნიციპალიტეტი 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 100 ვანის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური აუდიტი
- 101 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 102 საჩხერის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 103 ყაზბეგის მუნიციპალიტეტი 2014-2015 წლების ფინანსური აუდიტი
- 104 წალკის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 105 ქ. რუსთავის მერიის 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 106 ქ. რუსთავის მერიის 2015 წლის 6 თვის შესაბამისობის აუდიტი
- 107 ქურთის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური აუდიტი
- 108 ერედვის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური აუდიტი
- 109 თიღვის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური აუდიტი
- 110 ქ. თბილისის საკრებულო 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი
- 111 ხარაგაულის მუნიციპალიტეტი 01.01.13 - 01.07.15 (ბოლო 2.5 წლის პერიოდი) შესაბამისობის აუდიტი
- 112 ქალაქ თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა (ბოლო 2.5 წლის პერიოდი) შესაბამისობის აუდიტი
- 113 ქალაქ თბილისის გლდანის რაიონის გამგეობა (ბოლო 2.5 წლის პერიოდი) შესაბამისობის აუდიტი

- 114 ხე-ტყის მართვის ეფექტიანობის აუდიტი
- 115 რეგიონებში დაავადებათა დროული გამოვლენა (სოფლის ექიმი) ეფექტიანობის აუდიტი
- 116 უმაღლესი განათლება: ხარისხის განვითარების ცენტრის ეფექტიანობის აუდიტი
- 117 საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გადასესხებული სესხების მართვის 2010-2014 წლების ეფექტიანობის აუდიტი
- 118 სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა
- 119 „მოსახლეობის საყოველო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა - გეგმიური ამბულატორიული მომსახურეობის კომპონენტის“ ეფექტიანობის აუდიტი
- 120 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მხრიდან გაღებული სახსრებით მიღწეული შედეგები ბენეფიციარების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ეფექტიანობის აუდიტი
- 121 კაპიტალური საინვესტიციო პროექტების 2012-2014 წლების ეფექტიანობის აუდიტი\*
- 122 სსიპ სახელმწიფო შესწყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების 2012-2013 წლების ეფექტიანობის აუდიტი\*

**დანართი N2. - სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნილი მასალები**

N	აუდიტის დასახელება	თარიღი
1	შ.პ.ს. „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ და შ.პ.ს. „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანის პრევენციის ცენტრის“ მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგ- რამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესაბამი- სობის აუდიტი	30.01.2015
2	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2013 წლის ფინან- სური და 2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტიდან უკრაი- ნაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიწის ნაკვეთებთან და მშენებლობასთან დაკავშირებული მასალა	02.02.2015
3	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების საფინანსო- ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	02.02.2015
4	გორის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების საფინანსო ეკო- ნომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	02.02.2015
5	თიანეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების საფინანსო-ე- კონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	02.02.2015
6	ბალდათის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების საფინანსო ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	02.02.2015
7	ონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების საფინანსო-ეკონო- მიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	02.02.2015
8	ხობის მუნიციპალიტეტის 2012-2014 წლების საფინანსო-სა- მეურნეო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	02.02.2015
9	ადიგენის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ან- გარიშების ფინანსური აუდიტის ანგარიში	02.02.2015
10	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტე- ბის შესრულების შესაბამისობის აუდიტი	02.02.2015
11	ახმეტის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ან- გარიშების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
12	მესტიის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ან- გარიშების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
13	გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტების შესრულების შესაბამისობის აუდიტი	02.02.2015
14	დუშეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ან- გარიშების ფინანსური აუდიტი	02.02.2015

15	ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ან- გარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
16	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
17	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსუ- რი ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
18	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფი- ნანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
19	ონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგა- რიშგების ფინანსური ანგარიში	02.02.2015
20	ახალციხის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
21	გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
22	გორის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგა- რიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
23	ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტის შესრულების შესაბამისობის აუდიტი	02.02.2015
24	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
25	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
26	თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის 2012- 2013 წლების ბიუჯეტის შესრულების შესაბამისობის აუდიტი	02.02.2015
27	ხონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგა- რიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
28	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
29	თიანეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ან- გარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
30	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
31	სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ან- გარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
32	ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015

33	მცხეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ან- გარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
34	თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის 2012- 2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
35	ქარელის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ან- გარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
36	ყვარელის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ან- გარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
37	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ან- ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
38	ხაშურის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ან- გარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
39	ხობის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგა- რიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
40	ბალდათის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ან- ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	02.02.2015
41	ბათუმის მიერ 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემ- ბრამდე პერიოდში საკუთრებაში არსებული ქონების მართვისა და განკარგვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	05.02.2015
42	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინის- ტროს 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის და 2011-2012 წლების შესაბამისობის აუდიტის მასალები	05.03.2015
43	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი	09.03.2015
44	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპა- ნიის შესაბამისობის აუდიტი	24.03.2015
45	სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის აპაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, ნალენჯიხის, ხობის უნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქა- ლაქ ფოთში 2011-2012 წლების შესაბამისობის და 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	27.03.2015
46	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სა- მინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტი	25.03.2015
47	ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2013 წლის ფი- ნანსური და 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტის მასა- ლები	31.03.2015

48	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2013 წლის ფინანსური და 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტის მასალები	11.05.2015
49	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი	13.05.2015
50	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტი	14.05.2015
51	საჩხერის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის ანგარიში	22.06.2015
52	შპს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს 2014 წლის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	02.07.2015
53	შპს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს 2013 წლის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	02.07.2015
54	აჭარის ავტონომიური რეაბილიტაციის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 2014 წლის შესაბამისობის აუდიტი	09.07.2015
55	სსიპ საჯარო სამსახურის პიუროს მიერ 2012, 2013 და 2014 წლების განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის აუდიტის ანგარიში და სხვა დოკუმენტაცია	11.08.2015
56	ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრინყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის 2012-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი	25.08.2015
57	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012-2014 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	28.09.2015
58	სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტი	06.10.2015
59	საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2013-2014 წლების ფინანსური აუდიტი	06.10.2015
60	შპს ბათუმის წყალის 2014 წლის შესაბამისობის აუდიტი	09.10.2015
61	ინფორმაცია სამგორისა და გლდანის რაიონების 2013-2014 წლების და 2015 წლის 6 თვის საფინანსო ეკონომიკურის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ჩატარებისას გამოკვეთილი დანაშაულის და დარღვევების შესახებ ინფორმაცია	15.10.2015

<b>62</b>	ქედის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური აუდიტი	24.12.2015
<b>63</b>	შუახევის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიში	24.12.2015
<b>64</b>	ხულოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური აუდიტი	25.12.2015
<b>65</b>	ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური აუდიტი	28.12.2015
<b>66</b>	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური აუდიტი	28.12.2015



DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

Implemented by:

